

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N

-- მარტი, 2026 წელი

ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის
შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 88-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების თანდართული წლიური ანგარიში.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ივანე მაისურაძე



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში





ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის №55 დადგენილებით. დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში განხორციელდა ცვლილებები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 31/03/2025 №18, 31/07/2025 №30 და 01/12/2025 №48 დადგენილებებით.

საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 472,982.6 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 475,917.3 ათასი ლარია. ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 565,888.9 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 486,198.1 ათასი ლარი.

2025 წელს პრიორიტეტული იყო ქალაქის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მათ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

დასახული პრიორიტეტების შესაბამისად, ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

✓ მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა განვითარება:

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 118,545.2 ათასი ლარი;
- სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება - 42,269.8 ათასი ლარი;
- საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 48,999.6 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი - 32,501.0 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა - 1,210.7 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა - 8,856.5 ათასი ლარი;
- ქალაქის კეთილმოწყობა - 4,837.6 ათასი ლარი.

✓ ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება:

- ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება - 23,422.1 ათასი ლარი;
- ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 24,425.1 ათასი ლარი;

✓ განათლება:

- სკოლამდელი განათლება - 42,264.1 ათასი ლარი;
- პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა - 253.1 ათასი ლარი;

✓ კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი:

- სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 8,883.6 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა - 7,463.5 ათასი ლარი;
- კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები - 4,416.9 ათასი ლარი;
- კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა - 4,758.7 ათასი ლარი;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება - 6,058.3 ათასი ლარი;
- ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა - 236.7 ათასი ლარი.



✓ **ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა:**

- ჯანმრთელობის დაცვა - 9,940.5 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 20,836.9 ათასი ლარი;
- სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა - 1,132.0 ათასი ლარი.

✓ **ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარება:**

- ქალაქის ურბანული განვითარება - 643.6 ათასი ლარი;
- ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა - 13.6 ათასი ლარი;

✓ **მუნიციპალური სერვისების განვითარება:**

- მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება - 12,284.4 ათასი ლარი;
ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა ასევე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო, მერია) ხარჯების დაფინანსება (11,811.9 ათასი ლარი), სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (50,057.3 ათასი ლარი) და მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება (75,2 ათასი ლარი).



I თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

ქ. ბათუმის 2025 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

ქ. ბათუმის ბიუჯეტის ბალანსი

(ათასი ლარი)

დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის შესრულება	შესრულების %
შემოსავლები	459,982.6	466,271.9	101%
გადასახადები	121,066.8	136,305.7	113%
გრანტები	234,312.8	196,732.6	84%
სხვა შემოსავლები	104,603.0	133,233.6	127%
ხარჯები	285,992.5	260,445.7	91%
შრომის ანაზღაურება	56,104.5	53,945.4	96%
საქონელი და მომსახურება	93,500.0	83,603.8	89%
პროცენტი	6,122.5	5,815.2	95%
სუბსიდიები	31,898.2	30,705.2	96%
გრანტები	15.0	0.0	0%
სოციალური უზრუნველყოფა	23,632.5	22,047.0	93%
სხვა ხარჯები	74,719.8	64,329.0	86%
საოპერაციო სალდო	173,990.1	205,826.3	118%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	221,965.8	171,864.9	77%
ზრდა	234,965.8	181,510.3	77%
კლება	13,000.0	9,645.4	74%
მთლიანი სალდო	-47,975.7	33,961.3	-71%
ფინანსური აქტივების ცვლილება	-92,906.3	-10,280.7	-
ზრდა	0.0	0.0	-
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	-
კლება	92,906.3	10,280.7	-
ვალუტა და დეპოზიტები	92,906.3	10,280.7	-
ვალდებულებების ცვლილება	-44,930.6	-44,242.1	98%
კლება	44,930.6	44,242.1	98%
საშინაო	44,930.6	44,242.1	98%
ბალანსი	0.0	0.0	



ქ. ბათუმის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

(ათასი ლარი)

დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის შესრულება	შესრულების %
შემოსულობები	472,982.6	475,917.3	100.6%
შემოსავლები	459,982.6	466,271.9	101.4%
არაფინანსური აქტივების კლება	13,000.0	9,645.4	74.2%
გადასახდელები	565,888.9	486,198.1	85.9%
ხარჯები	285,992.5	260,445.7	91.1%
არაფინანსური აქტივების ზრდა	234,965.8	181,510.3	77.2%
ვალდებულებების კლება	44,930.6	44,242.1	98.5%
ნაშთის ცვლილება	-92,906.3	-10,280.7	

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის
ბიუჯეტის შემოსულობები**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 475,917.3 ათასი ლარი, რაც შემოსულობების 2025 წლის გეგმიური მაჩვენებლის 100.6%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 136,305.7 ათასი ლარი (შემოსულობების 28.6%), გრანტების (ფინანსური დახმარების) სახით მიღებულ შემოსავლებზე – 196,732.6 ათასი ლარი (შემოსულობების 41,3%) სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე - 133,233.6 ათასი ლარი (შემოსულობების 28.0%) და არაფინანსური აქტივების კლებაზე - 9,645.4 ათასი ლარი (შემოსულობების 2,0%).

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის ანგარიშს (დანართი №1).




ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები

(ათასი ლარი)

№	შემოსულობის დასახელება	თანხა (ათასი ლარი)	წილი მთლიან შემოსულობებში
1	შემოსავლები	466,271.9	98.0%
1.1	გადასახადები	136,305.7	28.6%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	196,732.6	41.3%
1.3	სხვა შემოსავლები	133,233.6	28.0%
2	არაფინანსური აქტივების კლება	9,645.4	2.0%
ჯამი		475,917.3	100%

შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:






(ათასი ლარი)

#	შემოსულობების დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის შესრულება	გადახრა	შესრულება %
1	შემოსავლები	459,982.6	466,271.9	6,289.4	101.4%
1.1	გადასახადები	121,066.8	136,305.7	15,238.9	112.6%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	234,312.8	196,732.6	-37,580.2	84.0%
1.3	სხვა შემოსავლები	104,603.0	133,233.6	28,630.6	127.4%
2	არაფინანსური აქტივების კლება	13,000.0	9,645.4	-3,354.6	74.2%
ჯამი		472,982.6	475,917.3	2,934.7	100.6%

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ფაქტობრივი შესრულება გეგმასთან მიმართებაში




ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა (ცხრილი/გრაფიკები)

(ათასი ლარი)






#	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი
1	შემოსავლები	115,022.2	119,877.0	155,497.8	162,247.9	168,419.0	140,757.1	180,451.5	254,575.9	333,364.7	438,882.9	466,271.9
1.1	გადასახადები	18,819.4	35,081.9	30,914.9	32,055.0	80,404.6	62,478.6	77,736.0	98,039.5	102,991.5	114,232.4	136,305.7
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	63,170.7	51,564.0	82,154.5	81,242.1	38,463.2	60,777.6	59,638.5	87,327.7	134,000.4	185,980.6	196,732.6
1.3	სხვა შემოსავლები	33,032.1	33,231.1	42,428.4	48,950.8	49,551.2	17,500.9	43,077.0	69,208.6	96,372.8	138,670.0	133,233.6
2	არაფინანსური აქტივების კლება	1,626.2	5,064.7	13,139.7	4,779.7	8,824.4	1,410.4	16,770.7	11,558.3	10,092.1	8,058.7	9,645.4
3	ფინანსური აქტივების კლება			0.1				4.2				
სულ ჯამი		116,648.5	124,941.7	168,637.5	167,027.5	177,243.5	142,167.5	197,226.5	266,134.2	343,456.8	446,941.6	475,917.3





შემოსულობები (ათასი ლარი)





შემოსავლები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 459,982.6 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 466,271.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101.4%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებს (ფინანსურ დახმარებას) და სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებს.

გადასახადები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 136,305.7 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის – 121,066.8 ათასი ლარის 112.6%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 28.6%-ს.



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის
საგადასახადო შემოსავლების დინამიკა

(ათასი ლარი)

№	შემოსავლის სახე	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2025 წლის ფაქტი	შესრულება			
										2025 წ. გეგმასთან		2024 წ. ფაქტთან	
										გადახრა (ათ. ლარი)	%	გადახრა (ათ. ლარი)	%
1	დამატებული ღირებულების გადასახადები	50,467.5	43,114.3	48,224.3	52,676.9	57,209.4	63,652.5	73,066.8	72,935.1	-131.7	99.8%	9,282.5	114.6%
2	ქონების გადასახადი	29,937.2	19,364.3	29,511.7	45,362.7	45,782.1	50,579.8	48,000.0	63,370.7	15,370.7	132.0%	12,790.8	125.3%
2.1	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი	2,129.7	2,152.8	2,510.7	2,988.2	4,074.9	5,685.9	2,700.0	8,498.5	5,798.5	314.8%	2,812.6	149.5%
2.2	საწარმოთა ქონების გადასახადი	25,868.1	15,291.5	24,988.4	40,220.0	39,362.0	42,709.2	43,000.0	52,263.5	9,263.5	121.5%	9,554.3	122.4%
2.3	მიწის გადასახადი	1,939.3	1,920.0	2,012.6	2,154.5	2,345.3	2,184.7	2,300.0	2,608.6	308.6	113.4%	423.9	119.4%
	სულ	80,404.6	62,478.6	77,736.0	98,039.5	102,991.5	114,232.4	121,066.8	136,305.7	15,238.9	112.6%	22,073.4	119.3%

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქონების გადასახადი - საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ქონების გადასახადი აერთიანებს საწარმოთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა), ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა) და მიწაზე ქონების გადასახადს. ქონების გადასახადის 2025 წლის გეგმიური მაჩვენებელი 48 000,0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ 63,370.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 132,0%-ია.

ქონების გადასახადის ცალკეული სახეობის მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

(ათასი ლარი)

№	დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის ფაქტი	გადახრა	შესრულება %
1	სულ ქონების გადასახადი, მათ შორის:	48,000.0	63,370.7	15,370.7	132.0%
1.1	საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	43,000.0	52,263.5	9,263.5	121.5%
1.2	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	2,700.0	8,498.5	5,798.5	314.8%
1.3	მიწაზე ქონების გადასახადი	2,300.0	2,608.6	308.6	113.4%

საწარმოთა ქონების გადასახადის საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 43 000,0 ათასი ლარით. ფაქტიურად მობილიზებული იქნა 52 263,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 121,5%-ია.




ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის სახით დაგეგმილი იყო 2 700,0 ათასი ლარის მობილიზება, ფაქტიურად მიღებული იქნა 8 498,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 314,8%-ია.

მიწაზე ქონების გადასახადი მობილიზებული იქნა 2 608,6 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის (2 300,0 ათასი ლარი) 113,4%-ია.



(ათასი ლარი)


№	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი
1	სულ ქონების გადასახადი, მათ შორის:	24,339.2	25,315.4	27,049.1	29,937.2	19,364.3	29,511.7	45,362.7	45,782.1	50,579.8	63,370.7
1.1	საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	21,448.6	22,064.9	23,459.0	25,868.1	15,291.5	24,988.4	40,220.0	39,362.0	42,709.2	52,263.5
1.2	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	1,199.1	1,528.1	1,754.2	2,129.7	2,152.8	2,510.7	2,988.2	4,074.9	5,685.9	8,498.5
1.3	მიწაზე ქონების გადასახადი	1,691.5	1,722.4	1,835.9	1,939.3	1,920.0	2,012.6	2,154.5	2,345.3	2,184.7	2,608.6

ქონების გადასახადის 2025 წლის ფაქტიური შესრულების მაჩვენებელი 2024 წლის შესრულების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით - 12,790.8 ათასი ლარით (25,3%-ით) გაზრდილია.




საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქონების გადასახადი ბიუჯეტში არათანაბარი სიდიდით აისახებოდა, რომლის ფაქტიური მობილიზაციაც ცალკეული თვეების მიხედვით შემდეგია:





დამატებული ღირებულების გადასახადი - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად დამატებული ღირებულების გადასახადიდან 20% ნაწილდება მუნიციპალიტეტებისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის მომზადებისას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გაიანგარიშებს და ბიუჯეტის კანონის პროექტში ასახავს მუნიციპალიტეტებისათვის განსაზღვრულ დამატებული ღირებულების გადასახადში თითოეული მუნიციპალიტეტის კუთვნილი წილის პროცენტულ მაჩვენებელს. აღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის დამატებული ღირებულების გადასახადის 2025 წლის გეგმიური მაჩვენებელი 73 066,8 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 72,935.1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 99.8%-ია.

დამატებული ღირებულების გადასახადის 2025 წლის ფაქტიური შესრულების მაჩვენებელი 2024 წლის შესრულების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით - 9 282,5 ათასი ლარით (14,6%-ით) გაზრდილია.



დამატებული ღირებულების გადასახადის დინამიკა 2019-2024 წწ.



ფინანსური დახმარება და გრანტები

2025 წლის განმავლობაში ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფინანსური დახმარების (გრანტები) სახით მიღებული იქნა 196,732.6 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 234,312.8 ათას ლარს, რაც გეგმის - 84.0% შეადგენს. მიღებული ფინანსური დახმარებიდან 2025 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება - 194,864.1 ათას ლარს შეადგენს, რაც გეგმის 232,146.3 ათასი ლარის 83.9%-ია. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარება მიღებულ იქნა მიზნობრივი ტრანსფერის სახით - 395.5 ათასი ლარი, ხოლო სხვა ტრანსფერის სახით - 1 474.4 ათასი ლარი. ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიმდინარე დანიშნულების გრანტის სახით შემოსავლების გეგმა www.batumi.ge



შეადგენდა - 202,1 ათასი ლარს, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირის Interreg NEXT Black Sea Basin პროგრამის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მოპოვებული გრანტის ფარგლებში აქტივობების განხორციელებას, რომელიც გაგრძელდება 2026 წელსაც.

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში გრანტების (ფინანსური დახმარების) წილი 41,3%-ია.

(ათასი ლარი)

№	დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის შესრულება	გადახრა
1	სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	234,110.7	196,734.0	-37,376.6
1.1	გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	1,964.4	1,869.9	-94.5
	მიზნობრივი ტრანსფერი	490.0	395.5	-94.5
	სხვა ტრანსფერი	1,474.4	1,474.4	0.0
1.2	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	232,146.3	194,864.1	-37,282.2
	კაპიტალური ტრანსფერი	132,341.0	105,169.5	-27,171.5
	სპეციალური ტრანსფერი	99,659.0	89,548.3	-10,110.7
	რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი	146.3	146.3	0.0
2	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	202.1	-1.5	-203.6
	მიმდინარე დანიშნულების გრანტები	202.1	-1.5	-203.6
3	უცხო ქვეყნების მთავრობებიდან ან მათი წარმომადგენლობებიდან მიღებული გრანტები		0.02	0.0
	მიმდინარე დანიშნულების გრანტები		0.02	0.0
	ჯამი	234,312.8	196,732.6	-37,580.2

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები

2025 წლის განმავლობაში ქ. ბათუმის ბიუჯეტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებულმა სახსრებმა შეადგინა - 196,732.6 ათასი ლარი, მათ შორის:



- კაპიტალური ტრანსფერი - კაპიტალური პროექტების დასაფინანსებლად 105,169.5 ათასი ლარი, **დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი №2);**

- სპეციალური ტრანსფერი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 89,548.3 ათასი ლარი **დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი №3);**

- რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან (სპეციალური ტრანსფერი) - 146.3 ათასი ლარი, კერძოდ:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2025 წლის 21 თებერვლის №639 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას გამოეყო 55 072 ლარი, ქ. ბათუმში ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის (6 ოჯახი) დახმარების გაწევის მიზნით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 55 072 ლარი (100%).

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2025 წლის 24 აპრილის №1340 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას გამოეყო 40 000 ლარი, კერძოდ: ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის (2 ოჯახი) დახმარების გაწევის მიზნით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 40 000 ლარი (100%).

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2025 წლის 9 ივლისის №1572 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას გამოეყო 31 198 ლარი, ქ. ბათუმში ხანძრისა და ხანძრის ჩაქრობის მიზნით გამოყენებული წყლის ჭავლის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის (2 ოჯახი) დახმარების გაწევის მიზნით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 31 198 ლარი (100%).

დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2025 წლის 14 ნოემბრის №2008 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას გამოეყო 20 000 ლარი, ქ. ბათუმში ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის (1 ოჯახი) დახმარების გაწევის მიზნით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 20 000 ლარი (100%).

***საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები
(მიმდინარე დანიშნულების გრანტები)***

2025 წელს საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიმდინარე დანიშნულების გრანტის სახით შემოსავლების გეგმა შეადგენდა - 202,1 ათასი ლარს, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირის Interreg NEXT Black Sea Basin პროგრამის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მოპოვებული გრანტის ფარგლებში აქტივობების განხორციელებას, პროგრამის სპეციფიკური მიზნის - RSO2.4 მისაღწევად, რაც ეხება კლიმატის ცვლილების ადაპტაციისა და კატასტროფების რისკის პრევენციის ხელშეწყობას და მდგრადობას ეკოსისტემაზე დაფუძნებული მიდგომების გათვალისწინებით.

ბათუმის მუნიციპალიტეტი პროექტს განახორციელებს წამყვან პარტნიორთან - უზუნკოპრუს მუნიციპალიტეტი (თურქეთის რესპუბლიკა) და სხვა პარტნიორებთან -



სტამბულის უნივერსიტეტი, სოზოპოლის (ბულგარეთი) და კავალას (საბერძნეთი) მუნიციპალიტეტები - ერთად. პროექტით ბათუმისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტი შეადგენს 132 303,36 ევროს, საიდანაც 119,073.02 ევრო არის გრანტი, ხოლო 13 230,0 ევრო თანადაფინანსება (მუნიციპალური ბიუჯეტი).

გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან
(მიზნობრივი ტრანსფერი, სხვა ტრანსფერი)

2025 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიზნობრივი ტრანსფერის სახით მიღებულ იქნა - 395.5 ათასი ლარი, რომელიც ითვალისწინებს შშმ პირებისათვის პერსონალური ასისტენტების მიერ სპეციალიზებული და რეგულარული ასისტირების სერვისის მიწოდების უზრუნველყოფას.

ასევე საანგარიშგებო პერიოდში მიღებულ იქნა სხვა ტრანსფერი - ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა“ (V ფაზა) პროექტის ფარგლებში გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკს (KfW), მაინის ფრანკფურტს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და თვითმმართველ ქალაქ ბათუმს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, პროექტის ფარგლებში შესყიდული საქონლისა და მომსახურების დღგ-ის თანხის 50%-ის გადახდის მიზნით - 1 251.4 ათასი ლარი, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის ხელშეწყობის (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების (მშენებლობის/რეაბილიტაციის/აღჭურვის) ფარგლებში მიღებულ იქნა - 223.0 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების 2025 წლის საპროგნოზო მოცულობა 104,603.0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 133,233.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 127.4%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 28,0%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების ფაქტიური მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 17,903.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (14,053.0 ათასი ლარი) 127.4%-ია. მათ შორის:


- **პროცენტებიდან** მობილიზებულია 15,034.1 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე (დეპოზიტი) წლის განმავლობაში დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს.

- **რენტის** სახით მიღებულია 2,868.9 ათასი ლარი. აქედან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 216.2 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე 2,652.7 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 90,111.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (76,050.0 ათასი ლარი) 118.5%-ია. აქედან:



- ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით _ 89,390.4 ათასი ლარი, მათ შორის:
 - მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) _ 9,408.1 ათასი ლარი.
 - საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი - 0.9 ათასი ლარი;
 - სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი _ 73,934.1 ათასი ლარი, მათ შორის:
 - სათამაშო აპარატებიდან _ 35,387.5 ათასი ლარი;
 - წამახალისებელი გათამაშებიდან _ 532.6 ათასი ლარი;
 - სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი (კლუბის მაგიდიდან, სამორინეს მაგიდიდან) _ 38,014.0 ათასი ლარი;



სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი



- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მობილიზებული იქნა 4,812.9 ათასი ლარის ოდენობით, (გეგმა - 6,000.0 ათასი ლარი)



დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების ღონისძიებებს ახორციელებს შპს „სანდასუფთავება“. 2025 წლის გეგმის შესრულების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია რიგი ფაქტორებით, კერძოდ: ქალაქ ბათუმის საკრებულოს „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ 2016 წლის 29 იანვრის №3 დადგენილების შესაბამისად, ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი, როგორც საყოფაცხოვრებო ნარჩენის წარმომქმნელი პირი, ვალდებულია დარეგისტრირდეს დასუფთავების აბონენტად. მიუხედავად ვალდებულებისა, მომართვიანობა აბონენტად რეგისტრაციის მიზნით ძალიან მცირეა. აღნიშნული პრობლემა ძირითადად დაკავშირებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმომქმნელ პირებთან. რომელთა დაზუსტების მიზნით ხდება სახელმწიფო სერვისების სააგენტოდან ინფორმაციის გამოთხოვა (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში კონკრეტულ მისამართებზე რეგისტრირებულ პირთა რაოდენობის შესახებ) და შემდგომ ხდება თანხვედრა სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს აბონენტთა რეესტთან. არსებული დავალიანებების ამოღების მიზნით (ძირითადად იურიდიული პირები) ხორციელდება საჩივრის შეტანა სასამართლოში. დასუფთავების მოსაკრებლის შემოსულობების გაზრდის მიზნით განხორციელდა აღნიშნულ დადგენილებაში რიგი ცვლილებები, რაც შესაძლებლობას მისცემს მუნიციპალიტეტს გაზარდოს მომავალში მისაღები შემოსავლები.

- სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი_ 1,234.4 ათასი ლარი;

- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება _ 720.9 ათასი ლარი, რომელიც აერთიანებს შემოსავლებს მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან.

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 19,602.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (10,000.0 ათასი ლარის) 196.0%-ია. მათ შორის:

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში - 86.4 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) სახელმწიფო საკუთრების ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო- 1.5 ათასი ლარი;

სხვა შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში - 40.4 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის, განათლებისა და აღზრდის სფეროში - 0.7 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო სოფლის მეურნეობაში, ვეტერინალურ - სანიტარული წესების დარღვევა - 2.1 ათასი ლარი;

საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის - 13,676.0 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) უბილეთო მგზავრობის გამო - 271.6 ათასი ლარი;

საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის პირობების დარღვევის გამო - 6.7 ათასი ლარი;



შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ავტომობილის გაჩერების წესების გათვალისწინებული მოთხოვნების დაუცველობისათვის - 56.1 ათასი ლარი;

სხვა დანარჩენი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობასა და კავშირგაბმულობის დარგში - 2,906.9 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ვაჭრობასა და ფინანსების დარგში - 21.6 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 79.6 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის წესის ხელმყოფი სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 754.7 ათასი ლარი;

დასუფთავების წესების დარღვევის გამო - 1.9 ათასი ლარი;

თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევის გამო - 9.6 ათასი ლარი;

თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯების გამო - 4.0 ათასი ლარი;

სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო მოქალაქეთა საბინაო უფლებების, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის დარგში - 12.5 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 87.2 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 1,581.9 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა დანარჩენი არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) - 0.9 ათასი ლარი;

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული სახით მიღებულია 5,617.0 ათასი ლარი. შემოსავლის აღნიშნულ სახეში გეგმა 4,500.0 ათას ლარს შეადგენდა, ფაქტიურად მობილიზებული იქნა გეგმის 124.8%. შემოსავლის აღნიშნული სახე აერთიანებს:

სხვა მართვის უფლების გადაცემიდან მიღებული შემოსავალი - 182.7 ათასი ლარი;

შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 60.1 ათასი ლარი;


შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგა-სამტეხლოდან - 2,973.6 ათასი ლარი;

წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 10.2 ათასი ლარი;

სხვა დანარჩენი არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს - 2,390.3 ათასი ლარი;



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების სტრუქტურა



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

(ათასი ლარი)




დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის შესრულება	გადახრა
სხვა შემოსავლები	104,603.0	133,233.6	28,630.6
შემოსავლები საკუთრებიდან	14,053.0	17,903.0	3,850.0
პროცენტები	11,617.0	15,034.1	3,417.1
რენტა	2,436.0	2,868.9	432.9
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	180.0	216.2	36.2
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	2,256.0	2,652.7	396.7
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	76,050.0	90,111.4	14,061.4
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	76,050.0	89,390.4	13,340.4
სანებართვო მოსაკრებელი	1,500.0	9,408.1	7,908.1
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.0	0.9	0.9
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	68,000.0	73,934.1	5,934.1
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	6,000.0	4,812.9	-1,187.1
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	550.0	1,234.4	684.4
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.0	720.9	720.9
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან	0.0	720.9	720.9
ჯარიმები, სანქციები და საურავები	10,000.0	19,602.3	9,602.3
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	4,500.0	5,617.0	1,117.0

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების დინამიკა

(ათასი ლარი)



დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი
სხვა შემოსავლები	33,231.1	42,428.4	48,950.8	49,551.2	17,500.9	43,077.0	69,208.6	96,372.8	138,670.0	133,233.6
შემოსავლები საკუთრებიდან	1,431.1	1,993.5	3,840.7	4,337.5	5,536.4	6,979.5	9,665.4	13,865.9	13,628.3	17,903.0
პროცენტები	699.3	917.5	1,273.4	1,525.1	1,291.1	4,929.0	7,544.1	10,775.9	11,193.6	15,034.1
დივიდენდები			900.0	838.0	3,500.0					
რენტა	731.8	1,076.1	1,667.3	1,974.4	745.2	2,050.5	2,121.2	3,090.0	2,434.7	2,868.9
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	154.6	157.3	355.4	145.4	116.3	153.5	185.6	264.0	101.9	216.2
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	577.2	918.7	1,311.9	1,829.1	628.9	1,897.0	1,935.6	2,826.0	2,332.8	2,652.7
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	25,445.3	34,028.1	38,689.4	36,480.9	5,785.8	28,249.9	46,931.3	67,967.1	79,698.9	90,111.4
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდლები	25,444.4	34,011.4	38,684.1	36,476.4	5,781.5	28,203.4	46,711.9	67,567.1	78,953.4	89,390.4
სანებართვო მოსაკრებელი	435.8	450.9	449.3	1,123.8	1,320.7	1,137.6	1,287.1	1,212.7	2,971.4	9,408.1
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	3.0	3.0	2.8	2.5	1.3	1.3	2.0	1.6	1.3	0.9
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	2.4	4.4	2.0	3.0	1.0	3.4	4.4	12.0	0.0	0.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	21,835.4	30,630.2	36,174.5	31,967.1	1,724.5	23,440.8	41,388.9	62,070.2	70,141.5	73,934.1
კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი							1.7			4,812.9
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	1,458.6	1,074.0	238.9	636.8	2,247.3	421.2	101.4	232.4	189.9	
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	1,709.3	1,848.7	1,816.6	2,743.1	486.7	3,199.1	3,925.2	4,038.2	4,806.6	
სხვაარაკლასიფიცირებული მოსაკრებელი		0.17				0.0	1.3		842.7	1,234.4
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.9	16.7	5.3	4.6	4.3	46.5	219.4	399.9	745.5	720.9
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან	0.9	16.7	5.3	4.6	4.3	46.5	219.4	399.9	745.5	720.9
ჯარიმები, სანქციები და საურავები	4,187.9	4,947.8	4,486.2	6,527.8	4,379.1	6,457.9	10,063.7	12,687.4	13,709.6	19,602.3
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	2,166.8	1,458.9	1,934.5	2,205.0	1,799.6	1,389.8	2,548.2	1,852.4	31,633.2	5,617.0



საანგარიშო პერიოდის სხვა შემოსავლების დინამიკა პანდემიის შემდგომ მზარდია, რაც შეეხება 2024 წელთან შედარებით იგი შემცირებულია - 5 436,3 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია ერთჯერადად გარე რეკლამის განთავსების ნებართვის საფასურის (29 598 604 ლარი) სრულად გადახდით (2024 წლის 12 აგვისტოს ხელშეკრულება). სხვა შემოსავლები 2023 წელთან მიმართებით გაზრდილია - 36 860,8 ათასი ლარით, ხოლო 2022 წელთან შედარებით გაზრდილია - 64 025,0 ათასი ლარით. სხვა შემოსავლებში ძირითადი ზრდა შეეხება - პროცენტებიდან, რენტიდან, სანებართვო მოსაკრებლიდან, ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან, მიღებული შემოსავლებიდან და სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან მიღებულ შემოსავლებს.

არაფინანსური აქტივების კლება

2025 წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსულობა - 9,645.4 ათას ლარს შეადგენს, რაც შესაბამისი გეგმის (13 000,0 ათასი ლარის) 74.2%-ია. შემოსავლის აღნიშნული სახის წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში შეადგენს 2,0%-ს. არაფინანსური აქტივების კლება მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის გაყიდვიდან, ძირითადი აქტივებიდან და მატერიალური მარაგებიდან მიღებულ შემოსავალს.



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება


2025 წლის 01 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 92 975,3 ათას ლარს შეადგენდა, საიდანაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების (კლების) გეგმიური მაჩვენებელი განისაზღვრა 92 906,3 ათასი ლარით. აღნიშნული მოიცავს ფინანსურ აქტივებს, მიმართული ხარჯების დასაფარავად წლის დასაწყისისათვის არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან. ნაშთის ცვლილების ფაქტიურმა მაჩვენებელმა (კლება) შეადგინა 10 280,7 ათასი ლარი, შესაბამისად 2026 წლის 01 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი - 82,694.5 ათას ლარს შეადგენდა.

დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის შესრულება
ნაშთი 01.01.2025		92,975.3
ნაშთის ცვლილება	-92,906.3	-10,280.7
ზრდა	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0
კლება	92,906.3	10,280.7
ვალუტა და დეპოზიტები	92,906.3	10,280.7
ნაშთი 01.01.2026		82,694.5



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში
ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შემდეგნაირად გადანაწილდა (იხილეთ დიაგრამა):




ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია



(ათასი ლარი)

#	გადასახდელის დასახელება	გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	36,418.6	30,548.2	83.9%	6.9%
1.1	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	13,817.1	11,887.0	86.0%	2.7%
1.2	საერთო დანიშნულების მომსახურება	16,140.2	12,845.9	79.6%	2.9%
1.3	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	6,122.5	5,815.2	95.0%	1.3%
1.4	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	338.8	0.0	0.0%	0.0%
2	თავდაცვა	0.0	0.0	#DIV/0!	0.00%
3	ეკონომიკური საქმიანობა	178,226.7	155,296.5	87.1%	35.1%
3.1	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	176,906.7	154,072.1	87.1%	34.9%
3.2	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1,320.0	1,224.3	92.8%	0.3%
4	გარემოს დაცვა	45,799.1	44,433.0	97.0%	10.1%
4.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	23,430.0	23,422.1	100.0%	5.3%
4.2	ჩამდინარე წყლების მართვა	22,369.1	21,010.9	93.9%	4.8%
5	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	112,972.2	82,056.9	72.6%	18.6%
5.1	ბინათმშენებლობა	28,500.1	16,605.4	58.3%	3.8%
5.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	31,238.9	21,904.3	70.1%	5.0%
5.3	წყალმომარაგება	34,814.7	27,988.7	80.4%	6.3%
5.4	გარე განათება	7,327.8	6,742.9	92.0%	1.5%
5.5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	11,090.7	8,815.6	79.5%	2.0%
6	ჯანმრთელობის დაცვა	10,482.2	10,024.4	95.6%	2.3%
7	დასვენება, კულტურა და რელიგია	59,933.2	56,242.9	93.8%	12.7%
7.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	43,942.5	40,772.2	92.8%	9.2%
7.2	მომსახურება კულტურის სფეროში	15,741.5	15,233.9	96.8%	3.4%
7.3	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	249.2	236.7	95.0%	0.1%
8	განათლება	54,520.3	42,517.3	78.0%	9.6%
9	სოციალური დაცვა	22,606.0	20,836.9	92.2%	4.7%
გადასახდელის ჯამი		520,958.3	441,956.0	84.8%	100.0%

ქ. ბათუმის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში (გეგმა-ფაქტი)



საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2025 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 36,418.6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 30,548.2 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 83.9%. ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის (სარეზერვო ფონდი), მუნიციპალური საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების, ელექტრონული სერვისების დანერგვისა და განვითარების, თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების მართვის, ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენის, საერთო დანიშნულების მომსახურების, ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები, საერთო დანიშნულების სხვა მომსახურების (ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო, ა(ა)იპ - ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია, საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება, მუნიციპალური სერვისის გაუმჯობესება, მონაწილეობითი ბიუჯეტით შერჩეული პროექტების დაფინანსება) წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვის (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების) ხარჯები. მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს 6.9%-ს.

ეკონომიკური საქმიანობისათვის დაგეგმილი იყო 178,226.7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 155,296.5 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 87.1%. მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს 35.1%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობის, საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის და კაპიტალური მშენებლობის, მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარების, მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების სტიმულირების და მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამების დაფინანსებას.

გარემოს დაცვაზე გათვალისწინებული იყო 45,799.1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 44,433.0 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 97.0%. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანის, კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაციის, სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციისა და მოვლა-



პატრონობის ქვეპროგრამებზე გაწეული ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 10.1%-ს.

საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე გამოყოფილი სახსრების გეგმა, რომელშიც შედის, საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, მუნიციპალური კვლევების მომზადების და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის, ექსპერტიზის, საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების, წყლის სისტემების რეაბილიტაციის, ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსების, გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობის, ქალაქის გაფორმების ღონისძიებების, ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის, უპატრონო შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებების, დეზინსექცია-დერატიზაციის ღონისძიებების და ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს ხარჯები შეადგენდა 112,972.2 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 82,056.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 72.6%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 18.6%-ს.

ჯანმრთელობის სფეროს დაფინანსების მიზნით განსაზღვრული იყო 10,482.2 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 10,024.4 ათას ლარს, რაც დაგეგმილის 95.6%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 2.3%-ს, მასში გაერთიანებულია მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფის, მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურების, ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა, პრევენცია და მკურნალობის, შ.შ.მ. სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაციის, ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის, ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენციისა და რეაბილიტაციის, ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარების, მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების, ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგის და თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურების ხარჯები.

დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 59,933.2 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 56,242.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 93.8%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 12.7%-ს. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის გამწვანების ღონისძიებების, სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის, პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და მშენებლობის, ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობის, სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის და რეაბილიტაციის, ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრის, მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობის, ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა"-ს, ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბის, კულტურული ღონისძიებების მართვის, ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებების, კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობის, საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერის, კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერის, ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღის, ფოლკლორის ხელშეწყობის, თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობის, ხელოვანთა ხელშეწყობის, ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო



ბიბლიოთეკის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და კულტურის ობიექტების რეაბილიტაციის, ახალგაზრდული ცენტრის, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერის ხარჯები.

განათლების სფეროზე გათვალისწინებული იყო 54,520.3 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 42,517.3 ათას ლარს, ანუ გეგმის 78.0%-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდის საფეხურის დაფინანსება, საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაციის ხარჯები, ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის, ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის, ასევე პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამები. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 9.6%-ს.

სოციალურ დაცვაზე დაგეგმილი იყო 22,606.0 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 20,836.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 92.2%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 4.7%-ს. იგი მოიცავს კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირების, მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფის, მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა-უზრუნველყოფის, მუნიციპალური უფასო სასადილოს, მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობისა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარების, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირების, დროებითი ღამის თავშესაფარის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურების და ერთჯერადი მატერიალური დახმარების ხარჯებს.

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში


ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:


(ათასი ლარი)



#	გადასახდელის დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
I	ხარჯები	285,992.5	260,445.7	91.1%	53.6%
1	შრომის ანაზღაურება	56,104.5	53,945.4	96.2%	11.1%
2	საქონელი და მომსახურება	93,500.0	83,603.8	89.4%	17.2%
3	პროცენტი	6,122.5	5,815.2	95.0%	1.2%
4	სუბსიდიები	31,898.2	30,705.2	96.3%	6.3%
5	გრანტები	15.0	0.0	0.0%	0.0%
6	სოციალური უზრუნველყოფა	23,632.5	22,047.0	93.3%	4.5%
7	სხვა ხარჯები	74,719.8	64,329.0	86.1%	13.2%
II	არაფინანსური აქტივების ზრდა	234,965.8	181,510.3	77.2%	37.3%
III	ვალდებულებების კლება	44,930.6	44,242.1	98.5%	9.1%
გადასახდელის ჯამი		565,888.9	486,198.1	85.9%	100%

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ხარჯები
(საკასო შესრულება - 486,198,1 ათასი ლარი)





ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებმა შეადგინა 260,445.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 285,992.5 ათასი ლარის 91.1%-ია, მისი ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში 53.6%-ია.

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 53,945.4 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში 11.1%-ია.

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 83,603.8 ათასი ლარი, მისი წილი მთლიან ასიგნებებში 17.2%-ია.

პროცენტების დაფარვის ხარჯებმა შეადგინა 5,815.2 ათასი ლარი, რაც ასიგნებების მთლიანი მოცულობის 1,2%-ია.

სუბსიდიების სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 30,705.2 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში 6.3%-ია.

გრანტების გეგმა განსაზღვრული იყო 15,0 ათასი ლარი.

სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 20 033,3 ათასი ლარი, გადასახდელების მთლიანი მოცულობის - 4,9%.

სხვა ხარჯებზე მიიმართა 64,329.0 ათასი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 13.2%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 181,510.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 234,965.8 ათასი ლარის 77.2%-ია, მთლიანი გადასახდელების _ 37.3%-ია.

ვალდებულებების კლებაზე მიიმართა 44,242.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 44,930.6 ათასი ლარის 98.5%-ია. ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში - 9.1%-ია.



II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ორგანიზაციულ ჭრილში

პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს შემდეგი სახე აქვს:

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	გადახრა	შესრულების %
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	65,254.0	61,944.4	3,309.7	94.9%
01 01	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო	3,757.5	3,247.1	510.4	86.4%
01 02	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	9,955.1	8,564.8	1,390.3	86.0%
01 03	სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	51,053.1	50,057.3	995.8	98.0%
01 04	სარეზერვო ფონდი	24.5	0.0	24.5	0.0%
01 05	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	338.8	0.0	338.8	0.0%
01 07	საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება	45.0	0.0	45.0	0.0%
01 08	მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება	80.0	75.2	4.8	93.9%
02 00	მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება	312,261.0	257,220.5	55,040.5	82.4%
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	140,824.9	118,545.2	22,279.7	84.2%
02 02	სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება	43,409.6	42,269.8	1,139.8	97.4%
02 03	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება	57,183.8	48,999.6	8,184.2	85.7%
02 04	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი	45,882.7	32,501.0	13,381.7	70.8%
02 05	მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა	1,275.0	1,210.7	64.3	95.0%
02 06	ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა	17,111.6	8,856.5	8,255.1	51.8%
02 07	ქალაქის კეთილმოწყობა	6,573.4	4,837.6	1,735.8	73.6%
03 00	ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	49,915.3	47,847.2	2,068.1	95.9%
03 01	ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება	23,430.0	23,422.1	7.9	100.0%
03 02	ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	26,485.3	24,425.1	2,060.2	92.2%




04 00	განათლება	54,520.3	42,517.3	12,003.0	78.0%
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	54,076.3	42,264.1	11,812.2	78.2%
04 02	პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	444.0	253.1	190.9	57.0%
05 00	კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	33,447.9	31,817.7	1,630.2	95.1%
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	9,297.4	8,883.6	413.8	95.5%
05 02	მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა	8,159.8	7,463.5	696.3	91.5%
05 03	კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები	4,516.9	4,416.9	100.0	97.8%
05 04	კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა	4,988.6	4,758.7	229.9	95.4%
05 05	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება	6,236.0	6,058.3	177.7	97.2%
05 06	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	249.2	236.7	12.5	95.0%
06 00	ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	34,138.1	31,909.4	2,228.7	93.5%
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	10,377.3	9,940.5	436.8	95.8%
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	22,606.0	20,836.9	1,769.0	92.2%
06 03	სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა	1,154.8	1,132.0	22.8	98.0%
07 00	ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარება	1,267.9	657.3	610.6	51.8%
07 01	ქალაქის ურბანული განვითარება	1,222.9	643.6	579.3	52.6%
07 02	ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა	45.0	13.6	31.4	30.3%
08 00	მუნიციპალური სერვისების განვითარება	15,084.4	12,284.4	2,800.0	81.4%
08 01	მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება	14,084.4	12,284.4	1,800.0	87.2%
08 02	თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება	1,000.0	0.0	1,000.0	0.0%
გადასახდელების ჯამი		565,888.9	486,198.1	79,690.8	85.9%


ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პრიორიტეტების ფაქტიურ ხარჯები შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება - 61,944.4 ათასი ლარი;
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 257,220.5 ათასი ლარი;
- ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 47,847.2 ათასი ლარი;
- განათლება - 42,517.3 ათასი ლარი;
- კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი - 31,817.7 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 31,909.4 ათასი ლარი;
- ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარება - 657.3 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სერვისების განვითარება - 12,284.4 ათასი ლარი;

პრიორიტეტების პროცენტული წილი მთლიან გადასახდელებში



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გადასახდელების დინამიკა 2015-2025 წლებში წარმოდგენილია გრაფიკის სახით





ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებების (გადასახდელების) შესრულების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის (დანართი №4).

III თავი. პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულება

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (პროგრამული კოდი 01 00)

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (პროგრამული კოდი 01 01) ხარჯებმა შეადგინა 3,247.1 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 3,757.5 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 86.4%. აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 1,983.3 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე 1,037.9 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 27.4 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 177.9 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 20.5 ათასი ლარი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის (პროგრამული კოდი 01 02) ხარჯებმა შეადგინა 7 482,5 ათასი ლარი. დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 9,955.1 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 86.0%. აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 5,650.1 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 2,650.7 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 156.8 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 15.4 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 91.7 ათასი ლარი.

სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (პროგრამული კოდი 01 03) გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების მომსახურება (პროგრამული კოდი 01 03 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 48,264.3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 47,299.5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი 98%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების საპროცენტო და სესხების ძირი თანხის დაფარვა. მათ შორის, საპროცენტო ხარჯების დაფარვა 5 573.5 ათასი ლარის, ხოლო სესხის ძირი თანხის - 41 726.0 ათასი ლარის ოდენობით.

➤ მიღწეული შედეგები:

სასესხო ვალდებულება დაფარულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის მომსახურება (პროგრამული კოდი 01 03 03)

ფრიდონ ხალვაშის გამზირი N14ა-ს მიმდებარედ ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა - ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადა არის გარდამავალი (21.03.2024-07.05.2025წწ.), აღნიშნულ მისამართზე სამუშაოების წარმოება დასრულდა 2024 წელს.

ქ. ბათუმში, მდინარე მეჯინისწყალზე მ. მაჭავარიანის ქ. N87-ის მიმდებარე ტერიტორიიდან მ. მაჭავარიანის ქ. N99-ის მიმდებარე ტერიტორიამდე საყრდენი (ნაპირსამაგრი) კედლის მოწყობა - მოეწყო 322,4 კბ.მ. კედლის საძირკველი, 291,2 კბ.მ. კედლის ტანი, 75,5 გ/მ. მილი.

ნიკო მუსხელიშვილის ქ. №103-დან მახვილაურის დასახლება N 3-ის მიმდებარედ ფერდსამაგრი კედლის მოწყობა - ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადა არის გარდამავალი (21.03.2024-07.05.2025წწ.), აღნიშნულ მისამართზე სამუშაოების წარმოება დასრულდა 2024 წელს.



სათნოების ქუჩის I შესახვევი №7-ის მიმდებარედ ფერდსამაგრი კედლის მოწყობა - ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადა არის გარდამავალი (20.03.2024-08.08.2025წწ.), აღნიშნულ მისამართზე სამუშაოების წარმოება დასრულდა 2024 წელს.

თოდოგაურის დასახლება N48-ის მიმდებარედ ფერდსამაგრი კედლის მოწყობა - მოეწყო 128,34 კვ.მ. კედლის საძირკველი, 115,92 კვ.მ. კედლის ტანი, 33 გ/მ. მილი.

ქ. ბათუმში ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩიდან სიონის ქუჩამდე ნაპირსამაგრი სამუშაოები - ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადა არის გარდამავალი (21.03.2024-07.05.2025წწ.), აღნიშნულ მისამართზე სამუშაოების წარმოება დასრულდა 2024 წელს.

იოანე ლაზის ქ. №4-ში ფერდსამაგრი კედლის მოწყობა - მოეწყო 107,2 კვ.მ. კედლის საძირკველი, 90,3 კვ.მ. კედლის ტანი, 24 გ/მ. სადრენაჟე მილი.

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები (2024-2025წწ)

მარკოზ აჭარელის ქ. №36ა-დან თამარ მეფის გამზირამდე ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა - მოეწყო 8 568 კვ.მ. რკ/ბეტონის ფუნდამენტი და ტანი, 378 მ. სადრენაჟე მილი.

სიონის ქუჩიდან აკაკი შანიძის ქუჩამდე ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა - მოეწყო 975,8 კვ.მ. რკ/ბეტონის ღარი; 50,85 კვ.მ. ბურჯი, ტანი და ანტისეისმური საბჯენები; 49,41 კვ.მ. რკ/ბეტონის გადასასვლელი ფილები.

ნიჟარაძის ქ.№6ბ-დან ნიჟარაძის ქ.№26-მდე ნაპირსამაგრი კედლების მოწყობა - მოეწყო 2 185,35 კვ.მ. საყრდენი კედლის ფუნდამენტი და ტანი, 104,23 გ/მ სადრენაჟე მილი. მომწოდებელმა კომპანიამ სამუშაოები აწარმოა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევით, გამომდინარე აქედან სამმართველოს დირექტორის ბრძანების (ბ90. 14252807 07/10/2025) შესაბამისად ხელშეკრულება შეწყდა.

ავსაროსის გზატკეცილის №10-დან №14-მდე სანიაღვრე არხის მოწყობა - მოეწყო 16,8 კვ.მ. კიუვეტი, 129 მ. კოლექტორი, 216 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი.

მირიან მეფის №5-დან №9-მდე სანიაღვრე არხის მოწყობა - მოეწყო 25,2 კვ.მ. კიუვეტი, 8 მ. მილი, 4,32 კვ.მ. ჭა, 78 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი.

თამარ მეფის გამზირის მე-4 შესახვევი №18-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა - მოეწყო 67,2 კვ.მ. რკ/ბეტონის მილის ტანი, 23,43 კვ.მ. პორტალური კედელი, 128 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი.

თბილისის ქუჩის მე-4 შესახვევი №1-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა - მოეწყო 2,8 კვ.მ. კიუვეტი, 9 მ. მილი, 1,44 კვ.მ. ჭა, 200 კვ.მ. ც/ბეტონის საფარი.

ი.ჯინჭარაძის ქუჩაზე, №1-დან №21-მდე და ი.ჯინჭარაძის I შესახვევი №2-დან №12-მდე სანიაღვრე ქსელის მოწყობა - მოეწყო 24,89 კვ.მ. ჭა, 448 მ. კოლექტორი, 879 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, 215 კვ.მ. ც/ბეტონის საფარი, 114 მ. ბორდიური.

ბეთლემის ქ.№16-ის მიმდებარედ სანიაღვრე ჭის მოწყობა - მოეწყო 23 მ. მილი, 3,945 კვ.მ. ჭა, 48 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი.

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები (2025წწ)

მდინარე მეჯინისწყალზე, მიხეილ შარაშიძის ქუჩიდან მიხეილ შარაშიძის პირველ ჩიხამდე ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა - მოეწყო 1 651,68 კვ.მ. კედლის საძირკველი, 1 491,84 კვ.მ. კედლის ტანი, 308,99 გ/მ. მილი, 670 გ/მ სექციური ღობე.



მახვილაურის დასახლება №29-დან მახვილაურის დასახლება №30-მდე ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა - მოეწყო 110 გ/მ კიუვეტი, 1,957 ტ. ფოლადის მილი, 24,96 კბ.მ. კედლის საძირკველი, 18 კბ.მ. კედლის ტანი, 293,36 გ/მ. მილი.

ფრიდონ ხალვაშის გამზირი №8-ის მიმდებარედ ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა - მოეწყო 162,36 კბ.მ. კედლის საძირკველი, 107,82 კბ.მ. კედლის ტანი და პარაპეტი, 19 გ/მ. მილი.

თამარ მეფის გამზირის №48-ის მიმდებარედ ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა - მოეწყო 52,2 კბ.მ. კედლის საძირკველი, 36 კბ.მ. კედლის ტანი, 9 გ/მ. სადრენაჟო მილი, 290,3 კბ.მ. რკ/ბეტონის მილი, 0,671 ტნ. მოაჯირი, 655 კვ.მ. ც/ბეტონის საფარი.

ჩაქვის ქ. N42-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა - მოეწყო 18 გ/მ კიუვეტი, 101,64 კბ.მ. კედლის საძირკველი, 72,6 კბ.მ. კედლის ტანი, 30 გ/მ. მილი, 8,64 კბ.მ. რკ/ბეტონის ფილა.

სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა - ტექნიკური ზედამხედველობა იწარმოა საპროექტო გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე; შესრულებული სამშენებლო სამუშაოებზე, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების საპროექტო გადაწყვეტასთან, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერთიფიკატების, ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების არსებობაზე. ანგარიშსწორება მომწოდებელ კომპანიასთან ხდება კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოების შემსრულებელი მომწოდებელი კომპანიის მიერ შემოთავაზებული საბოლოო სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად შესაბამისი პროცენტის ოდენობით. ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშგაქტურის წარმოდგენის შემდეგ. მომწოდებელმა კომპანიამ ობიექტური მიზეზების გათვალისწინებით სამუშაოები აწარმოა შეზღუდვით, ასევე სხვა მომწოდებელმა კომპანიამ სამუშაოები აწარმოა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევით, შესაბამისად სამმართველოში ვერ წარმოადგინეს შესრულებული სამუშაოების დოკუმენტაცია, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება.

წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა (ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხები) (მეორე 2,5%) - გოგოლიშვილის ქუჩის სანიაღვრე არხის მოწყობა - მომწოდებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

მიღწეული შედეგები:

განხორციელდა სანიაღვრე ქსელის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და უზრუნველყოფილ იქნა სანიაღვრე არხების მოვლა-ექსპლუატაცია.

წელის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 03 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 20,276.3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 15,352.1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 76%.



➤ პროგრამის აღწერა:

ქ. ბათუმში, კახაბრის დასახლებაში სასმელის წყლის სისტემის და 300 კვ.მ. სამარაგო-საწნეო რეზერვუარის მოწყობა (შპს ბათუმის წყლის კაპიტალის ზრდა) - საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში კახაბრის დასახლებაში მოეწყობა ელექტროტექნიკური ნაწილი და განათების სისტემა. სამუშაოები დასრულებულია, დარჩა ეკონომია და ასანაზღაურებელია დაკავებული საგარანტიო თანხა.

ქ. ბათუმში, მწვანე კონცხის ადმინისტრაციულ ერთეულში სასმელი წყლის სისტემების მოწყობა (შპს ბათუმის წყლის კაპიტალის ზრდა) - მწვანე კონცხზე მიმდინარეობს წყალმომარაგების ქსელის მშენებლობა, მოწყობილია 30122 გრძ/მ წყლის მილი. რეზერვუარის მშენებლობისთვის შესრულდა მიწის და კედლის სამაგრი სამუშაოები - 50კვ/მ, შესრულდა 606 კვ/მ ბეტონის სამუშაოები რეზერვუარის დამცავი საყრდენი კედლის მოსაწყობად. გადაიდო სატუმბო სადგურის მშენებლობა შესაბამისი მიწის ნაკვეთის არარსებობის გამო.

ქ. ბათუმში მდინარე ყოროლისწყლის დამბისა და წყალმიმღები კონსტრუქციის მშენებლობა (შპს ბათუმის წყლის კაპიტალის ზრდა) - მოეწყობა მდინარე ყოროლისწყლის დამბისა და წყალმიმღები კონსტრუქციის ჩამკეტი ფარის გამხსნელი ელექტრო ამწე 10,0 ტონიანი 3 ცალი, თავისი ლითონის კონსტრუქციებით და მოხდა მათი ელ. მომარაგება. აშენდა სავალი ბილიკი და მოეწყობა 74 გრძ/მ სანიაღვრეს არხი. დაიდგა გამრეცი ტუმბო მისი ქსელით, მოეწყობა 49 მ ლითონის მილი სანიაღვრე სისტემისთვის თავისი ბურჯებით და საყრდენებით, დასრულდა გადამღობი კედლისა და კედლის ზემოთ სავალი ბილიკისა და ამწე ტალი 10,0 ტ. კონსტრუქციის მოწყობა. შესრულდა ლითონის კონსტრუქციების სამღებრო სამუშაოები. დასრულდა სანიაღვრე ქსელის მიღების შედეგების სამუშაოები. სამუშაოები დასრულებულია, დარჩა ეკონომია.

ქ. ბათუმში, ავგის ქ. №5, ჩიხი №1-ის მიმდებარედ 2000 კვ.მ. წყლის რეზერვუარის მშენებლობა და ავგის ქ. №5, ჩიხი №1-ის მიმდებარედ რეზერვუარამდე მკვებავი მაგისტრალისა და წყლის ქსელის მშენებლობა (შპს ბათუმის წყლის კაპიტალის ზრდა) - ავგია-ახალსოფლის მიმართულებაზე მოეწყობა 20754 მეტრი პლასტმასის მილი, 3842 მეტრი ფოლადის მილი, დაიწყოს რეზერვუარის მშენებლობისთვის მოსამზადებელი მიწის სამუშაოები.

წყალმომარაგების ახალ ქსელზე დაერთების საფასურის დაფარვა (საყოფაცხოვრებო მოხმარების მიზნით -20 მმ დიამეტრის მილი) - შესრულებულია 310 აბონენტის დაერთება განხადებების საფუძველზე.

➤ მიღწეული შედეგები:

გაუმჯობესებულია მოსახლეობისათვის წყალმომარაგების მომსახურება

კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 03 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონებისა და სერვისების მართვის სამსახური

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1,912.8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,298.1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 68%. პროექტი დასრულებულია, აუთვისებელი თანხა წარმოადგენს ფაქტიური დაფინანსებიდან მიღებულ ეკონომიას.



➤ პროგრამის აღწერა:

სარფის, კვარიათის, გონიოს, ახალსოფლის წყალარინების ქსელის (გრავიტაციული და საწნეო მილების) და წყალარინების გადამქაჩი სადგურების, რეაბილიტაცია/მშენებლობა (შპს ბათუმის წყლის კაპიტალის ზრდა) - საანგარიშო პერიოდში სარფის გადამქაჩ სადგურზე მოეწყო ღობე პანელური ბადით, ფოლადის მილებით დ 50 მმ. სიმაღლე 2 მ. ჭიშკრითა და 2 კუტიკარით (28 მ.). სარფი-კვარიათის მონაკვეთზე მოეწყო მაღალწნევიანი პოლიპროპილენის პნ16 DN250 მმ. მილი 1969 მეტრი. აღდგენილია გზის საფარი 1397 კვ/მ. მოაწყო 1 გამრეცხი და 2 საჰაერო(ვანთუზის) ჭა. გონიოს მონაკვეთის მიმართულებით: აღადგინა ასფალტის საფარი 262 კვ/მ. ახალსოფელი ადლიის მონაკვეთზე მოაწყო ასფალტის საფარი 611 კვ/მ. მოაპირკეთა და შემოღობა სატუმბი სადგურის ტერიტორია.

➤ მიღწეული შედეგები:

საკანალიზაციო ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის მიმდინარეობს სამუშაოები.

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 02 03 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 14,538.4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 12,636.7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 87%.

პროგრამის აღწერა:

"V ფაზის პროგრამა ითვალისწინებს შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას:

1) ადლიის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის წარმადობის გაზრდა და აზოტისა და ფოსფორის დენიტრიფიკაცია; 2) A და B სატუმბი სადგურების მშენებლობა; 3) აეროპორტის, ინდუსტრიული და კახაბრის დასახლებების წყალარინება; 4) ინჯალოს წყლის სამარაგო რეზერვუარის მშენებლობა; 5) ჩაქვის წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია; 7) ჩაქვის გადამცემი მაგისტრალური წყალსადენის ნაწილობრივი რეაბილიტაცია; 8) ხელვაჩაურის 2000 კუბ.მ-იანი რეზერვუარის და ბუსტერული სატუმბი სადგურის მშენებლობა; 2025 წლისთვის განმახორციელებელი საკონსულტაციო კონტრაქტის ფარგლებში განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: გაფორმებულია ა ჩაქვის წყლის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაციის კონტრაქტი თურქულ გაერთიანებულ საწარომისთან "YDA+Mitas" ღირებულებით 21 149 555 ევრო დღგ-ს გარეშე. კომპანიას წარმოადგენილი აქვს თვითური და კვარტალური და წლიური ანგარიშები. ადლიის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაციის ტენდერის წინა-საკვალიფიკაციო ეტაპი დასრულებულია და შეფასების ანგარიში დადასტურებულია. მალე გამოცხადდება ტენდერის მე-2 ეტაპი. სესხის ფარგლებში 2025 წელს ათვისებულია 3 7672 435 ევრო დღგ-ს გარეშე და ადგილობრივი თანადაფინანსების ნაწილიდან ათვისებულია 3 164 693 ევროს ექვივალენტი ლარში (9975745,68 ლარი). ხოლო დღგ-მ ჯამურად ეადგინა: 2 501 928 ლარი."

ამავე პროგრამის ფარგლებში, გაფორმებულია თანმხლები ზომების საკონსულტაციო მომსახურება კომპანია MACS-თან, რომელიც KfW-ს განვითარების ბანკის მიერ გამოყოფილი გრანტით ფინანსდება. კონტრაქტი ითვალისწინებს მერიის პროექტის აღმასრულებელი სააგენტოს (პას), შპს ბათუმის წყლის შესაძლებლობების გაძლიერებას, სწავლება/ტრენინგებს. ამ ეტაპისთვის განხორციელებული აქტივობებია:



ტარიფების კორექტირების განაცხადზე მუშაობა გრძელდება; კომპანია ეწვევა უწყვეტ თანამშრომლობას ბათუმის წყალთან სხვადასხვა მიმართულებებით: ცნობიერების ამაღლების კამპანია, პიარი და ა.შ. დახმარება გასწია სხვადასხვა შეხვედრების ორგანიზებასა და დონორიო ბანკის წარმომადგენლების ვიზიტების მასპინძლობაში. წარმოდგენილი აქვს თვიური და კვარტალური ანგარიშები. 2025 წელს, გრანტის ფარგლებში განხორციელდა 248 042 ევროს ანაზღაურება დღგ-ს გარეშე, ხოლო დღგ-ს ნაწილში 195 017 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტი ხორციელდება შეუფერხებლად.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი (პროგრამული კოდი 02 04)

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 02 04 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 17,382.6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 15,895.6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 91%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის ფარგლებში ქალაქში არსებული მრავალსართულიანი/მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავების რეაბილიტაცია (შეცვლა, რემონტი, განახლება) - თოთხმეტ მისამართზე განხორციელდა სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ელექტრონული ტენდერისა და სამუშაოების წარმოებით წარმოქმნილი ეკონომიების შედეგად მივიღეთ დაგეგმილ ინდიკატორის მაჩვენებელსა და შესრულებულ მაჩვენებელს შორის მეტობით სხვაობა.

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების და ეზოების კომუნალური სისტემის მოწესრიგება - ორმოცდაცამეტ ერთეულ მრავალსართულიან/მრავალბინიან სახლსა და ეზოში შეიცვალა კომუნალური სისტემა.

მრავალსართულიან/მრავალბინიან სახლებში არსებული ამორტიზირებული ლიფტების დემონტაჟი და ახალი ლიფტების მონტაჟი - მრავალსართულიან/მრავალბინიან სახლებში დამონტაჟდა ოთხმოცდაჩვიდმეტი ერთეული ლიფტი.

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებში სადარბაზოს კარისა და ელექტრო საკეტების მოწყობა - მოეწყო ასერთი ერთეული სადარბაზოს კარი და ელექტრო საკეტი.

ეზოებში შესასვლელში ახალი ჭიმკრების შეძენა-მონტაჟი - შეძენილ იქნა და დამონტაჟდა ოცდაორი ერთეული ჭიმკარი.

მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის ატრაქციონების შეძენა-მონტაჟი და რეაბილიტაცია - მრავალსართულიან სახლების ეზოებში დამონტაჟდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა ორმოც ერთეულ საბავშვო ატრაქციონს.



საცხოვრებელ სახლებზე ლითონის პროფილური ფურცლების აკვრა - საცხოვრებელი სახლების ოცდაერთ ფასადზე აკრულ იქნა ლითონის პროფილური ფურცლები.

ქალაქში არსებულ სახლებზე დაზიანებული ფასადების რეაბილიტაცია - რეაბილიტაცია ჩაუტარდა ექვს ერთეულ სახლის დაზიანებულ ფასადს.

მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის სკამების შექმნა (განლაგება) - მრავალსართულიანი სახლების ეზოებში განლაგდა 422 ცალი საბაღე სკამი.

მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის ფანჩატურების შექმნა (განლაგება) - მრავალსართულიანი სახლების ეზოებში განლაგდა 200 ცალი ფანჩატური.

მრავალსართულიანი სახლების ეზოებში გარე-განათების მოწყობა - მრავალსართულიანი სახლების ეზოებში ოცდაათობმეტ მისამართზე მოეწყო გარე განათება.

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოში არსებული ამორტიზირებული ვიტრაჟების შეცვლა - მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სამ სადარბაზოში შეიცვალა ვიტრაჟები.

მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების შესასვლელში პანდუსების მოწყობა - აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით განგიმარტავთ, რომ მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად სამუშაოების განხორციელებით დარღვეული იქნებოდა შშმ პირთა გადაადგილებისთვის განკუთვნილი პანდუსის მოწყობის ნორმები, გამომდინარე აქედან სამართველომ მიზანშეწონილად მიიჩნია და ხელშეკრულება შეწყდა ორმხრივი შეთანხმებით.

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოს ამორტიზირებული შესასვლელი გადახურვის ფილის (ბალდახინის) მოწყობა - მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა და მოეწყო ოთხი ერთეული გადახურვის ფილა (ბალდახინი).

ქ. ბათუმში ი.ჯავახიშვილის ქ. N82-ის სახლების აივნების გადახურვა - გადაიხურა ოთხი ერთეული სახლის აივნები.

მრავალფუნქციური სივრცის შენობის მშენებლობა:

1. მრავალფუნქციური სივრცის შენობის მშენებლობა (ხელშ. N84; NAT250009541) - მოეწყო 3,3 კვ.მ. ლენტური საძირკველი, 2,8 კვ.მ. ბეტონის ფილა, 2,298 ტ. სვეტები და კოჭები, 25 კვ.მ. სახურავი, 43 კვ.მ. თაბაშირ-მუყაოს ფილა, 51 კვ.მ. მერქანბურბუშელოვანი ფილა, 51 კვ.მ. კომპოზიტური პანელი, 13,3 კვ.მ. ფანჯარა, 4,8 კვ.მ. კარი, 28,2 კვ.მ. მჭიმი, 24,6 კვ.მ. შეკიდული ჭერები, 1 კომპლ. შემყვან-გამანაწილებელი ფარი, 4 კომპლ. ავტომატური ამომრთველი, 5 კომპლ. ჭერის შუქდიოდური სანათი, 1 კომპლ. ჩამრთველი, 6 ც. შტეფსელური როზეტი, 50 გ/მ ელ. კაბელი, 10 გ/მ ელ. სადენი, 16 ც. სკამი, 5 ც. მაგიდა; შეიღება 76 კვ.მ. ფოლადის ზედაპირები.

2. ჯავახიშვილის ქ. N57-ის მიმდებარედ (ხელშ. N90; NAT250011752) - მოეწყო 3,3 კვ.მ. ლენტური საძირკველი, 2,8 კვ.მ. ბეტონის ფილა, 1,298 ტ. სვეტები და კოჭები, 1,175 ტ. სახურავის კონსტრუქცია და გრძივები, 0,243 ტ. კარკასი, 50 კვ.მ. სახურავი, 24,6 კვ.მ. შეკიდული ჭერი, 50 გ/მ. ელ. კაბელი; შეიღება 76 კვ.მ. ფოლადის ზედაპირები; 16 კვ.მ. პარაპეტი შეიმოსა თუნუქის ფურცლებით; კარკასზე აკრულ იქნა თაბაშირმუყაოს 43 კვ.მ. ფილა; კარკასზე აკრულ იქნა მერქანბურბუშელოვანი 51 კვ.მ. ფილა; 48 კვ.მ. კედელი შეიმოსა ალუმინის კომპოზიტური პანელით."



3. ტბეთის შესახვევი ქ. N11-ის მიმდებარედ (ხელშ. N90; NAT250011752) - მოეწყო 3,3 კვ.მ. ლენტური საძირკველი, 2,8 კვ.მ. ბეტონის ფილა, 1,298 ტ. სვეტები და კოჭები, 1,175 ტ. სახურავის კონსტრუქცია და გრძივები, 0,243 ტ. კარკასი, 29 კვ.მ. სახურავი, 24,6 კვ.მ. შეკიდული ჭერი, 50 გ/მ. ელ. კაბელი; შეიღება 76 კვ.მ. ფოლადის ზედაპირები; 16 კვ.მ. პარაპეტი შეიძოსა თუნუქის ფურცლებით; კარკასზე აკრულ იქნა თაბაშირმუყაოს 43 კვ.მ. ფილა; კარკასზე აკრულ იქნა მერქანბურბუმელოვანი 51 კვ.მ. ფილა; 48 კვ.მ. კედელი შეიძოსა ალუმინის კომპოზიტიური პანელით.

4. აღმაშენებლის ქ. N32-ის მიმდებარედ (ხელშ. N90; NAT250011752) - მოეწყო 1,298 ტ. სვეტები და კოჭები, 1,175 ტ. სახურავის კონსტრუქცია და გრძივები, 0,243 ტ. კარკასი, 29 კვ.მ. სახურავი, 24,6 კვ.მ. შეკიდული ჭერი, 50 გ/მ. ელ. კაბელი; შეიღება 76 კვ.მ. ფოლადის ზედაპირები; 16 კვ.მ. პარაპეტი შეიძოსა თუნუქის ფურცლებით; კარკასზე აკრულ იქნა თაბაშირმუყაოს 43 კვ.მ. ფილა; კარკასზე აკრულ იქნა მერქანბურბუმელოვანი 51 კვ.მ. ფილა; 48 კვ.მ. კედელი შეიძოსა ალუმინის კომპოზიტიური პანელით. აღნიშნულ ღონისძიების ფარგლებში შემსრულებელმა კომპანიამ სამუაოები აწარმოა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევით, რის გამოც დაეკისრა პირგასამტეხლო, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება. მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია - მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოებში დაიგო 9 600 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი (9 ერთეული ეზო).

წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა (ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხები) (მეორე 2,5%) - ქ. ბათუმში, მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კომუნალური სისტემის მოწესრიგება - მომწოდებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

მიღწეული შედეგები:

გაუმჯობესებულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურა.

საცხოვრებელი სახლების მშენებლობა (პროგრამული კოდი 02 04 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 28,500.1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 16,605.4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 58%. რიგ ღონისძიებებზე მომწოდებელ კომპანიას დარჩენილ შესრულებულ სამუშაოებზე დასაფინანსებლად შესაბამისი დოკუმენტაცია (ღონისძიება ითვალისწინებდა საექსპერტო დასკვნის მომზადებას შესრულებულ სამუშაოებზე) არ წარმოუდგენია, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება. ასევე, რიგ ავარიულ ობიექტებზე გაჭიანურდა მოქალაქეთა გამოსახლების პროცესი, რამაც გავლენა მოახდინა დაგეგმილი თანხის ათვისებაზე.

➤ პროგრამის აღწერა:

ქ. ბათუმში, ე.წ. „შანხაის დასახლებაში“ სოციალური სახლის მშენებლობა - დაგეგმილია ორი იდენტური რვა სართულიანი, 22 962 კვ.მ. ფართის, 324 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მიმდინარე ეტაპისათვის დასრულდა საცხოვრებელი სახლის რვა სართულის მშენებლობის სამუშაოები და მიმდინარეობს



შიდა და გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოების წარმოება. მომწოდებელ კომპანიას დარჩენილ შესრულებულ სამუშაოებზე დასაფინანსებლად სამმართველოში შესაბამისი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება.

ავარიული სახლების დემონტაჟი- მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაცია:

1. ს.ხიმშიაშვილის ქ. №94-96-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი და ახალი სახლის მშენებლობა - დემონტაჟი ჩაუტარდა ს.ხიმშიაშვილის ქ. №94-96-ში მდებარე შენობას და აღნიშნულ მისამართზე მიმდინარეობს 13 165 კვ.მ. ფართის, რვა სართულიანი, 182 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მიმდინარე ეტაპისათვის დასრულდა საცხოვრებელი სახლის რვა სართულის მშენებლობის სამუშაოები. მიმდინარეობს შიდა და დასრულების ეტაპზეა ფასადის მოსაპირკეთებელი სამუშაოების წარმოება. მომწოდებელ კომპანიას დარჩენილ შესრულებულ სამუშაოებზე დასაფინანსებლად სამმართველოში შესაბამისი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება.

2. ავარიული სახლების დემონტაჟი-მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაცია ფარგლებში, ქ. ბათუმში, მაიაკოვსკის ქ. N3ა-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი და ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა - დემონტაჟი ჩაუტარდა მაიაკოვსკის ქ. N3ა-ში მდებარე შენობას და აღნიშნულ მისამართზე მიმდინარეობს 4 228,7 კვ.მ. ფართის, თორმეტ სართულიანი, 61 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მიმდინარე ეტაპისათვის დასრულდა საცხოვრებელი სახლის თორმეტი სართულის მშენებლობის სამუშაოები და მიმდინარეობს შიდა და გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოების წარმოება. მომწოდებელ კომპანიას დარჩენილ შესრულებულ სამუშაოებზე დასაფინანსებლად სამმართველოში შესაბამისი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება.

3. ქ. ბათუმში, არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გადლიერების სამუშაოები - დასრულდა დ. აღმაშენებლის ქ. N40-ში, ფარნავაზ მეფის ქ. N62ა-ში და ზ. გორგილაძის ქ. N80-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების გამაგრება-აღდგენა-გადლიერების სამუშაოების წარმოება.

4. ქ. ბათუმში, არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გადლიერების სამუშაოები - დასრულდა ახმეტელის ქ. N5-ში და ზუბალაშვილის ქ. N18-ში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გადლიერების სამუშაოების წარმოება.

5. ქალაქ ბათუმის მასშტაბით არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გადლიერების სამუშაოები - დასრულდა 26 მაისის ქ. N78-ში, ბაგრატიონის ქ. N111-ში და მ. ლერმონტოვის ქ. N96დ-ში მდებარე ავარიული სახლების გამაგრება-აღდგენა-გადლიერების სამუშაოების წარმოება.

6. ქალაქ ბათუმის მასშტაბით არსებული ავარიული სახლების დემონტაჟი-მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაცია - 1. დასრულდა ფრიდონ ხალვაშის გამზ. №188-ში და ზ. გამსახურდიას ქ. N11-ში მდებარე ავარიული შენობის სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება. 1. დასრულდა გორგილაძის ქ. N2-ში მდებარე ოთხსართულიანი საცხოვრებელი ავარიული სახლის მიშენებული ნაწილის გამაგრება-გადლიერების სამუშაოების წარმოება. 1. დასრულდა მ. აბაშიძის ქ. N1-ში არსებული ავარიული სახლის გამაგრება-აღდგენა-გადლიერების სამუშაოების წარმოება. 4. მიმდინარეობს ლეონიძის ქ.



N6ბ-ში და მ. ლერმონტოვის ქ. N115-ში არსებული ავარიული სახლების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოების წარმოება.

7. ქ. ბათუმის მასშტაბით არსებული ავარიული სახლების დემონტაჟი-მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაცია - დასრულდა გრიშაშვილის ქ. N7-ში და აკაკი შანიძის ქ. N12-ში მდებარე მწვავე ავარიული შენობების დემონტაჟი.

ქ. ბათუმში, სოციალური სახლის მშენებლობა - ღონისძიების განხორციელების მიზნით, ჩვენს მიერ, დაწყებული იქნა მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული შესაბამისი პარამეტრების მქონე ტერიტორიის მოძიება, რასაც დასჭირდა გარკვეული პერიოდი. მოძიებული ტერიტორია, იმის გამო, რომ მიწის გარკვეულ ლოკაციაზე გადიოდა საჰაერო მაღალი ძაბვის ელექტრო სადენები, საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად მიჩნეულ იქნა ხელისშემშლელ გარემოებად. შესაბამისად გადაწყდა ალტერნატიული ტერიტორიის მოძიება. ზემოაღნიშნულ პროცესში, სოციალურ სახლში საცხოვრისის მისაღებად გაიზარდა ბენეფიციალთა განცხადებების რაოდენობა, რაც გულისხმობს მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან სათანადო შესწავლა-კვლევას. ყოველივე ზემოაღნიშნულმა გარემოებამ, გამოიწვია მთლიანი კონცეფციის ცვლილება, რაც გამოიხატა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შესაბამისი პარამეტრების ალტერნატიული ტერიტორიის მოძიებაში, შემდგომ მოძიებული ტერიტორიის კვლევის განხორციელებაში, ასევე, ჩვენს მიერ განხორციელდა ბაზრის კვლევა და სატენდერო პირობების შემუშავება. არსებული გარემოებების გათვალისწინებით, ვინაიდან ზემოაღნიშნული ქმედებებს, შესაბამისი პროცედურების გათვალისწინებით, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, დასჭირდა წლის განმავლობაში არსებული მნიშვნელოვანი პერიოდი, აღნიშნული ღონისძიების განხორციელების მიზნით ელექტრონული ტენდერის გამოცხადება ვერ მოხერხდა, შესაბამისად ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება.

ი. ჯავახიშვილის ქ. N82-ში დეკორატიული ღობის მოწყობა - მოეწყო 24,8 კვ.მ. ლენტური საძირკველი და ზეძირკველი, 315,48 კვ.მ. დეკორატიული შემოღობვა; შეიღება 315,5 კვ.მ. შემოღობვა და ლითონის ელემენტები.

საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა - ტექნიკური ზედამხედველობა იწარმოა საპროექტო გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე; შესრულებული სამშენებლო სამუშაოებზე, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების საპროექტო გადაწყვეტასთან, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერთიფიკატების, ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების არსებობაზე. ანგარიშსწორება მომწოდებელ კომპანიასთან ხდება კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოების შემსრულებელი მომწოდებელი კომპანიის მიერ შემოთავაზებული საბოლოო სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად შესაბამისი პროცენტის ოდენობით. ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ. მომწოდებელმა კომპანიამ შესრულებული სამუშაოების შესაბამისი დოკუმენტაცია სამმართველოში არ წარმოადგინა, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება.



წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა (ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხები) (მეორე 2,5%) - ქ. ბათუმში, ი. ჯავახიშვილის ქ. N82-ში სოციალური სახლების (4 ერთეული სახლის) მშენებლობა (2021-2022 წწ) - მომწოდებელი კომპანიის მიერ სამმართველოში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მოქალაქეებისათვის გაუმჯობესდა საცხოვრებელი პირობები.

მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 05)

მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 05 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის სასაფლაოები.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1,275.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,210.7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ა(ა)იპ ბათუმის სასაფლაოებს მართვაში გადმოცემული აქვს შემდეგი სასაფლაოები:

1. ქ. ბათუმის ფერიის სასაფლაო, მისამართი სერგი მესხის ქუჩა N 75. ფართობი 153080კვ.მ საკადასტრო კოდი 05.29.47.041;
2. ქ. ბათუმის ბათუმგორის სასაფლაო, მისამართი ყადირ შერვაშიძის აღმართი, ფართობი 9000 კვ.მ,საკ.კოდი05.31.05.010;
3. ქ. ბათუმი, დასახლება ურეხი, მამია ვარშანიძის წყაროსთან, ფართობი 77813კვ.მ საკ. კოდი 05.31.06.121;
4. ქ. ბათუმი, ზედადელის სასაფლაო, მისამართი ურეხის დასახლება N7ა, 9702 კვ.მ. საკ. კოდი 05.31.06.201;
5. ქ. ბათუმი ზედა ინჯალოს სასაფლაო მისამართი, ურეხის დასახლება, შარაშიძის N50-თან, ფართობი 11189 კვ.მ. საკ.კოდი 05.31.07.178;
6. ქ. ბათუმი, თოდოგაურის დასახლება, მისამართი მაჭახლის ქ. N30. 25894 კვ.მ. საკ. კოდი 05.32.08.768;
7. ქ. ბათუმი, კახაბერი, მისამართი ფრიდონ ხალვაშის N44, ფართობი 21894 კვ.მ, საკ. კოდი 05.32.07.770;
8. ქ. ბათუმი, ქვედა ინჯალოს სასაფლაო, მისამართი ურეხის დასახლება, შარაშიძის ქ. 5 ჩიხი - 10124 კვ.მ.;
9. ქალაქი ბათუმი, მახინჯაურის სასაფლაო, მისამართი ჰორტენზიის ქუჩა N3, ფართობი 2713 კვ.მ, საკ. კოდი 05.34.23.253;
10. ქ. ბათუმი, მახინჯაურის სასაფლაო (მწვანე კონცხის ცენტრალური სასაფლაო) N1, მისამართი ჰორტენზიის ქუჩა N30-31, ფართობი 22715 კვ.მ, საკ. კოდი 05.34.23.255;
11. ქ. ბათუმი, მახვილაურის სასაფლაო, მისამართი ხელვაჩაური ნ. მუსხელიშვილი 103 (არ დარეგისტრირდა)
12. დაბა ჩაქვის სასაფლაო, ფართობი 169017 კვ.მ. საკ. კოდი 20.48.06.039.

ქვეპროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ზემოაღნიშნული სასაფლაოების მოვლა-პატრონობის სამუშაოები, კერძოდ: ყოველდღიურდ იწმინდებოდა საფლავზე მისასვლელი ბილიკები და საფლავები. ხდებოდა ნაგვის გატანა, იკრიჭებოდა ბალახები, ყოველდღიურ რეჟიმში მონიტორინგის



ჯგუფი აწარმოებდა შემოწმებას და უზრუნველყოფდა ხარვეზის და ნაკლოვანების გამოსწორებას, განსაკუთრებული კონტროლი იყო დაწესებული იმ საფლავეებზე, რომლებზეც ხორციელდება კეთილმოწყობის სამუშაოები. მუშა მესაფლავეები აღჭურვილი იქნა სამუშაო იარაღებითა და სპეც ტანსაცმელით.

უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვა - უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვისათვის გამოყოფილია ადგილი დაბა ჩაქვში. დაკრძალვას ახორციელებს კონტრაქტორი კომპანია. უპატრონო მიცვალებულები რეგისტრირებულია სპეციალურ ჟურნალში და მინიჭებული აქვს ნომერი. საანგარიშო პერიოდში დაკრძალული იქნა 30 უპატრონო მიცვალებული.

➤ მიღწეული შედეგები:

მოვლილი და მოწესრიგებულია სასაფლაოების ინფრასტრუქტურა

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 02 06)
ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო
(პროგრამული კოდი 02 06 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 3,467.4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2,929.9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 84%.

➤ პროგრამის აღწერა:

ადმინისტრირება და მართვა - უზრუნველყოფილია ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის ქვეპროგრამების მართვა, შრომის ანაზღაურების და სოციალური უზრუნველყოფის გაცემა და საოფისე ნივთების შეძენა.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება შესყიდულ იქნა 3 ცალი პრინტერი, 4 ცალი კომპიუტერი და 2 ცალი კონდინციონერი, 1 ც. დრონი.

კომპიუტერულ-პერიფერიულ ტექნიკის შეძენასთან დაკავშირებით განხორციელდა დაგეგმილი ასიგნების ნაწილობრივ ათვისება, ვინაიდან ღონისძიებით გათვალისწინებული რაოდენობის და ჩვენს მიერ მოთხოვნილი მონაცემების მქონე კომპიუტერული ტექნიკის შესასყიდად დარჩენილი რესურსი არა საკმარისი იყო, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება.

პლოტერის შეძენასთან დაკავშირებით განხორციელდა ბაზრის კვლევა, რის შედეგად ღონისძიებით გათვალისწინებული შესაბამისი მონაცემების და პარამეტრების მქონე პლოტერი ვერ იქნა მოძიებული, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება.

მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის ქვეპროგრამების მართვა.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა
(პროგრამული კოდი 02 06 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:



დაზუსტებული გეგმა - 3,628.4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 3,093.6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 85%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შესყიდულია 9 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. ტენდერებისა და სამუშაოების წარმოებით წარმოქმნილი ეკონომიების შედეგად მივიღეთ დაგეგმილ ინდიკატორის მაჩვენებელსა და შესრულებულ მაჩვენებელს შორის მეტობით სხვაობა.

გზების, ქუჩებისა და ტროტუარების, საყრდენი კედლების, მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და სხვა სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შესყიდულია 231 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. ტენდერებისა და სამუშაოების წარმოებით წარმოქმნილი ეკონომიების შედეგად მივიღეთ დაგეგმილ ინდიკატორის მაჩვენებელსა და შესრულებულ მაჩვენებელს შორის მეტობით სხვაობა.

პარკების, მოედნების, სკვერების, ეზოების, სპორტული მოედნების და სხვა მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შესყიდულია 21 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. ტენდერებისა და სამუშაოების წარმოებით წარმოქმნილი ეკონომიების შედეგად მივიღეთ დაგეგმილ ინდიკატორის მაჩვენებელსა და შესრულებულ მაჩვენებელს შორის მეტობით სხვაობა.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის პროექტების განხორციელების მიზნით) - შესყიდულია 154 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შესყიდულია 143 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

ხიდბოგირებისა და ხიდების მოწყობა აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შესყიდულია 7 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შესყიდულია 3 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებული ავარიული სახლების, შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ღონისძიებების ექსპერტიზა - ექსპერტიზა ჩატარდა 292 ერთეულ ავარიულ სახლს, შენობა-ნაგებობას და პროექტს.

ქ. ბათუმში, დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მომსახურება - დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა განხორციელდა რვა მისამართზე.

წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა - მომწოდებელ კომპანიებს დასაფინანსებლად სამმართველოში შესაბამისი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება.

მიღწეული შედეგები:

მომზადდა ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.



საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 02 06 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 10,015.8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2,833.0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 28%. უწყვეტად ხორციელდებოდა ავარიულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში მცხოვრები იმ მოქალაქეებით ბინის ქირით უზრუნველყოფა, რომლებიც საჭიროებდნენ შესაბამის დახმარებას, ასევე მიმდინარეობდა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და კეთილმოწყობითი სამუშაოების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით საკონპენსაციო თანხების (ქონების გამოსყიდვა) გაცემა, მაგრამ რიგ შემთხვევებში ტერიტორიის მესაკუთრეებთან (რიგი პროექტის ფარგლებში ვერ იქნა მიღწეული შესაბამისი შეთანხმება ქონების გადმოცემასთან დაკავშირებით) მოლაპარაკების პროცესის დროში გახანგრძლივების გამო ვერ მოხერხდა ქვეპროგრამით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება.

➤ პროგრამის აღწერა:

მოქალაქეთა ბინის (ავარიული) ქირის საფასურით უზრუნველყოფა ღონისძიების ფარგლებში უსაფრთხო გარემოში ქირით გაყვანილია მოსახლეობა შემდეგი მისამართებიდან: პარმენ რურუას ქუჩა №1ა, სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩა №94/96, ს. ხიმშიაშვილის ქუჩა №102, შავშეთის ქუჩა №29, წმ. სევერიანე აჭარელის ქუჩა №3ა (ყოფილი მაიაკოვსკის №3ა), აკაკი შანიძის ქუჩა №12, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა №7, დასახლება მეჯინისწყალი (ფრიდონ ხალვაშის №188), ლერმონტოვის ქუჩა №102, ჯავახიშვილის ქუჩა №80, გამსახურდიას ქუჩა №11, ხახულის ქუჩა №53, გორგილაძის ქუჩა №73.

ავარიული, სარემონტო ან/და დაზიანებული შენობა ნაგებობების დროს დაზარალებულ მოქალაქეთა საკონპენსაციო თანხებით უზრუნველყოფა - საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა დაზარალებულ მოქალაქეთა საკონპენსაციო თანხებით უზრუნველყოფა.

მრავალბინიანი ოჯახებისათვის საკომპენსაციო (სარემონტო) თანხების გაცემა (ტბელ აბუსერიძის ქუჩა №5-ში არსებული 49.21 კვ.მ ფართის №314 საცხოვრებელი ბინა და დავით აღმაშენებლის ქ. №3-ში არსებული 71.0 კვ.მ. ფართის №4 საცხოვრებელი ბინა) ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა ქ. ბათუმში, ტბ. აბუსერიძის ქუჩა №5-ში არსებული 49,21 კვ.მ. ფართის №314 საცხოვრებელი ბინის (24-ე სართული; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №05.24.08.126.01.01.314) სარემონტო სამუშაოების ფულადი ანაზღაურების - 22 144,50 (ოცდაორი ათას ას ორმოცდაოთხი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარის ედიშერ ალელიშვილის (პ/№61001049873) მიერ წარმოდგენილ (CE12LB0711194017336000) საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვა. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში გათვალისწინებული იყო ასევე ქ. ბათუმში, დ. აღმაშენებლის ქ. №3, ბ. №4-ში მდებარე 71.0 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის დასასრულებელი სარემონტო სამუშაოებისათვის ბიუჯეტით განსაზღვრული დარჩენილი თანხის - 15 975.0 (თხუთმეტი ათას ცხრაას სამოცდათხუთმეტი) ლარის ჩარიცხვა (მეტობით ან ნაკლებობით). თანხის გადარიცხვა უნდა განხორციელებულიყო 1 კვ.მ-ის საბაზრო ღირებულების შესაბამისად, საექსპერტო დასკვნის ან შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენის საფუძველზე. თუმცა, აღნიშნული გადარიცხვა ვერ განხორციელდა,



ვინაიდან დღემდე არ არის დადგენილი ზემოთაღნიშნული საბაზრო ღირებულება. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში გეგმით გათვალისწინებული ასიგნებების ათვისება და ღონისძიების განხორციელება არ მომხდარა."

ქალაქ ბათუმში, ტაბიძის ქუჩის ფრიდონ ხალვაშის გამზირამდე გაგრძელების (შეერთების) პროექტის ფარგლებში საკომპენსაციო თანხების გაცემა (ქონების გამოსყიდვა) - ქ. ბათუმის მერიის მიერ ხსენებული პროექტის ფარგლებში არც ერთ მესააკუთესთან შეთანხმება ქონების გამოსყიდვაზე არ მიღწეულა.

ქ. ბათუმში ინასარიძის ქუჩის ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩამდე გაგრძელების/შეერთების პროექტის ფარგლებში საკომპენსაციო თანხების გაცემა (ქონების/მიწის გამოსყიდვა) - გზის პროექტში მოხვედრილი იურიდიული პირის შპს „ახალი ხედვა“ (ს/კ №445438081) საკუთრებაში არსებული ქონება (ს/კ №05.32.12.448) ღირებულებით 598 318.00 (ხუთას ოთხმოცდათვრამეტი ათას სამას თვრამეტი) ლარი გამოსყიდული იქნა შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე. . დღეის მდგომარეობით მიწის ნაკვეთი აღრიცხულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებად. საფუძველი - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება - ბ14. 1425360001, 26.12.2025 წ, მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის მოხსენებითი - 03-1425360165, 26.12.2025წ.

ფარნავაზ მეფის ქუჩის ფიროსმანის ქუჩამდე გაგრძელების (შეერთების) პროექტი - ქ. ბათუმის მერიის მიერ ხსენებული პროექტის ფარგლებში მიმდინარე ეტაპზე არ მიღწეულა არც ერთ მესააკუთესთან შეთანხმება ქონების გამოსყიდვაზე.

ქალაქ ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის (ფაზა V) პროექტის ფარგლებში საკომპენსაციო თანხების გაცემა (ქონების/მიწის გამოსყიდვა) - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ქონების მესააკუთრებთან მოეწყო არაერთი შეხვედრა სამხარაულის ბიუროს მიერ წარმოდგენილი შეფასებით ქონების გამოსყიდვის მიზნით. მესააკუთრე წინააღმდეგია ბიუროს მიერ წარმოდგენილი შეფასების თანხით ქონების გამოსყიდვაზე. შესაბამისად ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება ქონების გამოსყიდვაზე. რის გამოს მუნიციპალურის ქონების და სერვისების მართვის სამსახურის 2026 წლის 23 თებერვლის 03-1426054816 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ადმინისტრაციას ეთხოვა საქმესთან დაკავშირებით ექსპროპროაციის დაწყება.

ქალაქის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 07)

ქალაქის გაფორმების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 07 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1,200.8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 951.5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 79%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქალაქ ბათუმში, საშობაო-საახალწლო დღეებში ქალაქის გაფორმების სამუშაოები (2024-2025 წელს) - განხორციელდა საახალწლო მანათობელი კონსტრუქციების, ნაძვის ხისა და სხვადასხვა მოწყობილობების დემონტაჟი.

ქალაქ ბათუმში, საშობაო-საახალწლო დღეებში ქალაქის გაფორმების სამუშაოები (2025-2026 წელს) - დამონტაჟდა საახალწლო მანათობელი კონსტრუქციები და სხვადასხვა მოწყობილობები კერძოდ: 112 ერთეული "ფიფქი", 17 285 ერთეული „გირლიანდა", 100 ერთეული "ბურთი", 50 ერთეული "ნაძვი", 100 ერთეული "ბაფთა", 100



ერთეული "ანგელოზი", 100 ერთეული "ვარსკვლავები", 100 ერთეული "ზარები", 3 017 ერთეული „ლედ სტრინგი“, 1 224 ერთეული „ლედ ჯონჯოლი“, 271 ერთეული „მეტეორი განათება“, 7 828 ერთეული „ლედ დიოდური განათება“, 4 ერთეული „ლოტუსი“, 1 407 ერთეული „ბალახი“, 45 ერთეული „ლუზა“, 29 ერთეული „ყვავილი ლოტუსი“, 4 500 ერთეული „დეკორაცია ტალღა“, 80 ერთეული „გემი“, 1 ერთეული „დელფინები“, 60 ერთეული „ვეშაპის კუდი“, 29 ერთეული „თოლია“, 48 ერთეული „ბაბუაწვერა მზე“, 90 ერთეული „შობის ვარსკვლავი“, 20 ერთეული „ბორჯღალო“, 20 ერთეული „განათებული ბორბალიდიამეტრი“, 78 ერთეული „განათება ბადე“, 151 ერთეული „ფეერვერკი“, 117 ერთეული „ბაბუაწვერა“, 1 ერთეული „მატარებელი“, 1 ერთეული კონსტრუქცია „2024“, 12 ერთეული „ნამვის ხე“.

მიღწეული შედეგები:

განხორციელდა ქალაქის გაფორმების ღონისძიებები, შეიქმნა სადღესასწაულო გარემო.

ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 07 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტო

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 5,372.6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 3,886.2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 72%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქალაქ ბათუმში სხვადასხვა სახის სამხატვრო გაფორმებითი სამუშაოები ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: შეღებვა და მცირე რესტავრაცია ჩაუტარდა წარწერებისაგან დასვრილ 9000 კვმ ფასადს. ქალაქში დასუფთავდა და გაიწმინდა 10000 კვმ. არსებული შენობა-ნაგებობები, ფასადები და კედლები. დამზადდა 1 ერთეული მემორიალური დაფა.

ქალაქ ბათუმში დროშების შექმნა/მოტაჟითა და დემონტაჟით ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: ქალაქში სადღესასწაულო განწყობის შექმნის მიზნით არსებული სტაციონალური ფლამტოკებისათვის შეიკერა და გამოიფინა (მონტაჟი - დემონტაჟი) დროშა ზომით 1.5 კვმ X 1.00 კვმ -228 ცალი; ამავე მიზნით შეიკერა და გამოიფინა არასტანდარტული ზომის 9X6 10 ცალი დროშა; ალამი 4612 ცალი და დროშა 2X1 320 ცალი. სხვა და სხვა სახის ღონისძიებაზე არასტანდარტული დროშა 671 კვმ.

ქალაქ ბათუმში საცხოვრებელი სახლების საინფორმაციო ფირნიშების შექმნა-მონტაჟი, ქუჩის მიმართულების მანიშნებელის შექმნა-მონტაჟი ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: საცხოვრებელი სახლებისათვის დამზადდა და დამონტაჟდა 2359 ცალი მისამართიანი აბრები; ახალი ქუჩის მიმართულების მანიშნებელი - 50 ცალი. აღდგა ადგილზე 17 ცალი მისამართიანი აბრა.

ბიუსტების, ძეგლების და ქანდაკებების მოვლა-დასუფთავება -ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: წლის განმავლობაში (თვეში ერთჯერ) გაიწმინდა და გასუფთავდა 9 ერთეული ძეგლი შემდეგ მისამართებზე: ილია ჭავჭავაძის ძეგლი - დრამატული თეატრის მიმდებარედ; მემედ აბაშიძის ძეგლი - თავისუფლების მოედანი; გალაქტიონ ტაბიძის ძეგლი - ტაბიძის ქუჩაზე არსებულ სკვერში; ყიული შარტავას ძეგლი - ყიული შარტავას ქუჩის გზაგამყოფ ზოლში; რუსეთ-საქართველოს ომში



დალუპულ გმირთა მემორიალი- ჯავახიშვილის ქუჩაზე არსებულ სკვერში; 9 აპრილის მემორიალი-ჟიული შარტავას ქუჩის გზაგამყოფ ზოლში.

წლის განმავლობაში ყოველთვიურად გაიწმინდა და გასუფთავდა 21 ერთეული ბიუსტი შემდეგ მისამართებზე: ა. წერეთლის ბიუსტი - გრიბოედოვის ქუჩა N22 სკოლის ეზოში; ვ. მაიაკოვსკის ბიუსტი - ბაგრატიონის ქ. N123-ის მიმდებარედ; შ. რუსთაველის ბიუსტი - შ.რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის ეზოში; ფ. გოგიტიძის ბიუსტი - აეროპორტის შესასვლელთან; ს. ჟღენტის ბიუსტი - სასტუმრო „რედისონი“-ს მიმდებარედ; დ. კლდიაშვილის ბიუსტი- მელიქიშვილისა და კლდიაშვილის ქუჩების კვეთაში; ვაჟა-ფშაველას ბიუსტი - ხელოვნების მუზეუმის მიმდებარედ; ლუკა ასათიანის ბიუსტი - ხელოვნების მუზეუმის მიმდებარედ; ს. ხიმშიაშვილის ბიუსტი - ბაგრატიონისა და ს. ხიმშიაშვილის ქუჩების კვეთაში; პ. მელიქიშვილის ბიუსტი - მელიქიშვილის ქუჩის დასაწყისში; ნიკო ფიროსმანაშვილის ბიუსტი - ფიროსმანის ქუჩაზე მდებარე სკვერში; ისრაფილ ჯინჭარაძის ბიუსტი - მახინჯაურის ცენტრში მდებარე სკვერში; ილია ჭავჭავაძის ბიუსტი - ჭავჭავაძის ქუჩის დასაწყისში; აკაკი წერეთლის ბიუსტი - წერეთლის ქუჩაზე N 23 სკოლის ეზოში; შ. რუსთაველის ბიუსტი - პუმპინის ქუჩაზე N 4 სკოლის ეზოში; ისრაფილ ჯინჭარაძის ბიუსტი-მოსწავლე ახალგაზრდობის პარკი. "

წლის განმავლობაში (თვეში ერთჯერ) გაიწმინდა და გასუფთავდა ჟიული შარტავას ქუჩის გზაგამყოფ ზოლში არსებულ სკვერში განლაგებული 9 ცალი ქანდაკება. ასევე, გაირეცხა და დასუფთავდა მედეას ძეგლი 2-ჯერ.

რესტავრაცია ჩაუტარდა 69 ცალ ქუჩის მიმართულების მიმანიშნებელ ბანერებს. კვარტალში ერთჯერ გაირეცხა მედეას ძეგლი.

ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა, შეკეთება-მოწყობა ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: ქალაქის მასშტაბით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ეზოებში შეკეთდა 291 ცალი ფანჩატური, 1327 ცალი საბაღე სკამი, 88 ერთეული ატრაქციონი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა საცხოვრებელი კორპუსების 92 ერთეულ სახურავს, 173 ერთეულ წყალსაწრეტ მილს და 140 ერთეულ წყალშემკრებ ღარს. სტიქიური მოვლენის შედეგად (ძლიერი თოვლი) რეაბილიტაცია ჩაუტარდა 41 ერთეულ საცხოვრებელი სახლის სახურავსა და აივანს; ასევე დაზიანებული ფასადების გაწმენდითი და სალიკვიდაციო სამუშაოები ჩატარდა 18 მისამართზე; ქალაქის მასშტაბით სპორტულ მოედნებზე, სკვერებში და სერვისცენტრის შენობებში სულ 120 მისამართზე განხორციელდა დაზიანებული განათების სისტემის აღდგენა; ქალაქის მასშტაბით განხორციელდა სხვადასხვა სახის აღდგენითი სამუშაოები უსახური შენობის ჩახურვა 38 მისამართზე; საპარკინგე სივრცეში ჩასასვლელის დალუქვა; საწარვე ურნის რეაბილიტაცია და ა.შ; ქალაქის ფარგლებში, კერძოდ სამ მისამართზე მოეწყო შადრევნების სარეაბილიტაციო და შეკეთებითი სამუშაოები. კვირაში 2-ჯერ ირეცხება და სუფთავდება შადრევნები 22 ლოკაციაზე. ქალაქის მასშტაბით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კორპუსების ეზოებში 82 სპორტულ მოედანს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია; ქალაქის მასშტაბით ასევე ჩატარდა სხვა და სხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 12 მისამართზე; ტრენაჟორების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების (440000 ლარი) ტენდერი 2-ჯერ არ შედგა და გამოცხადდა ხელმეორედ. ატრაქციონების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების 130 მისამართზე (1216980 ლარი) ტენდერი მიმდინარეობს. დასრულებული ორი სპორტული მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოებზე მიმდინარეობს ექსპერტის დასკვნის წარმოდგენის პროცედურები. ახალი ატრაქციონი მოეწყო 33 მისამართზე; სარეაბილიტაციო



სამუშაოები ჩაუტარდა 20 ლოკაციაზე არსებულ ატრაქციონს, მათ შორის 4 მისამართზე მოეწყო ახალი საჩრდილობელი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია ქალაქის გაფორმების ღონისძიებები, შექმნილია სადღესასწაულო გარემო.

ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 00)

ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება (პროგრამული კოდი 03 01)

ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 01 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 23,430.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 23,422.1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში, ქალაქის იერსახის ჰიგიენური და ესთეტიკური მოწესრიგების, ქალაქის ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვის, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობის მიზნით საანგარიშო პერიოდში რეგულადულად მიმდინარეობდა დასუფთავების სამუშაოები. მათ შორის, ყოველდღიურად ხორციელდებოდა 3 642 300 კვ.მ ფართობის ქუჩებისა და მოედნების დასუფთავება, ხოლო 1 802 180 კვ.მ. ეზოების და ქუჩების კვირაში ერთჯერ დასუფთავება. სულ წლის განმავლობაში გატანილ იქნა 120 000 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი და ანახვეტი.

დიდთოვლობის პერიოდში, სპეცმანქანებით (სულ 14 ერთეული), ბულდოზერებით (საკუთარი 2 ერთეული და ნაქირავები 5 ერთეული), გრეიდერებით (2 ერთეული) განხორციელდა ქალაქის ქუჩებისა და მოედნების თოვლის საფარისგან გაწმენდა, სულ 1100 საათი იმუშავა ბულდოზერებმა და სპეცმანქანებმა, ხოლო გრეიდერები დატვირთული იყო 100 საათის განმავლობაში. ასევე, განხორციელდა მოყინვის საწინააღმდეგო ღონისძიებები - 100 ტონა მარილის და 800 კუბ.მ. ქვიშის გატანა. ქალაქის ტერიტორიიდან გატანილ იქნა 2 000 კუბ.მ. თოვლი, სადაც დასაქმებული იყო როგორც საკუთარი ისე ნაქირავები სპეცტექნიკა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ხდებოდა ტროტუარების და სკვერების თოვლის საფარისგან გაწმენდა მეეზოვეების მიერ, სულ ამ სამუშაოებში ჩართული იყო 350-ზე მეტი მეეზოვე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შტორმის პერიოდში, სპეცმანქანებით (საკუთარი 5 ერთეული), ბულდოზერებით (საკუთარი 2 ერთეული) განხორციელდა ბათუმის შავი ზღვის სანაპიროს დასუფთავება და ნაგვის გატანა, მნიშვნელოვანი წვლილი სანაპიროს დასუფთავებაში შეიტანეს ქალაქ ბათუმის სხვადასხვა ორგანიზაციებმა და მოქალაქეებმა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ხდებოდა სანაპიროს ხელით დასუფთავება მეეზოვეების მიერ, სულ ამ სამუშაოებში ჩართული იყო 300-ზე მეტი მეეზოვე.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზუნველყოფილია დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება.



ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 02)

პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 01)

▶ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

▶ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 19,707.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 17,993.2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 91%.

პროგრამის აღწერა:

ქ, ბათუმში, ფრ. ხალვაშის გამზირი N374-ის მიმდებარედ არსებულ ნაძვნარში სკვერის მოწყობა - მოეწყო 8,81 კვ.მ. ჭები, 256,9 მ. მილი, 378 კვ.მ. კოლექტორი, 960 კვ.მ. დეკორატიული შემოღობვა, 2 600 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, 6 099 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 186 კვ.მ. ტაქტილური ფილა, 930 კვ.მ. გრანიტის ქვაფენილი, 7,9 კვ.მ. რკ/ბეტონის ანაკრები ფილა, 4 496,4 გრმ.მ. ბორდიური, 5 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 1 კომპლ. სავარჯიშო ტრენაჟორი, 3 ც. ფანჩატური, 120 ც. საპარკე სკამი, 14 500 კვ.მ. კორდი, 129 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით, ერთი ერთეული სპორტული მოედანი. (დასრულდა)

ქ, ბათუმში, ძმები ნობელების ქუჩა N41-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 12,1 კვ.მ ჭები, 231,5 მ. მილები, 311,9 კვ.მ. შემოღობვა, 2 712 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, 1 445 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 1 127 გრმ.მ. ბორდიური, 290 კვ.მ. ველობილიკის გზა ც/ბეტონის საფარით, 5 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 1 კომპლ. სავარჯიშო ტრენაჟორი, 36 ც. სკამი, 5 ც. ფანჩატური, 1 244 კვ.მ. კორდი, ერთი ერთეული შადრევანი, 26 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით.

დაბა ჩაქვი, თამარ მეფის გამზირზე ს/კ20.48.02.068 სკვერის მოწყობა - მოეწყო 12,5 კვ.მ. ჭები, 360,3 მ. მილები, 109,5 კვ.მ. კიბე და დამცავი კედლები, 236 კვ.მ. გრანიტის ფილა, 278 კვ.მ. შემოღობვა, 614 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, 1 244 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 84 კვ.მ. ტაქტილური ფილა, 1 333 გრმ.მ. ბორდიური, 342 კვ.მ. ველობილიკის გზა ც/ბეტონის საფარით, 5 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 1 კომპლ. სავარჯიშო ტრენაჟორი, 4 ც. ფანჩატური, 26 ც. სკამი, 1 145 კვ.მ. კორდი, 28 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით, 1 ერთეული სპორტული სტადიონი; დაირგო 233 ც. ხე-მცენარე.

ფრიდონ ხალვაშის გამზირის მიმდებარედ, შანიძის ქუჩის კვეთიდან, ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩის კვეთამდე სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია - 594,15 კვ.მ. დეკორატიული შემოღობვა, 5 551 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 449 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, 3 027 გ/მ ბორდიური, 5 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 2 კომპლ. სავარჯიშო ტრენაჟორი, 7 ც. ფანჩატური, 58 ც. სკამი, 3 146 კვ.მ. კორდი, 70 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით, ერთი ერთეული სპორტული მინი-მოედანი, ერთი ერთეული გასახდელის შენობა, 310 მ. მილი, 2,55 კვ.მ. ჭები, 18 ც. სანათი; რეაბილიტირდა ერთი ერთეული სპორტული მინი-მოედანი.

ქ. ბათუმში, დავით აღმაშენებლის ქუჩა N7-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია - მოეწყო 10,03 კვ.მ. ჭები, 192,6 მ. მილი, 36,12 კვ.მ. კოლექტორი, 36,98 კვ.მ. დეკორატიული შემოღობვა, 1882 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, 8300 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 727 გრმ.მ. ბორდიური, 4 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 1 კომპლ. სავარჯიშო ტრენაჟორი, 3 ც. ფანჩატური, 18 ც. სკამი, 389 კვ.მ. კორდი, 20 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით, 1 ერთეული სპორტული მინი მოედანი; დაირგო 64 ც. ხე-მცენარე.



ქ. ბათუმში, ინასარიძის ქუჩა N6-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია - მოეწყო 65,03 კვ.მ. დეკორატიული შემოღობვა, 430 კვ.მ. ა/ზეტონის საფარი, 381 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 330 გრძ.მ. ბორდიური, 2 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 2 ც. ფანჩატური, 8 ც. დეკორატიული სკამი, 156 კვ.მ. მწვანე კორდი, 9 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით.

ქ. ბათუმში, გორგილამის ქუჩა N54-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია - მოეწყო 34,1 კვ.მ. დეკორატიული შემოღობვა, 1 400 კვ.მ. ა/ზეტონის საფარი, 377 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 277 გრძ.მ. ბორდიური, 72,5 კვ.მ. კაუჩუკის საფარი, 3 ც. ფანჩატური, 7 ც. დეკორატიული სკამი, 59 კვ.მ. მწვანე კორდი, 11 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით, ერთი ერთეული სპორტული მინი-მოედანი.

ქ. ბათუმში, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N47-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია - მოეწყო 12,72 კვ.მ. სანიაღვრე ჭები, 239,4 მ. მილი, 124,95 კვ.მ. დეკორატიული შემოღობვა, 2 514 კვ.მ. ა/ზეტონის საფარი, 780,8 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 560 გრძ.მ. ბორდიური, 1 კომპლ. სავარჯიშო ტრენაჟორი, 3 ც. ფანჩატური, 1 ც. ჩოგბურთის მაგიდა, 19 ც. დეკორატიული სკამი, 347 კვ.მ. მწვანე კორდი, 21 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით, ერთი ერთეული სპორტული მინი-მოედანი.

ქ. ბათუმში, გოდერძი ჩოხელის ქუჩა N45-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 3 კვ.მ. ჭები, 21,1 მ. მილი, 36,12 კვ.მ. კოლექტორი, 32,8 კვ.მ. დეკორატიული შემოღობვა, 74 კვ.მ. ა/ზეტონის საფარი, 53 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 109,5 გრძ.მ. ბორდიური, 1 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 1 კომპლ. სავარჯიშო ტრენაჟორი, 4 ც. სკამი, 23 კვ.მ. კორდი, 2 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით; დაირგო 17 ც. ხე-მცენარე.

ქ. ბათუმში, ზ. ნაჭყებიას ქუჩა N2-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 11 კვ.მ. ჭები, 146,5 მ. მილი, 33,15 კვ.მ. დეკორატიული შემოღობვა, 443 კვ.მ. ა/ზეტონის საფარი, 350 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 279 გრძ.მ. ბორდიური, 1 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 1 ც. ფანჩატური, 6 ც. სკამი, 164 კვ.მ. კორდი, 6 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით; დაირგო 18 ც. ხე-მცენარე.

ქ. ბათუმში, დიმიტრი სვიშჩევსკის ქუჩა N36-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 24,23 კვ.მ. დეკორატიული შემოღობვა, 67,6 კვ.მ. შემოფარგვლა, 210 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 139 გრძ.მ. ბორდიური, 2 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 1 კომპლ. სავარჯიშო ტრენაჟორი, 7 ც. დეკორატიული სკამი, 101 კვ.მ. მწვანე კორდი, 6 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით, ერთი ერთეული სპორტული მინი-მოედანი; დაირგო 53 ც. ხე-მცენარე.

ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის მე-7 შესახვევი N5ა-ს მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 33,15 კვ.მ. დეკორატიული შემოღობვა, 128 კვ.მ. შემოფარგვლა, 1 945 კვ.მ. ა/ზეტონის საფარი, 1 116 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 813 გრძ.მ. ბორდიური, 3 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 5 ც. ფანჩატური, 15 ც. სკამი, 497 კვ.მ. კორდი, 17 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით; დაირგო 52 ც. ხე-მცენარე.

ქ. ბათუმში, კახაბრის ქუჩა N32-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 11,54 კვ.მ. ჭები, 356,6 მ. მილი, 159 კვ.მ. დეკორატიული შემოღობვა, 3 255 კვ.მ. ა/ზეტონის საფარი, 770 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 1 026 გრძ.მ. ბორდიური, 2 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 1 კომპლ. სავარჯიშო ტრენაჟორი, 4 ც. ფანჩატური, 16 ც. სკამი, 707 კვ.მ. კორდი, 8 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით; დაირგო 108 ც. ხე-მცენარე.

ქ. ბათუმში, სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩა N37-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 52,28 კვ.მ. დეკორატიული შემოღობვა, 246 კვ.მ. ა/ზეტონის საფარი, 128 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 112 გრძ.მ. ბორდიური, 1 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 4 ც.



დეკორატიული სკამი, 2 ც. ფანჩატური, 74 კვ.მ. მწვანე კორდი, 4 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით.

ქ. ბათუმში, ტბეთის შესახვევი N11-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 255 კვ.მ. დეკორატიული შემოღობვა, 900 კვ.მ. ა/ზეტონის საფარი, 936,4 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 615 გრძ.მ. ბორდიური, 2 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 5 ც. ფანჩატური, 20 ც. დეკორატიული სკამი, 872 კვ.მ. მწვანე კორდი, 28 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით, ერთი ერთეული სპორტული მინი-მოედანი; დაირგო 68 ც. ხე-მცენარე.

ქ. ბათუმში, პარმენ რურუას ქუჩა N4-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 5 კვ.მ. ჭები, 54,26 მ. მილი, 59,9 კვ.მ. დეკორატიული შემოღობვა, 879 კვ.მ. ა/ზეტონის საფარი, 230 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 249 გრძ.მ. ბორდიური, 4 ც. სკამი, 1 ც. ფანჩატური, 190 კვ.მ. კორდი, 10 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით.

ქ. ბათუმში, პარმენ რურუას ქუჩა N13-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 25 კვ.მ. ჭები, 427,3 მ. მილი, 107,1 კვ.მ. დეკორატიული შემოღობვა, 1 450 კვ.მ. ა/ზეტონის საფარი, 1 409 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 1 096 გრძ.მ. ბორდიური, 1 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 1 კომპლ. სავარჯიშო ტრენაჟორი, 5 ც. ფანჩატური, 34 ც. სკამი, 1 809 კვ.მ. კორდი, 35 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით, 1 ერთეული სპორტული მინი მოედანი; დაირგო 26 ც. ხე-მცენარე.

ქ. ბათუმში, სერგი მესხის ქუჩა N40-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 12 კვ.მ. ჭები, 134,1 მ. მილი, 38,25 კვ.მ. შემოღობვა, 180 კვ.მ. შემოფარგვლა, 145 კვ.მ. ა/ზეტონის საფარი, 1 039 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 455 გრძ.მ. ბორდიური, 3 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 1 კომპლ. სავარჯიშო ტრენაჟორი, 3 ც. ფანჩატური, 27 ც. სკამი, 1 177 კვ.მ. კორდი, 19 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით, 1 ერთეული სპორტული მინი მოედანი; დაირგო 215 ც. ხე-მცენარე.

ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის ქუჩა N209-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 163 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 68 გრძ.მ. ბორდიური, 4 ც. დეკორატიული სკამი, 2 ც. ფანჩატური, 49 კვ.მ. მწვანე კორდი, 9 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით, ერთი ერთეული სპორტული მინი-მოედანი; დაირგო 23 ც. ხე-მცენარე.

ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის ქუჩა N165ბ-ს მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 10 კვ.მ. სანიაღვრე ჭები, 23,5 მ. სანიაღვრე მილები, 76,1 კვ.მ. რკ/ზეტონის კედელი, 47 გ/მ სადრენაჟე სისტემა, 2,8 კვ.მ. კიბე, 79,3 კვ.მ. შემოღობვა, 600 კვ.მ. ა/ზეტონის საფარი, 297 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 200,7 გრძ.მ. ბორდიური, 1 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 1 კომპლ. სავარჯიშო ტრენაჟორი, 1 ც. ფანჩატური, 6 ც. დეკორატიული სკამი, 130 კვ.მ. მწვანე კორდი, 12 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით; დაირგო 29 ც. ხე-მცენარე.

ქ. ბათუმში, რეზო თაბუკაშვილის ქუჩა N19-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 191 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 89 გრძ.მ. ბორდიური, 1 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 1 კომპლ. სავარჯიშო ტრენაჟორი, 2 ც. ფანჩატური, 15 ც. დეკორატიული სკამი, 119 კვ.მ. მწვანე კორდი, 12 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით, ერთი ერთეული სპორტული მინი-მოედანი; დაირგო 14 ც. ხე-მცენარე.

ქ. ბათუმში, იოსებ გრიშაშვილის ჩიხი N4ა-ს მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 188,7 კვ.მ. დეკორატიული შემოღობვა, 1 340 კვ.მ. ა/ზეტონის საფარი, 850 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 1 077 გრძ.მ. ბორდიური, 2 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 1 კომპლ. სავარჯიშო ტრენაჟორი, 4 ც. ფანჩატური, 28 ც. დეკორატიული სკამი, 1 695 კვ.მ. მწვანე კორდი, 34 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით.

ქ. ბათუმში, თამარის დასახლება N6-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 70,13 კვ.მ. დეკორატიული შემოღობვა, 870 კვ.მ. ა/ზეტონის საფარი, 494 კვ.მ.



დეკორატიული ფილა, 451 გრძ.მ. ბორდიური, 2 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 1 კომპლ. სავარჯიშო ტრენაჟორი, 2 ც. ფანჩატური, 13 ც. დეკორატიული სკამი, 322 კვ.მ. მწვანე კორდი, 7 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით, ერთი ერთეული სპორტული მინი-მოედანი.

ქ. ბათუმში, კახაბერის ქ. N28-ში არსებული სპორტული მოედნის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოწყობა 450 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, 754 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 535,2,2 გრძ.მ. ბორდიური, 1 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 1 კომპლ. სავარჯიშო ტრენაჟორი, 2 ც. ფანჩატური, 10 ც. სკამი, 389,2 კვ.მ. კორდი, 7 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით.

ქ. ბათუმში, აფსაროსის გზატკეცილი III შესახვევი N1, N2, N4, N8-10, N14, N20-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა; ქ. ბათუმში, ხახულის ქუჩა N32, N34 და N36-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა; ქ. ბათუმში, ნურეთინ ჩარმიქლის ქუჩა N5-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა; ქ. ბათუმში, აკაკი შანიძის I ჩიხი N14-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა; ქ. ბათუმში, წმ. თევდორე აჭარელის ქუჩა N59-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა; ქ. ბათუმში, პ. ბაგრატიონის ქუჩა N28-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა; ქ. ბათუმში, ი. მესხის ქუჩა N2ა-ს მიმდებარედ სკვერის მოწყობა; ქ. ბათუმში, სვიმონ კანანელის ქუჩა, N1ა-ში სკვერის მოწყობა-რეაბილიტაცია; ქ. ბათუმში, აფსაროსის გზატკეცილი II ჩიხი N5-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა; ქ. ბათუმში, ზაზა ფანასკერტელ ციციშვილის ქუჩაზე N3-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა; ქ. ბათუმში, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა N32-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია; ქ. ბათუმი, გ. ტაბიძის ქუჩა N31, N33, N35, N37, N39-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია; ქ. ბათუმი, გ. ტაბიძის ქუჩა N25-ის მიმდებარედ სკვერის კეთილმოწყობა; ქ. ბათუმი, გ. ლეონიძის ქუჩა N6ბ, N6გ-ს მიმდებარედ სკვერის მოწყობა; ქ. ბათუმში, გენერალ ა. აბაშიძის N48-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - საქართველოს მთავრობის 2025 წლის 13 მაისის N143 დადგენილების შესაბამისად, რომელიც შეეხება „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის N458 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას და ავალდებულებს მუნიციპალიტეტებს და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს უზრუნველყონ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დაწყებამდე საქართველოს მთავრობის წინასწარი თანხმობის მისაღებად, შესყიდვის ობიექტის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენას. აღნიშნული ღონისძიება დაექვემდებარა დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და რეგულაციებს, შესაბამისად ხარჯთაღრიცხვის ფასების ადეკვატურობის დადგენის მიზნით, საექსპერტო მომსახურების შესყიდვის მისაღებად, გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (NAT250010856) გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმდა N86 ხელშეკრულება. ვინაიდან, მომწოდებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნა არსებითად არ შეესაბამებოდა N86 ხელშეკრულებით დადგენილ მოთხოვნებს და შესრულებული იქნა არაჯეროვნად, სამმართველოს დირექტორის ბრძანების ბ90.1425234001 22/08/2025 საფუძველზე ხელშეკრულება შეწყდა. აგრეთვე, ზემოაღნიშნული საექსპერტო მომსახურების შესყიდვის მიზნით, განმეორებით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი (NAT250014726) დასრულდა უარყოფითი შედეგით. აღნიშნული ვითარების გათვალისწინებით, სამმართველომ, იდენტური მიზნით, კიდევ ერთხელ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (NAT250016783), რომლის დასრულების შემდეგ გაფორმდა N96 ხელშეკრულება. არსებული გარემოებების გათვალისწინებით, ვინაიდან ზემოჩამოთვლილ ქმედებებს, შესაბამისი პროცედურების გათვალისწინებით, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, დასჭირდა წლის



განმავლობაში არსებული მნიშვნელოვანი პერიოდი, აღნიშნული ღონისძიების განხორციელების მიზნით ელექტრონული ტენდერის გამოცხადება ვერ მოხერხდა, შესაბამისად ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნებების ათვისება."

ქ. ბათუმში, ჩაქვის დასახლების ტერიტორიაზე, მიუსაფარ ძალთა თავშესაფრის კომპლექსის მოწყობა - აუცილებელი გახდა აღნიშნული ღონისძიების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირება, რასაც დასჭირდა გარვეული პერიოდი. ასევე საქართველოს მთავრობის 2025 წლის 13 მაისის N143 დადგენილების შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დაწყებამდე საქართველოს მთავრობის წინასწარი თანხმობის მისაღებად, აღნიშნული ღონისძიების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია გაგზავნილ იქნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას დაქვემდებარებულ შესყიდვების და ბაზრის კვლევის დეპარტამენტში. მიღებული თანხმობის შემდეგ, ჩვენს მიერ 2025 წლის 21 ნოემბერს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი (NAT250021000). შესყიდვების პროცედურების გამო ხელშეკრულების გაფორმება გამარჯვებულ კომპანიასთან ვერ მოხერხდა 2025 წელს, ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება.

ქ. ბათუმში, ახალ ბულვარში სტიქიის შედეგად დაზიანებული საფეხმავლო ბილიკის აღდგენა და ზღვაში გამსვლელი სანიაღვრე კოლექტორების შტორმისგან დამცავი სარეგულაციო კედლების მშენებლობა -

1. ახალ ბულვარში სტიქიის შედეგად დაზიანებული საფეხმავლო ბილიკის აღდგენა - მოეწყო 7 350 კვ.მ. ბეჭდური ბეტონის არმირებული საფარი, 700 გ/მ ბორდიური, 14 ც. სანაგვე ურნა.

2. მოეწყო 114,92 ტ. ლითონის შპუნტები, 236,78 კვ.მ. რკ/ბეტონის სარეგულაციო კედლები. "

ცენტრალური პარკის დაცვა - ცენტრალური პარკის დაცვისათვის დაიფარა ხარჯები.

პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა - ტექზედამხედველობა იწარმოა საპროექტო გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე; შესრულებული სამშენებლო სამუშაოებზე, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების საპროექტო გადაწყვეტასთან, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერთიფიკატების, ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების არსებობაზე. საანგარიშო პერიოდში აუცილებლობა არ წარმოიშვა ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვაზე. ობიექტებზე ტექნიკური ზედამხედველობა აწარმოეს სამმართველოს თანამშრომლებმა, აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება.

წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა (ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხები) (მეორე 2,5%) - ქ. ბათუმში დასასვენებელი სკვერების მოწყობა (თამარ მეფის გამზირი N20-ში სკვერის მოწყობა, თამარ მეფის გზატკეცილზე რელიგიის მუზეუმის მიმდებარედ სკვერის მოწყობა) - მომწოდებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.



მიღწეული შედეგები:

ქალაქის ტერიტორიაზე სარეკრეაციო სივრცეში განხორციელებულია სამუშაოები.

ქალაქის გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 6,778.3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 6,431.9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95%.

➤ პროგრამის აღწერა:

- ✓ ქვეპროგრამის ფარგლებში სანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
- ✓ -5217372 კვ.მ გაიცელა მწვანე საფარი, შესაბამისად განხორციელდა მწვანე ბალახის შეგროვება და გატანა;
- ✓ - დაირგო 2628 ახლი ხე-მცენარე;
- ✓ - განხორციელდა 19120 ძირი ხემცენარეს დეკორატიული გასხვლა გაფორმება, 293 ძირი ხე-მცენარის გადაბეღვა, 97 ძირი დაზიანებული ხე-მცენარის ამოძირკვა, დაირგო 922348 სეზონურად მოყვავილე ერთწლოვანი ყვავილები.
- ✓ - ჩაუტარდა სეზონური სამუშაოები სანერგეში არსებულ ხე-მცენარეების ნერგებს;
- ✓ - 29998 ძირი ხე-მცენარეების ირგვლივ განხორციელდა შემობარვა-გათოხნა-გამარგვლა;
- ✓ - შეტანილი იქნა საჭიროებისამებრ მიწა;
- ✓ - განხორციელდა მცენარეების შეწამლვა შხამქიმიკატებით;
- ✓ - ბორდიულზე გადმოსული კორდის ჩამოჭრა 4137 გრძ.მ.

მიღწეული შედეგები:

განხორციელებულია ქალაქის გამწვანების ღონისძიებები, უზრუნველყოფილია ქალაქში არსებული მწვანე საფარის და ნარგავების მოვლა-პატრონობა, ფუნქციონირებს სანერგე-სასათბურე მეურნეობა.

პრიორიტეტი: განათლება

სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 38,894.1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 35,299.7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 91%.

➤ პროგრამის აღწერა:

მართვა-აღმინისტრირება - 2025 წლის გეგმის ფარგლებში მიმდინარეობდა დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება 7300 ალსაზრდელზე. ა(ა)იპ "ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების" დაქვემდებარებაში არსებული ოცდაჩვიდმეტი საბავშვო ბაღიდან ფუნქციონირებს ოცდაექვსი საბავშვო ბაღი, ხოლო ათ საბავშვო ბაღში



მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, რის გამოც დროებით შეჩერებულია სააღმშრდელო პროცესი.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა - 2025 წლის IV კვარტალში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მუნიციპალურ დაწესებულებებში სააღმშრდელო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების, ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვის, ჯანსაღი კვებისა და სწორი ფიზიკური განვითარების მიზნით მუნიციპალური საბავშვო ბაღების აღსაზრდელების ინტერესების დაცვისა და მათი სრულფასოვანი კვების მიზნით საბავშვო ბაღებს შეფერხების გარეშე მიეწოდებოდათ აღნიშნული მომსახურება და რაიმე სახის დაბრკოლებას ადგილი არ ჰქონია. კვებითი უზრუნველყოფის მუხლში IV კვარტალში დაგეგმილ რესურსზე ნაკლები ხარჯი გამოწვეულია ელექტრომულ ტენდერებში პრეტენდენტების მიერ ფასების კლების და შემდგომ აღსაზრდელთა დაბალი დასწრებით.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება 2025 წლის გეგმის ფარგლებში მიმდინარეობდა დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება. დაგეგმილ რესურსზე ნაკლები ხარჯი გამოწვეულია ჩატარებული ტენდერებში მიმწოდებელთა მიერ ფასთა კლებით, ასევე ზოგიერთი ღონისძიების განხორციელება გათვალისწინებული იყო ახლად გარემონტებული საბავშვო ბეღებისთვის და მათი განხარციელება გადაიდო საბავშვო ბაღებში რეაბილიტაციის დასრულების ვადისთვის.

მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდება.

საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 01 02-04 01 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 15,182.2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 6,964.5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 46%. რიგ ღონისძიებებზე მუშაობის პროცესში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გამოვლინდა გარკვეული უზუსტობები, რომლის კორექტირების შეთანხმებას პროექტის ავტორთან დასჭირდა გარკვეული დრო, რამაც გარკვეულწილად იმოქმედა სამუშაოების ტემპზე. ასევე აღსანიშნავია უამინდობითა და უხვნალექიანობით გამოწვეული შემაფერხებელი გარემოებაც. აგრეთვე, რიგ ღონისძიებებზე მიღებულ იქნა ეკონომია, რამაც გამოიცვია ქვეპროგრამით გათვალისწინებული ასიგნების შეუსრულებლობა..

პროგრამის აღწერა:

ქ. ბათუმში, ივანე მესხის I ჩიხი N7-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა - მიმდინარეობს ორსართულიანი, 1 503 კვ.მ. ფართის, 16 ოთახიანი, შვიდ ჯგუფიანი საბავშვო ბაღის შენობის მშენებლობის სამუშაოები. დასრულდა შენობის კონსტრუქციული ნაწილის, ტიხრების მოწყობისა და სახურავის გადახურვის სამუშაოების წარმოება. მიმდინარე ეტაპისათვის მიმდინარეობს შიდა ელექტრო კაბელების დაქსელვის, სკვერის და გარე ღობის კედლების მოწყობის სამუშაოების წარმოება. მუშაობის პროცესში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში



გამოვლინდა გარკვეული უზუსტობები, რომლის კორექტირების შეთანხმებას პროექტის ავტორთან დასჭირდა გარკვეული დრო, რამაც გარკვეულწილად იმოქმედა სამუშაოების ტემპზე. ასევე აღსანიშნავია უამინდობითა და უზენაღეჭიანობით გამოწვეული შემაფერხებელი გარემოებაც (განსაკუთრებით 2025 წლის ზამთრის დიდთოვლობა), აღნიშნულთან დაკავშირებით მომწოდებელ კომპანიას წარმოდგენილი აქვს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობა ნალექიან დღეებთან დაკავშირებით, რომლის რაოდენობაც 2024 წლის 12 დეკემბრიდან, 2025 წლის 30 ოქტომბრამდე შეადგენს 153 კალენდარულ დღეს. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, სამმართველომ მიზანშეწონილად მიიჩნია ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა და მხარეთა შეთანხმება N3-ის საფუძველზე სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2026 წლის 10 თებერვლის ჩათვლით პერიოდი. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით შემსრულებელმა კომპანიამ სამუშაოები აწარმოა შეფერხებით, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება.

ქ. ბათუმში, ნიკო მუსხელიშვილის ქ. N33 „დ“-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა - მიმდინარეობს ორ სართულიანი, 1 512 კვ.მ. ფართის, 16 ოთახიანი, შვიდ ჯგუფიანი საბავშვო ბაღის შენობის მშენებლობის სამუშაოები. დასრულდა შენობის ორივე სართულის კონსტრუქციული ნაწილის სამუშაოების წარმოება. დასრულების ეტაპზეა სკვერის მოწყობის სამუშაოები და მიმდინარეობს ტიხრების და გარე ღობის მოწყობის სამუშაოების წარმოება. ობიექტური ხელისშემშლელი გარემოებებიდან გამომდინარე სამუშაოები მიმდინარეობდა შეფერხებებით, ვინაიდან ერთი თვის დაგვიანებით მოხდა მშენებლობისათვის ტერიტორიის გამოთავისუფლება. აღნიშნულ მისამართზე მოსახლეობის მხრიდან თვითნებურად მოწყობილი იყო სხვადასხვა ტიპის დროებითი და რკინა-ბეტონის შენობები. ბაღის შენობის მშენებლობის ძირითად საპროექტო ტერიტორიაზე 15 დღე დასჭირდა ობიექტიდან მაღალი ძაბვის ხაზის გადატანას, ასევე ვერ ხერხდებოდა სამუშაო ფრონტის გაშლა, ვინაიდან სამშენებლო ობიექტის ტერიტორიის ნაწილი მიწის ნაკვეთი დაკავებული ჰქონდა ორ მიწათმოსარგებლეს, რომლებიც უარს აცხადებდნენ ტერიტორიის გამოთავისუფლებაზე. გარდა ამისა, მუშაობის პროცესში, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გამოვლინდა გარკვეული უზუსტობები, რომლის კორექტირების შეთანხმებას პროექტის ავტორთან დასჭირდა გარკვეული დრო, რამაც გარკვეულწილად იმოქმედა სამუშაოების ტემპზე, ასევე სკვერის ტერიტორიას ესაზღვრება ე.წ ელ. ქვესადგური („ტეპე“), რომლის მოპირკეთების სამუშაოები ვერ ხორციელდება, ვინაიდან აღნიშნულ ქვესადგურზე არსებობს მაღალი ძაბვის გამავალი საჰაერო ხაზები, უსაფრთხოების თვალსაზრისით კი საჭიროა ელ. მომარაგების სადგურის გათიშვა, რაც წარმოადგენს გარკვეულ სირთულეს. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, სამმართველომ მიზანშეწონილად მიიჩნია ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა და მხარეთა შეთანხმება N3-ის საფუძველზე სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2026 წლის 10 თებერვლის ჩათვლით პერიოდი. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით შემსრულებელმა კომპანიამ სამუშაოები აწარმოა შეფერხებით, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება.

ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილი N82-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა - დასრულდა ორ სართულიანი, 5 347 კვ.მ. ფართის, 31 ოთახიანი, რვა ჯგუფიანი საბავშვო ბაღის შენობის მშენებლობის სამუშაოები.



ქ. ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. N83-ში საბავშვო ბაღის მშენებლობა - დასრულდა ორ სართულიანი, 1 321,24 კვ.მ. ფართის, 19 ოთახიანი, ოთხ ჯგუფიანი საბავშვო ბაღის შენობის მშენებლობის სამუშაოები. სამუშაოების წარმოებით წარმოქმნილი ეკონომიების შედეგად ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება.

ქ. ბათუმი, ალექსანდრე ნანეიშვილის ქ. N12-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა - დასრულდა ორ სართულიანი, 3 212,3 კვ.მ. ფართის, 31 ოთახიანი, რვა ჯგუფიანი საბავშვო ბაღის შენობის მშენებლობის სამუშაოები.

ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N188-ში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა - დაგეგმილია ორ სართულიანი, 3 958 კვ.მ. ფართის, 28 ოთახიანი, თორმეტ ჯგუფიანი საბავშვო ბაღის შენობის მშენებლობის სამუშაოები. მოქალაქეების მიერ საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია ბარაკის ტიპის შენობა-ნაგებობები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიმდინარეობს მოქალაქეების ქირით გაყვანის პროცედურები. აღნიშნული პროცედურების დასრულების შემდეგ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია დაიწყებს საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოების წარმოებას. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოების ვადები არის გარდამავალი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გაიცა ავანსი.

საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობისა და კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა - ტექზედამხედველობა იწარმოა საპროექტო გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე; შესრულებული სამშენებლო სამუშაოებზე, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების საპროექტო გადაწყვეტასთან, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერთიფიკატების, ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების არსებობაზე. ანგარიშსწორება მომწოდებელ კომპანიასთან ხდება კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოების შემსრულებელი მომწოდებელი კომპანიის მიერ შემოთავაზებული საბოლოო სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად შესაბამისი პროცენტის ოდენობით. ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ. მომწოდებელმა კომპანიამ არ წარმოადგინა შესრულებული სამუშაოების შესაბამისი დოკუმენტაცია სამმართველოში, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება.

ბათუმში საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის (ენერგოეფექტიანობა - KfW ბანკი) პროექტის დამატებითი თანადაფინანსება - ბანკის საგრანტო მხარდაჭერით. განხორციელების პროცესში ბათუმის მუნიციპალიტეტს დახმარებას უწევს აღმასრულებელი კონსულტანტი - საერთაშორისო კომპანია Fichtner GmbH & Co.KG. 2025 წელს ქვეპროგრამის პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების მოცულობა სამივე ბაღში შეადგენს 69,97%-ს. სამ ბაღს შორის შედარებით ნაკლები მოცულობის სამუშაოები განხორციელებულია მე-16 ბაღში (იქედან გამომდინარე, რომ საჭირო გახდა შენობის გამაგრების სამუშაოების ჩატარება), ყველაზე მეტი პროგრესია მე-10 ბაღში; გადაწყდა ასევე მე-16 ბაღის საძირკვლის მდგრადობის შესწავლა და მასთან



ერთად მე-9 ბაღის (მე-2 ლოტი) მდგრადობის კვლევაც იქნა მიჩნეული მიზანშეწონილად. კვლევის სამუშაოები მიმდინარე ეტაპზეა; 2025 წლის III-IV კვარტალში გადაწყდა სამივე ბაღში იატაკსა და კედლებზე კერამიკული ფილების სრულად შეცვლა, არსებული ნალესობის ჩამოსხნა სრულად და ხელახლა შელესვა თაბაშირის აპარატით, არსებული საკანალიზაციო სისტემის სრულად შეცვლა, შეკიდული ჭერის სისტემის („არმსტრონგის ჭერი“) მოწყობა ყველა ოთახში. ეს სამუშაოები შეთანხმებულია და დიდი ნაწილი განხორციელდა; განიხილება სახურავების გამოცვლის საკითხი; განიხილება საკონსულტაციო კონტრაქტის გაგრძელების საკითხიც 2026 წლის ბოლომდე (ვადა სრულდება მიმდინარე წლის თებერვალში). ბაღების ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით, მომზადებულია პროექტები და იგეგმება ტენდერის გამოცხადება კანონმდებლობის შესაბამისად. 2025 წლის მდგომარეობით, პირველი ლოტის ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოების შემსრულებელ კონტრაქტორთან - შპს „გზა“ გადახდილია შესრულების დღგ - 828424,87 ლარი.

მიღწეული შედეგები:

გაიზარდა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა.

პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 274.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 83.1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 30,0%. სატენდერო პროცედურების დროში გაჭიანურების გამო ვერ მოხდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება.

➤ პროგრამის აღწერა:

ღონისძიების ფარგლებში, იანვარში, კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, განაცხადი შემოიტანა ფიზიკურმა პირმა ელენე ბერიძემ. მიმდინარე წლის 13 თებერვალს გაიმართა კომისია და ელენე ბერიძე გამარჯვებულად გამოვლინდა. კონკურსანტი, გაემგზავრა საფრანგეთში, ქალაქ ლიონში, (10.03.2025 – 18.04.2025) ფრანგული ენის შემსაწვლელი ინტენსიური კურსებსა და ტრენინგებში მონაწილეობის მისაღებად. ელენე ბერიძე დაბრუნდა საფრანგეთიდან და წარმოადგინა საგანმანათლებლო ღონისძიებაში მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტები.

თებერვალში, კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით განაცხადები შემოიტანეს ფიზიკურმა პირებმა: ანა სურმანიძემ, მერაბ დოლიძემ, ლუკა ბაკურიძემ, ლუკა მალაყმაძემ, დავით კახაძემ, ნიკა ბერიძემ, ნიკა დარჩიძემ, მაგდა დანელიამ, თეკლა დარჯანიამ და გუგა მუხაშავრიამ. წარმოდგენილი განცხადები, გარდა, გუგა მუხაშავრიას განაცხადისა (რეგისტრაციის ადგილი - ხელვაჩაური) სრულ შესაბამისობაში იყო ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 24 იანვრის №14.142402418 ბრძანებით დამტკიცებული ქვეპროგრამის „პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“, ღონისძიების „ახალგაზრდების საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობა“ ფარგლებში კონკურსის პირობების შესახებ დებულების



მოთხოვნებთან. მიმდინარე წლის 14 მარტის კომისიის გადაწყვეტილებით გამარჯვებულად გამოვლინდნენ: ანა სურმანიძე, მერაბ დოლიძე, ლუკა ბაკურიძე, ლუკა მალაყმაძე, დავით კახაძე, ნიკა ბერიძე, ნიკა დარჩიძე, მაგდა დანელია და თეკლა დარჯანია.

შერჩეული კონკურსანტებიდან:

ანა სურმანიძე - 01.04.2025 - 30.09.2025 პერიოდში გაემგზავრება გერმანიის ქალაქ იენში, ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაში - პოლიტიკური მეცნიერება - ჩასართავად;

მერაბ დოლიძე, ლუკა ბაკურიძე, ლუკა მალაყმაძე, დავით კახაძე, ნიკა ბერიძე და ნიკა დარჩიძე - 10.04. 2025 - 17.04. 2025 პერიოდში, იმყოფებოდნენ ბელგიის ქალაქ ბრიუსელში ინგლისური ენის სასწავლო კურსში მონაწილეობის მისაღებად, ევროპული სწავლების მეთოდოლოგიების შესასწავლად. ზემოაღნიშნული პირები დაბრუნდნენ ბელგიიდან და წარემოდგინეს საგანმანათლებლო ღონისძიებაში მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტაცია.

მაგდა დანელია და თეკლა დარჯანია - იმყოფებოდნენ ბულგარეთში, ქალაქ სოფიაში, სოფიას სამედიცინო უნივერსიტეტში (15.05.2025 - 18.05.2025) და მონაწილეობა მიიღეს - სამედიცინო მეცნიერებათა XXIII კონგრესში (ICMS 2025)."

15 აპრილს გამართული კომისიის გადაწყვეტილებით (ოქმი N3, 15.04.2025წ.) გამარჯვებულად გამოვლინდნენ კონკურსანტები: ნათია თანალიში, ელენე ნიკოლეიშვილი, ნანა ნაგერვაძე, მარიამ ფარცახაშვილი, თეა ვაშაყმაძე. შერჩეული კონკურსანტებიდან:

ნათია თანალიში, ნანა ნაგერვაძე, მარიამ ფარცახაშვილი და თეა ვაშაყმაძე (01.05.2025-31.07.2025) გაემგზავრნენ ესპანეთში ქალაქ ბარსელონაში, ევროოდისეის (EURODYSSSEY 2025) პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. რაც შეეხება ელენე ნიკოლეიშვილს ის იმყოფებოდა ბულგარეთში, ქალაქ სოფიაში, სოფიას სამედიცინო უნივერსიტეტში (15.05.2025 - 18.05.2025) სამედიცინო მეცნიერებათა XXIII კონგრესში (ICMS 2025) მონაწილეობის მისაღებად.

8 მაისს გამართული კომისიის გადაწყვეტილებით (ოქმი N4, 8.05.2025) გამარჯვებულად გამოვლინდნენ კონკურსანტები: არჩილ ქათამაძე და დიანა მამულაძე. არჩილ ქათამაძე გაემგზავრება იტალიაში, ქალაქ მილანში, (23.09. 2025 - 30.09. 2025) სასწავლო პროგრამა - იტალიური კულტურის, ტრადიციების, ლიდერობის უნარებისა და ეკონომიკის შესწავლის უზრუნველსაყოფად. ხოლო, დიანა მამულაძე გაემგზავრება ამერიკის შეერთებული შტატებში, ქალაქ - ნიუ იორკში, სპეციალიზირებული მოვლის კლინიკაში (3.11.2025 - 28.11.2025), სტაჟირების გასავლელად."

11 ივნისს გამართული კომისიის გადაწყვეტილებით (ოქმი N5, 11.06.2025წ.) გამარჯვებულად გამოვლინდა ნინო ზოიძე, ის, ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში, (18.08. 2025 - 12.11. 2025) იმყოფებოდა პროფესიული გამოცდილების გასაღრმავებლად და ენის კურსების გასავლელად.

16 დეკემბერს გამართული კომისიის გადაწყვეტილებით (ოქმი N6, 16.12.2025წ.) გამარჯვებულად გამოვლინდნენ: საბა იმხნელიძე და ნიკოლოზ კიწმარიშვილი.

საბა იმხნელიძე - გაემგზავრება ამერიკაში, ქალაქ ნიუ იორკში (12.01.2026 - 11.03.2026) გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში არაანაზღაურებადი სტაჟირების გასავლელად.



ნიკოლოზ კიწმარიშვილი - გაემგზავრება დანიაში, ქალაქ კოლდინგში (23.01.2026-26.06.2026) საერთაშორისო ბიზნესის აკადემიის ინგლისურენოვანი მარკეტინგის მენეჯმენტის პროგრამის გასავლელად.

- არჩილ ქათამაძე - 2025 წლის 23 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში უნდა გაემგზავრებულყო იტალიაში, საგანმანათლებლო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად. არჩილ ქათამაძემ მოგვმართა წერილობით, იმის თაობაზე, რომ სუბიექტური მიზეზების გამო, მომწვევ მხარეს სთხოვა პროექტის ჩატარების თარიღის გადატანა.

არჩილ ქათამაძე იმყოფებოდა იტალიაში (12.11.2025 - 19.11.2025) და წარმოადგინა ღონისძიებაში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასევე, დიანა მამულაძე დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ხოლო, ნინო ზოიძე ბელგიიდან. ნინო ზოიძემ და დიანა მამულაძემ წარმოადგინეს ღონისძიებებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია."

2. ღონისძიება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის ხელშეწყობა (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების (მშენებლობის/რეაბილიტაციის/აღჭურვის) განხორციელება“.

ღონისძიების ფარგლებში:

1. ქ. ბათუმის N30 საჯარო სკოლის პროფესიული განათლების ოთახის რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე გაფორმდა ხელშეკრულება და განხორციელდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (მიმწოდებელი - შპს „ნევ სთარი“, ხელშეკრულება N134 19.09.2025; ხელშეკრულების ფასი - 21287,17 ლარი. მიღება = ჩაბარება გაფორმდა 2025 წლის 23 ოქტომბერს, თანხაზე - 16 491, 55 ლარი);

2. ქ. ბათუმის N30 საჯარო სკოლის პროფესიული განათლების ოთახის აღჭურვის მიზნით გაფორმდა ხელშეკრულებები და მოწოდებული იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი.

მიღწეული შედეგები:

ხელწყობილია ბათუმელი ახალგაზრდების პროფესიული ზრდა.

სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის (პროგრამული კოდი 04 02 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 170.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 170.0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100,0%.

➤ პროგრამის აღწერა:

საანგარიშო პერიოდში:

1. გამოიცა ღონისძიების „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის" დებულება. ღონისძიების ფარგლებში განაცხადების მიღება მიმდინარეობდა ორ ეტაპად.

ა) პირველი ეტაპზე განაცხადებების მიღება მიმდინარეობდა 2025 წლის მარტის თვეში. სულ შემოვიდა 153 განაცხადი, რომელთაგან 18 არ აკმაყოფილებდა ქვეპროგრამით დადგენილ მოთხოვნებს. 135 სტუდენტიდან, ქვეპროგრამის შესაბამისად, სტიპენდია გაიცა 2024-2025 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრის შედეგების



მიხედვით საუკეთესო შედეგების მქონე 70 სტუდენტზე. ამათგან 50 სტუდენტზე, რომლებიც სწავლობენ პრიორიტეტულ მიმართულებებზე და 20 სტუდენტზე, რომლებიც სწავლობენ არაპრიორიტეტულ მიმართულებებზე.

ბ) 2024-2025 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრის ფარგლებში განაცხადების მიღება მიმდინარეობდა 2025 წლის 1 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით. აღნიშნულ პერიოდში, ქვეპროგრამის ფარგლებში სულ განსახილველად შემოვიდა 77 სტუდენტის განაცხადი, რომელთაგან 7 არ აკმაყოფილებდა ქვეპროგრამით დადგენილ მოთხოვნებს. სტიპენდია გაიცა 70 სტუდენტზე, ამათგან 38 სტუდენტზე, რომლებიც სწავლობენ პრიორიტეტულ მიმართულებებზე და 32 სტუდენტზე, რომლებიც სწავლობენ არაპრიორიტეტულ მიმართულებებზე. "

2. გამოიცა ღონისძიების „ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ დებულება. ღონისძიების ფარგლებში განაცხადების მიღება მიმდინარეობდა ორ ეტაპად.

ა) პირველი ეტაპზე განაცხადების მიღება მიმდინარეობდა 2025 წლის მარტის თვეში. ღონისძიების ფარგლებში სულ შემოვიდა 16 განაცხადი. ქვეპროგრამის შესაბამისად, სტიპენდია გაიცა 2024-2025 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრის შედეგების მიხედვით საუკეთესო შედეგების მქონე 10 სტუდენტზე, რომლებიც სწავლობენ საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ბ) მეორე ეტაპზე განაცხადების მიღება მიმდინარეობდა 2025 წლის 1 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით. აღნიშნულ პერიოდში, ქვეპროგრამის ფარგლებში სულ განსახილველად შემოვიდა 15 სტუდენტის განაცხადი. სტიპენდია გაიცა 2024-2025 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრის შედეგების მიხედვით საუკეთესო შედეგების მქონე 10 სტუდენტზე."

მიღწეული შედეგები:

წახალისებულია ბათუმელი სტუდენტები.

პრიორიტეტი: კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1,352.2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,168.1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 86%;

➤ პროგრამის აღწერა:

ეზოს ფეხბურთი - ბათუმის სპორტული ცენტრის ბაზაზე არსებული მასობრივი სპორტის განვითარების პროგრამა „ეზოს ფეხბურთი“. ბათუმის 12 ადმინისტრაციულ ერთეულში შეიქმნა ბიჭების 24 ასაკობრივი გუნდი და ჩართული იყო 300 მოზარდი.

საპლაჟო და ფუტსალი - გუნდი შედგა 25 მოზარდისგან, დაფინანსდა ფუტსალის გუნდის შიდა სატურნირო მივლინება, საანგარიშო პერიოდში გაცემულია სპორტსმენებსა და მწვრთნელებზე ხელფასები, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება, შეძენილია სპორტული ინვენტარი და ეკვიპირება აღსაზრდელებისათვის.

სპეციალური საჭიროების მქონე ბავშთა სპორტული სექცია - „სპეციალური საჭიროების მქონე ბავშთა სპორტული სექცია მოიცავს 70- მდე მოზარდს, ვარჯიშები



ტარდებოდა კვირაში 2 დღე (ხანგრძლივობა 2 სთ). თანამშრომლებზე გაცემულია ხელფასები, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება, შეძენილია სპორტული ინვენტარი და ეკიპირება."

ეზოს ფეხბურთის ღონისძიება მიმდინარეობდა 10 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე, 10 ადმინისტრაციულ ერთეულში, 2-2 ასაკობრივ ჯგუფებად, გაიმართა ჩემპიონატი მინი ფეხბურთში სულ ჩართული იყო 250 მონაწილე, გამარჯვებულ გუნდები გაემგზავრენ ბაკურიანში 3 დღით. ასევე, დაჯილდოვდნენ მედლებით, თასებით და სხვადასხვა პრიზებით.

ქვიშის ფეხბურთის ღია ფესტივალი (საერთაშორისო) - 2025 წლის 22-24 აგვისტოს ბათუმის სპორტული ცენტრის ორგანიზებით, ქვიშის არენაზე გაიმართა ქვიშის ფეხბურთის საერთაშორისო ფესტივალი, სადაც მონაწილეობა მიიღო ექვსმა გუნდმა. გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ მედლებით, თასებით და სხვადასხვა პრიზებით.

ქვიშის საერთაშორისო ფესტივალი EURO BEACH SOCCER LEAGUE GEORGIA 2025 - 2025 წლის 19-21 ივლისს ჩატარდა ევროპის ლიგის A დივიზიონის ერთ-ერთი ეტაპი ქვიშის ფეხბურთში, სადაც მონაწილეობას ღებულობდა 8 ქვეყნის ეროვნული ნაკრები, საერთო ჯამში მონაწილეობა მიიღო 120-მდე სპორტსმენმა. გამარჯვებული მონაწილეები დაჯილდოვდნენ მედლებით, თასებით და სხვადასხვა პრიზებით. დაფინანსებულია ქვიშის ფეხბურთის გუნდის გასვლითი მივლინება (ქვეყნის გარეთ). ფეხბურთის გუნდისთვის სათამაშო ფორმის შექმნა."

ქვიშის ჭიდაობა - ქვიშის ჭიდაობის სექციაში გაწევრიანებული იყო 25 აღსაზრდელი, სისტემატიურად ვარჯიშობდა კვირაში სამი დღე 2 საათით. გაცემულია ხელფასები მწვრთნელებზე.

მინდვრის ჰოკეის სექციის განვითარება - მინდვრის ჰოკეი არის ერთ-ერთი პოპულარული ოლიმპიური სპორტის სახეობა და ფიზიკური აღზრდის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მინდვრის ჰოკეის სექციაში ფუნქციონირებდა ორი ჯგუფი (გოგონების და ვაჟების), სულ 50 აღსაზრდელი, ვარჯიშები ტარდებოდა კვირაში სამჯერ. გაცემულია ტრენერზე ხელფასი. დაფინანსებულია სექციის დაფინანსებულია შიდა სატურნირო მიღვინება."

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 2025 წლის 20-26 მაისს ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი ღონისძიება ვეტერანებს შორის სპორტის 6 სხვადასხვა სახეობაში: ნარდი, შაში, დარტსი, მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონი და ჭადრაკი. საერთო ჯამში ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 100-მდე ვეტერანმა სპორტსმენმა. გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები, რომლებსაც გადაეცათ სიგელები, მედლები და ფასიანი ვაუჩერები.

ველო მარათონი - 4 მაისს გაიმართა ველო მარათონი, ღონისძიებაში მონაწილეობა შეეძლო ნებისმიერ მსურველს. ველო-მარათონი ჩატარდა ზღვისპირა ზოლის პლომინატზე. გამოვლინდნენ გამარჯვებულებები, რომლებიც დაჯილდოვდნენ სიგელებითა და ფასიანი ვაუჩერებით. ღონისძიების მიზანი იყო მოხალისეების აქტიური ჩართულობა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

ბათუმის სასკოლო ლიგა 2025 - 22 მაისიდან 27 ივნისის ჩათვლით გაიმართა პროექტი სასკოლო ლიგა, სპორტის 5 სხვადასხვა სახეობაში: მინი

ფეხბურთი, ქვიშის ფრენბურთი, ტექბოლი, 3-3 ზე კალათბურთი გოგონებს შორის და რაგბი. საერთო ჯამში, ღონისძიებაში ჩართული იყო 500-ზე მეტი მონაწილე.



გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები, რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები და პრიზები.

კიბერ ფეხბურთის ფესტივალი - ღონისძიება მიმდინარეობდა 29.03-02.04 განმავლობაში, მონაწილეობდა 512 მოხალისე, სადაც მონაწილეებმა გაიარეს რეგისტრაცია, დაიყვნენ ჯგუფებად და ფინალურ ეტაპზე გამოვლინდნენ გამარჯვებულები. მოეწყო სათამაშო სივრცეები, რომლებიც აღჭურვილი იყო PlayStation კონსოლებით, მონიტორებით, ტელევიზორებით, მაღალი სიჩქარის ინტერნეტით, განათებითა და აუდიო სისტემებით, რაც უზრუნველყოფს კომფორტულ და ხარისხიან თამაშის პროცესს.

ბათუმის სპორტის ქალაქი - 1 ივლისს გაიმართა საერთაშორისო სემინარი კარატე-ტაიკვანდოში. აღნიშნული სემინარი გაიმართა მუხრან ვახტანგაძის სახელობის სპორტის სასახლეში, სადაც მონაწილეობას ღებულობდა 6 ქვეყნის 350-მდე მონაწილე.

საქართველოს ღია ჩემპიონატი მოძრავ სამიზნე სროლაში - სპორტული ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ღია ჩემპიონატი სროლაში, ღონისძიება ჩატარდა 4 სხვადასხვა კატეგორიაში. სულ ჩართული იყო 60-მდე ადგილობრივი და რეგიონებიდან მოწვეული სპორტსმენები. გამოვლინდა გამარჯვებული სპორტსმენები, რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები, პრიზები და ფასიანი ვაუჩერი.

ელექტრო სკუტერების ღია ფესტივალი - 22 აგვისტოს გაიმართა ელექტრო სკუტერების ფესტივალი "Batumi Carting"-ის ტერიტორიაზე. ფესტივალში ჩართულ მონაწილეებს გადაეცათ მედლები, თასები და სხვადასხვა პრიზები.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია ცენტრის სასპორტო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება. მასობრივ სპორტში საზოგადოების ჩართულობა.

ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 105.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 98.8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 94%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამა „ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა“ გამოიცა ბრძანება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა“ ღონისძიების „ბათუმელი სპორტსმენების/მწვრთნელების ფინანსური მხარდაჭერა“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების მიზნით, კომისიის შექმნის თაობაზე. პირველ კვარტალში შემოვიდა შვიდი განაცხადი. 10 მარტს კომისიური წესით მოხდა განაცხადების განხილვა, შვიდივე სპორტსმენს მიეცა დაფინანსების რეკომენდაცია. გამოიცა გამოცხადებული კონკურსის შედეგების დამტკიცებისა და კონკურსში გამარჯვებულთა დაფინანსების მიზნით თანხის გამოყოფის თაობაზე ბრძანება. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა თანხის ჩარიცხვა. კარატისტები თამარ ცინცაბაძე, ნიკა ჯანაშია. ცოტნე შერიფაძე და ანდრია ონიანი 3-13 აპრილის პერიოდში იმყოფებოდა სერბეთის ქ. ზლატიბორში - სასკოლო



სპორტის საერთაშორისო გიმნაზიად 15 წლამდელოთა შორის - "ISF U15 GYMNASIADE" სადაც 54 ქვეყანას შორის გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს, ხოლო ნოდარ ხაჯიშვილი და მარიამ კომახიძე 28 სექტემბერი - 2 ოქტომბრის პერიოდში იმყოფებოდა ტოკიოში საერთაშორისო სემინარი და ტურნირი შოტოკან კარატე - დო- ში მონაწილეობის მისაღებად, ნოდარ ხაჯიშვილს მსოფლიო შოტოკან კარატე-დოს ფედერაციამ მიანიჭა შავი ქამარი და მაღალი კლასის ინსტრუქტორის მასტერის წოდება ხოლო მარიამ კომახიძემ ჩააბარა გამოცდა შავ ქამარზე და მიენიჭა მეორე დანის წოდება. ერთი სპორტსმენი - ირაკლი კომახიძე, რომელიც დაფინანსდა, ვერ გაემგზავრა ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, ჯანმრთელობის პრობლემების გამო, თანხა დაბრუნებულია შესაბამის სახაზინო ანგარიშზე.

მეორე კვარტალში შემოვიდა 5 სპორტსმენის განაცხადი. გაიმართა კომისიის სხდომა და ხუთივე სპორტსმენს გაეწია დაფინანსების რეკომენდაცია, 16 ივნისს გამოიცა მერის ბრძანება (ბ14.14251677) კონკურსის შედეგების დამტკიცებისა და კონკურსში გამარჯვებულთა დაფინანსების მიზნით თანხის გამოყოფის თაობაზე. ოთხი სპორტსმენი 9-13 ივლისს გაემგზავრა შვედეთში "მე-13 მსოფლიოს ჩემპიონატზე კარატეში" სადაც გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს. მოჭადრაკე მარიამ ცეცხლაძე, რომელიც 22-31 აგვისტოს - ბარსელონაში სანტის საერთაშორისო ღია ტურნირზე მონაწილეობის მისაღებად უნდა გამგზავრებულიყო, გარკვეული მიზეზების გამო ვიზიტი გაუუქმდა.

მესამე კვარტალში შემოვიდა 1 განაცხადი, გაიმართა კომისიის სხდომა, სადაც ვეტერან სპორტსმენს მიეცა დაფინანსების რეკომენდაცია, გამოიცა მერის ბრძანება ბ14.142525313. 2 დან 7 ნოემბრის ჩათვლით, პარიზში დაგეგმილ "მიუდოს მსოფლიო ჩემპიონატში, ვეტერანებს შორის" ბათუმელმა სპორტსმენმა პაატა ურიადემყოფელმა მიიღო მონაწილეობა. მეოთხე კვარტალში შემოვიდა ბათუმელი კარატისტის ნოდა ხაჯიშვილის განცხადება, გაიმართა კომისიის სხდომა და სპორტსმენს მიეცა დაფინანსების რეკომენდაცია, გამოიცა მერის ბრძანება, 16-23 დეკემბრის ჩათვლით სპორტსმენმა მონაწილეობა მიიღო ირანში, ქალაქ თეირანში "ირან ზამინის თასის მე-20 საერთაშორისო ჩემპიონატი კარატე-დოში" და დაიკავა პირველი ადგილი.

ლონისძიების „წლის სპორტსმენი“ ლონისძიება „წლის სპორტსმენი“ ითვალისწინებს წინა - ითვალისწინებს წინა - 2024 წლის ყველაზე წარმატებული სპორტსმენების, მწვრთნელების, გუნდების, კლუბების გამოვლენას, რომლებმაც წინა წელს მიაღწიეს მნიშვნელოვან, განსაკუთრებულ და გამორჩეულ სპორტულ წარმატებებს, ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის თუ მის ფარგლებს გარეთ; ასევე, იმ პირთა გამოვლენას, ვინც ღვაწლი გაწია, დამსახურება გააჩნია, თუ პირადი წვლილი შეიტანა სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარებაში.

ნომინაციები, პრიზების და ფულადი ჯილდოს ოდენობები, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია, შეფასების კრიტერიუმები, გადაწყვეტილების მიღების წესი, ვადები და სხვა განისაზღვრა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 25 თებერვლის ბ14.14250565 ბრძანებით.

საანგარიშო პერიოდში სულ შემოვიდა 57 განაცხადი. განაცხადების განხილვა და გამარჯვებულთა გამოვლენა სხვადასხვა ნომინაციების მიხედვით განხორციელდა კონკურსის წესით.

კონკურსში გამარჯვებულთათვის თანხის გამოყოფა მოხდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 24 მარტის ბ14.14250833 ბრძანებით.



24 მარტს გაიმართა დაჯილდოების ოფიციალური ცერემონიალი, აჭარაბეთ არენაზე.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ხელშეწყობილია ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარება.

სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 7,038.2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 6,881.2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

სარაგბო კლუბი ბათუმი

სარაგბო კლუბი ბათუმი - 2024-2025 წწ საქართველოს დიდი10-ის ჩემპიონატის ფარგლებში პირველ კვარტალში ჩატარდა 5 თამაში (ოთხი გამარჯვებით), უმაღლესი გუნდის მორაგბემ ითამაშა U20 მსოფლიოს ჩემპიონატი.

- 2024-2025 წწ საქართველოს დუბლ გუნდის მიმდინარე ჩემპიონატის პირველ კვარტალში ჩატარდა 5 თამაში (ორი გამარჯვებით).

- საქართველოს ჩემპიონატი - 2024-2025 წწ ჭაბუკთა "ა" (1) ოქროს ლიგის გუნდმა ითამაშა 4 მატჩი - 2 გასვლითი და 2 სახლში.

- საქართველოს ჩემპიონატი - 2024-2025 წწ ჭაბუკთა "ა" (2) ვერცხლის ლიგის გუნდმა ითამაშა 2 მატჩი (ერთი გამარჯვებით) - 1 გასვლითი და 1 სახლში;

- საქართველოს ჩემპიონატი 2042-2025 წწ ჭაბუკთა "ბ" (1) ლიგის გუნდმა ითამაშა 4 თამაში, (სამი გამარჯვებით) 2 გასვლითი და 2 სახლში;

- საქართველოს ჩემპიონატი 2024-2025 წწ ჭაბუკთა "ბ" (2) ლიგის გუნდმა ითამაშა 5 თამაში (სამი გამარჯვებით) - 3 გასვლითი და 2 სახლში;

- საფესტივალო ასაკის გუნდის ბავშვებს ჰქონდათ 7 თამაში (7 გასვლითი თამაში), იასპარეზეს წარამატებით.

2024-2025 წწ საქართველოს დიდი 10-ის ჩემპიონატის ფარგლებში ჩატარდა 4 თამაში. სარაგბო კლუბი ბათუმის უმაღლესი გუნდი გახდა საქართველოს 2024-2025წწ „კროკოზეთ დიდი 10“ - ჩემპიონი (ოქროს პრიზიორი)

- 2024-2025 წწ საქართველოს ჩემპიონატის „დუბლ“ გუნდმა ჩატარა ერთი თამაში რომელიც გამარჯვებით დასრულდა. 2024-2025 წწ საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი (მე-2 ადგილი)

- საქართველოს ჩემპიონატი 2024-2025 წწ ჭაბუკთა "ბ" (1) მეორე კვარტალში ჩატარდა 11 მატჩი. ითამაშა 5 მატჩი, მათ შორის 3 მოგებით დაასრულა;

- საფესტივალო ასაკის გუნდის ბავშვებს მეორე კვარტალში ქონდათ 18 თამაში, იასპარეზეს წარამატებით."

- 2025-2026 წწ საქართველოს დიდი 10-ის მესამე კვარტალში საქართველოს დიდი 10-ის მიმდინარე ჩემპიონატის ფარგლებში ჩატარდა 4 თამაში, 4 თამაში კლუბის გამარჯვებით დასრულდა.

-2025-2026 წწ საქართველოს ჩემპიონატის „დუბლებმა“ მესამე კვარტალში ჩატარდა 4 თამაში, 1 თამაში კლუბის გამარჯვებით დასრულდა,



- 2025-2026 წწ საქართველოს ჩემპიონატის მესამე კვარტალში - ჭაბუკთა "ა" (1) ოქროს ლიგის გუნდმა ითამაშა 4 მატჩი, 1 თამაში კლუბის გამარჯვებით დასრულდა /1 ფრე /2 წაგება (3 გასვლითი და 1 სახლში);
- 2025-2026 წწ საქართველოს ჩემპიონატის მესამე კვარტალში - ჭაბუკთა "ა" (2) ვერცხლის ლიგის გუნდმა ითამაშა 4 მატჩი (1 გასვლითი და 1 სახლში);
- 2025-2026 წწ საქართველოს ჩემპიონატის მესამე კვარტალში - ჭაბუკთა "ბ" (1) ოქროს ლიგის გუნდმა ითამაშა 2 მატჩი, 1 თამაში კლუბის გამარჯვებით დასრულდა / 1 ფრე (1 გასვლითი და 1 სახლში);
- 2025-2026 წწ საქართველოს ჩემპიონატის მესამე კვარტალში - ჭაბუკთა "ბ" (2) ოქროს ლიგის გუნდმა ითამაშა 1 მატჩი - სახლში;
- საფესტივალო ასაკის გუნდის ბავშვებმა 8 შეხვედრის განმავლობაში წარმატებით იასპარეზეს,(5- გასვლითი და 3- სახლის თამაში).

ფრენბურთის კლუბი ბათუმი

1. საქართველოს უმაღლესი ლიგის მეორე ტურის პირველი შეხვედრა რუსთავის სპორტის სასახლეში გაიმართა და ბათუმის მოგებით დასრულდა (ბათუმი - რუსთავი 3:0); 9 თებერვალს მცხეთის სპორტის სასახლეში ბათუმმა ქუთაისი დაამარცხა.

2. საქართველოს 2025 წლის ეროვნული ჩემპიონატი თოვლის ფრენბურთში გაიმართა 12-16 თებერვალს.

- 12-14 თებერვალი (ქალთა შორის) ჩემპიონატში სულ 15 გუნდი მონაწილეობდა ფინალში ბათუმი დაუპირისპირდა იუჯის და მესამე სეტში 2 ქულის სხვაობით დამარცხდა, რითიც მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა.

- 14-16 თებერვალი (მამაკაცთ შორის) ჩემპიონატში სულ 13 გუნდი მონაწილეობდა. 13 გუნდიდან გამოვლინდა 8 საუკეთესო გუნდი, რომლებმაც ჩემპიონატში ასპარეზობა გააგრძელეს მეოთხედფინალურ, ნახევარფინალურ და ფინალურ შეხვედრებში. ნახევარფინალური შეხვედრის დროს, ბათუმის მამაკაცთა გუნდის წევრის ტრამვის გამო თამაშებს გამოეთიშა ბათუმის გუნდი.

22 მარტს ბათუმში - საქართველოს უმაღლესი ლიგის მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა ქალთა და მამაკაცთა შორის, სადაც ორივე გუნდმა გამარჯვება მოიპოვა.

2024/2025 წლის ეროვნული ჩემპიონატი კლუბმა "ბათუმმა" წარმატებით დაასრულა. მამაკაცებმა მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა, ხოლო ქალებმა მეორე საპრიზო ადგილი.

29 აგვისტოდან 2 სექტემბრის ჩათვლით ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს 2025 წლის ეროვნული საკლუბო ჩემპიონატი ქვიშის ფრენბურთში სადაც მამაკაცებმა მეორე ადგილი მოიპოვეს."

"საქართველოს 34-ე ეროვნული ჩემპიონატი ფრენბურთში (2025-2026 წწ) უმაღლესი ლიგის პირველი ტურის შეხვედრა (1 ნოემბერი 27 დეკემბერი)

ქალთა გუნდმა 5 შეხვედრიდან 3 მოგებით და ორი წაგებით დაასრულა.

მამაკაცთა გუნდმა 7 შეხვედრიდან შვიდივე მოგებით დაასრულა

4. ბათუმის კლუბის დამფუძნებლის ნიკა თავდგირიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ჭაბუკთა შორის (29 ნოემბერი 1 დეკემბერი)

2 შეხვედრიდან 2-ვე მოგებით დაასრულა

საკალათბურთო კლუბი ბათუმი 2010



2025 წლის იანვრიდან, საკალათბურთო კლუბი „ბათუმი“, მთავარი მწვრთნელის თაოსნობით აქტიურად იყო ჩართული საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის 2024-2025 წლის სეზონის და საქართველოს თასის გათამაშებებში.

საქართველოს თასის გათამაშების ფარგლებში, იანვრიდან მარტის ჩათვლით ბათუმმა სამი შეხვედრა გამართა და სამივე მოგებით დაასრულა.

სანაკრებო პაუზის შემდეგ, ბათუმმა, სუპერლიგის გათამაშება მარტის თვეში განაახლა და მოგებით დაიწყო.

ჯამში, საქართველოს სუპერლიგის გათამაშების ფარგლებში, იანვრიდან აპრილის ჩათვლით ბათუმმა 10 მატჩი ითამაშა, აქედან შვიდი გასვლითი და სამი საშინაო (ხუთი მოგება და ხუთი წაგება). გუნდმა პირველი აგვისტოდან ახალი შემადგენლობით განაახლა საჩემპიონატო სეზონი.

ხელბურთის კლუბი ბათუმი

ხელბურთის კლუბი ბათუმი მერვედ გახდა საქართველოს ჩემპიონი. ქალთა ეროვნული ჩემპიონატი ხელბურთში 2024-2025 დასრულდა და ბათუმის გუნდმა "ბ.ს.გ" საოცარი თამაშით ჩემპიონობა მოიპოვა. მათ ფოთის გუნდი "ოქროს ვერძი" დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 24:26 დაამარცხეს.

ზედიზედ მესამედ და ისტორიაში მეექვსედ ბსბ ბათუმი საქართველოს, "იმედო ფხაკაძის სახელობის თასის" მფლობელია.

მამაკაცთა XXXV ეროვნული ჩემპიონატი ხელბურთში 2024-25წწ - ბ.ს.ბ მერვედ გახდა საქართველოს ჩემპიონი.

- ქალთა ეროვნული ჩემპიონატი ხელბურთში 2024-25" ბათუმის გუნდმა "ბ.ს.გ" ჩემპიონობა მოიპოვა.

- ზედიზედ მესამედ და ისტორიაში მეექვსედ "ბსბ" საქართველოს, იმედო ფხაკაძის სახელობის თასის მფლობელი გახდა.

- ახალი სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით კლუბმა ნაკრები გუნდის სასწავლო-საწვრთნო შეკრება ჩაატარა, რომელიც მიზნად ისახავს მოთამაშეთა ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მონაცემების დახვეწასა და განვითარებას. 2025 წლის ოქტომბრის თვეში დაიწყო საქართველოს 36-ე ეროვნული ჩემპიონატი მამაკაცებს შორის და ქალთა ეროვნული ჩემპიონატი რომელიც გაგრძელდება 2026 წელს.

2. ხელბურთის კლუბი „ბათუმის“ ბავშვთა ჯგუფების განვითარების ხელშეწყობის მიზნით:

კლუბს ასაკობრივ ჩემპიონატებში გამოჰყავს 5 ასაკობრივი გუნდი. გოგონების(2010-2011, 2012-2013 და 2014-2015 წლებში დაბადებულები) და ვაჟების (2010-2011, 2012-2013 და 2014-2015 წლებში დაბადებულები).

კლუბის 2012-2013 წლებში დაბადებული ვაჟები ზედიზედ მეორედ გახდნენ საქართველოს ჩემპიონები, ხოლო კლუბის 2014-2015 წლებში დაბადებული გოგონებისა და ბიჭების შერეული გუნდი საქართველოს ჩემპიონი გახდა. 2025 წლის საქართველოს ქვიშის ხელბურთის ახალგაზრდულ ფესტივალში მონაწილე კლუბის გოგონებმა პირველი ადგილი დაიკავეს, ვაჟებმა მეორე საპრიზო ადგილი. კლუბის ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი 2012-2013 წლებში დაბადებულ ვაჟებს შორის. პირველი ადგილი კლუბის აღსაზრდელებმა დაიკავეს. საქართველოს გოგონათა ნაკრების შემადგენლობაში, ერთა თასზე წარმატებით იასპარეხეს და მატჩები მაღალ დონეზე ჩაატარეს კლუბის ორმა სპორტსმენმა. კლუბის 10 წევრი გამომახებულია



საქართველოს ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებში."

➤ **მიღწეული შედეგები:**

ხელშეწყობილია მუნიციპალური სპორტული კლუბების განვითარება.

ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა" (პროგრამული კოდი 05 01 05)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა".

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 506.7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 452.9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 89%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

2025 წლის, ოთხი კვარტლის მონაცემებით საჭადრაკო კლუბმა ნონამ მოიპოვა:

დაფასთან: საერთაშორისო - 133 მედალი (45 ოქრო, 42 ვერცხლი, 46 ბრინჯაო); საქართველოს ჩემპიონატები - 4 მედალი (3 ოქრო, 1 ვერცხლი); აჭარის ჩემპიონატები/რეგიონალური - 36 მედალი (13 ოქრო, 11 ვერცხლი, 12 ბრინჯაო); საქალაქო - 18 მედალი (8 ოქრო, 6 ვერცხლი, 4 ბრინჯაო); ონლაინ: - საერთაშორისო - 62 მედალი (29 ოქრო, 18 ვერცხლი, 15 ბრინჯაო); სხვადასხვა ქვეყნის უცხოელი მოჭადრაკეების მონაწილეობით - 4 მედალი (2 ოქრო, 2 ბრინჯაო);

კლუბი ნონას მიერ გამართული ღონისძიებები - 93 (საერთაშორისო - 76: OTB-48 და Online-28)

პირველი კვარტლი - 22 საჭადრაკო ღონისძიება: თემატური მასტერკლასი - 1; დაფასთან თამაშის ფორმატით -12 (ღია საერთაშორისო-12: კლუბი ნონას საწვრთნელი A Open და B Open) ონლაინ ტურნირები- 9 (საერთაშორისო -7 და უცხოელების მონაწილეობით -2) მეორე კვარტლი - 27 საჭადრაკო ღონისძიება: თემატური მასტერკლასი - 2; დაფასთან თამაშის ფორმატით -14 (ღია საერთაშორისო-9); ერთობლივი-5: სპორტის საერთაშორისო დღე, "ზებურ ავალიანის თასი" BSU, ბათუმი საზღვაო აკადემია BSMA, ჭადრაკი სკოლებში- N18 და ჩაქვის N1); ონლაინ ტურნირები- 11 (საერთაშორისო -11); მესამე კვარტალი - 16 საჭადრაკო ღონისძიება: თემატური მასტერკლასი - 1; დაფასთან თამაშის ფორმატით -14 (ღია საერთაშორისო-13: „მერიის თასი-2025“ 10 საერთაშორისო ტურნირი, Friday Blitz 23, 24 და 25); ვეტერანთა ტურნირი გურამ ჭანტურია თასი-2025; ონლაინ ტურნირები- 1 (საერთაშორისო -1). მეოთხე კვარტალი - 28 საჭადრაკო ღონისძიება: თემატური მასტერკლასი - 1; წლის შემაჯამებელი ღონისძიება-1; დაფასთან თამაშის ფორმატით -16 (ღია საერთაშორისო-14: Unrated Kids15, Unrated Kids16, Batumi Nona Club Rapid-8, Batumi Nona Club Rapid-9, Friday Blitz 26 და 27, საერთაშორისო საახალწლო ფესტივალი-6 ტურნირი, ღია რაპიდი, ღია ბლიცი, 6, 8, 10, 12-14, კლუბი ნონას საწვრთნელი A Open და B Open, სასკოლო საჭადრაკო ფესტივალი-2, პირადი და გუნდური პირველობები); ონლაინ ტურნირები- 10 (საერთაშორისო -9, უცხოელების მონაწილეობით-1)

მთელი წლის განმავლობაში იმართება საჭადრაკო კლუბი ნონას შაბათის ონლაინ რაპიდ და ბლიც ტურნირები -პლათფორმა Chess.com.

მასტერკლასები დაოსტატების ჯგუფის წარმატებული წევრებისთვის საწვრთნო შეკრება: საერთაშორისო დიდოსტატთან-GM, ვიდეს სენიორ ტრენერთან-FST და საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელთან დავით ჯოჯუასთან. პირველი კვარტალი: აჭარისა და საქართველოს ასაკობრივი ჩემპიონატებისთვის მომზადება.



მეორე კვარტალი: საქართველოს ასაკობრივი ჩემპიონატებისთვის, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებისთვის მზადება; მესამე კვარტალი: მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებისთვის მზადება; მეოთხე კვარტალი: (ოქტომბერი-ნოემბერი-დეკემბერი) მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებისთვის წინა პერიოდი და მსვლელობისას მზადება. მასტერკლასები_IA, WFM, FI მარიკა ჯაფარიძესთან ერთად. მეორე კვარტალი: ბაგა-ბადი სტუდია „ამიკუსი“ მხიარული ჭადრაკის მასტერკლასი - IA, WFM, FI მარიკა ჯაფარიძესთან ერთად (05.06.2025, კლუბი ნონა).

მიღწეული შედეგები:

ხელშეწყობილია ა(ა)იპ „საჭადრაკო კლუბი ნონას" განვითარება;

ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი (პროგრამული კოდი 05 01 06)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 295.3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 282.6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 96%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში გაწეული იქნა საოფისე-სამეურნეო ხარჯი, კლუბი მოემსახურა, როგორც ადგილობრივ ვიზიტორებს, ასევე ჩამოსულ სტუმრებს.

მიღწეული შედეგები:

ქვეპროგრამის ფარგლებში გაწეული იქნა საოფისე-სამეურნეო ხარჯი, საანგარიშო პერიოდში კლუბმა მომსახურება გაუწია, როგორც ტურისტებს, ასევე ადგილობრივ ვიზიტორებს. ორგანიზაციას წლის ბოლოს ჰყავდა 14 ცხენი, აქედან 11 ცხენი ბალანსზე რიცხული, ხოლო 3 ცხენი ხელშეკრულებით აყვანილი. 2025 წლის მესამე კვარტალში კლუბმა მონაწილეობა მიიღო ქ. ფოთში გამართულ კონკურის გათამაშებაში, სადაც აიღო V ადგილი, ასევე მონაწილეობა მიიღო ბახმაროში გამართულ დოღში, სადაც დაიკავა IV ადგილი, გარდა ამისა მონაწილეობა მიიღო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ზოტიყელში გამართულ დოღში, სადაც აიღო V ადგილი.

მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 05 02)

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 7,083.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 6,667.3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 94%;

➤ პროგრამის აღწერა:

მართვა და ადმინისტრირება - თანამშრომლებზე გაიცა ხელფასები, გადახდილია კომუნალურები და კავშირგაბმულობის ხარჯები, სასმელი წყალი, საწვავი მანქანებისთვის, დაცვის ხარჯი, საფოსტო მომსახურების, საკანცელარიო და ჰიგიენური ნივთების ხარჯები.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება - მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, შეძენილია საოფისე ავეჯი, კომპიუტერები, პრინტერები და ტელევიზორები ვიდეო-სათვალთვალო სისტემების დასამონტაჟებლად.



სპორტული ცენტრის ბაზაზე ჰოკეის სექციის განვითარება - ცენტრის ბაზაზე შექმნილია ჰოკეის ორი გუნდი, სადაც 7დან 15 წლამდე მოზარდები არიან გაწევრიანებული. აღნიშნულ სექციაში გაწევრიანებულია 45 -მდე მოზარდი (ორ ჯგუფად), ვარჯიშები მიმდინარეობდა კვირაში ოთხჯერ. გაცემულია ხელფასები თანამშრომლებზე.

ყინულის ჰოკეის ახალგაზრდული ფესტივალი- ღონისძიების ფარგლებში მონაწილეობა მიიღო ბათუმის ქუთაისის, თბილისისა და ბაკურიანის გუნდებმა. გამოვლინდნენ გამარჯვებული გუნდები, რომლებსაც გადაეცათ თასები, მედლები, სიგელები და სპეციალური პრიზები. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 100-მდე სპორტსმენმა. 30.10.-02.11.2025 პერიოდში სპორტული ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ყინულის ჰოკეის ღია ჩემპიონატი, სულ ჩართული იყო 80-მდე სპორტსმენი. გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები, რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები, პრიზები. შეძენილია ინვენტარი და ეკიპირება ჯგუფებისთვის.

სპორტული ცენტრის ბაზაზე ფიგურული ციგურაობის სექციის განვითარება - ა(ა) იპ ბათუმის სპორტული ცენტრის ყინულის მოედნის ფიგურული ციგურაობის სექციაში 24 აპრილიდან გაწევრიანებულია 442 მოსწავლე (4-დან 15 წლამდე). გაკვეთილები მიმდინარეობს კვირაში 3 დღე. გაცემულია ხელფასები ტრენერებსა და ინსტრუქტორებზე.

9-13 სექტემბერს ტაილანდის რესპუბლიკის ქ. ბანკოკში გაიმართა ტურნირი ISU Junior Grand Prix of Figure Skating, სადაც მონაწილეობის მისაღებად მიევიღა ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრის სპორტსმენი და მწვრთნელი. დაფინანსდა შეკრებები - სტამბულში მივლინებული იყვნენ სპორტსმენები და მწვრთნელი, შეძენილია ციგურები როგორც სამოყვარელო ისე პროფესიონალური, 23 დეკემბერს გაიმართა ფიგურული ციგურაობის საახალწლო ფესტივალი, ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იყვნენ ცენტრის სპორტსმენები ინდივიდუალური ნომრებით, ტერიტორია მოირთო საახალწლო თემატიკის დეკორაციით დიზაინერთა ჯგუფის მიერ.

სანიჩბოსნო სპორტის სექციის განვითარების ხელშეწყობა - საანგარიშო პერიოდში ნიჩბოსნობის ბაზაზე ფუნქციონირებდა 2 ჯგუფი, რომელშიც გაწევრიანებულია 7-15 წლამდე ასაკის 35 აღსაზრდელი, ვარჯიშები ტარდებოდა კვირაში 5 დღე. ვარჯიშის ხანგრძლივობა - 1 საათი და 30 წუთი. გაცემულია ხელფასები ტრენერებზე.

ნიჩბოსნობის - დრაგონის თასი 2025 - მიმდინარე წლის 7-8 ივნისს გაიმართა საერთაშორისო ღონისძიება „დრაგონის თასი 2025“, რომელიც ცენტრალურ პარკში ნურის ტბაზე მიმდინარეობდა, აღნიშნულ ღონისძიებაში 25 ქვეყნის 400-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. ტურნირი იყო ორდღიანი, რომელიც დასრულდა დაჯილდოების ცერემონიით. გამოვლინდნენ გამარჯვებული გუნდები და სპორტსმენები, რომლებსაც გადაეცათ თასები და მედლები.

ნავების შეძენა - მიმდინარე წელს შეძენილია 4 ნავი, თავისი ნიჩბებით.

ნიჩბოსნობის - ბათუმის ღია ფესტივალი (საერთაშორისო) 28-29 სექტემბერს ჩატარდა სპორტული საერთაშორისო ღონისძიება - ნიჩბოსნობის ბათუმის ღია ფესტივალი (საერთაშორისო) „სუპერ სპრინტი 2025“ - აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო თურეთის, ბულგარეთის და ლატვიის წარმომადგენლებმა ჯამში 63 მონაწილე, გამოვლინდნენ გამარჯვებული, რომლებსაც გადაეცათ თასები და მედლები.

ამპუტანტ ფეხბურთელთა მხარდაჭერის პროგრამა - საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ბათუმის სპორტული ცენტრის მასობრივი სპორტის განვითარების



ამპუტანტ ფეხბურთელთა მხარდაჭერის პროგრამა. გუნდში გაწევრიანებულია 12 სპორტსმენი, რომლებიც სისტემატურად ვარჯიშობენ კვირაში ორი დღე. ვარჯიშები მიმდინარეობს უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით. გაცემულია თანამშრომლებზე ხელფასები.

ამპუტანტ ფეხბურთელთა ღია ფესტივალი - 11-12 ნოემბერს სპორტული ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ამპუტანტ ფეხბურთელთა ღია ფესტივალი, სულ ჩართული იყო 50-მდე ამპუტანტი სპორტსმენი. გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები, რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები, პრიზები და ფასიანი ვაუჩერი სპორტული მაღაზიიდან.

ქართული ჭიდაობის სექციის განვითარების ხელშეწყობა - საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ვარჯიშები კვირაში 3 დღე, სადაც ჩართული იყო 25 აღსაზრდელი, გადახდილია იჯარის საფასური ვარჯიშების ჩასატარებლად. ტრენერებზე გაცემულია ხელფასები.

ღია ფესტივალი ქართულ ჭიდაობაში - 1 ოქტომბერს ჩატარდა ქართულ ჭიდაობაში ბათუმის ფესტივალი. მონაწილეობას ღებულობდა 50 -მდე მონაწილე, ბათუმის მუხრან ვახტანგაძის სახ. სპორტ სკოლის, ქობულეთის და ბათუმის სპორტული ცენტრის ქართული ჭიდაობის მოჭიდავეები. ნომინაციაში გამარჯვებულებს გადაეცათ: სიგელები, მედლები, თასები და ფასიანი ვაუჩერები. შეძენილია ინვენტარი სპორტსმენებისთვის.

წყალბურთის განვითარების ხელშეწყობის სექცია - წყალბურთის სექციაში გაწევრიანებულია 30 აღსაზრდელი. გაყოფილია 2 ჯგუფად. იანვრის თვიდან ვარჯიშები მიმდინარეობდა კვირაში 5 დღე 2 საათით. გადახდილია აუზის იჯარა, პერსონალზე გაცემულია ხელფასები.

ქალთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა - გაწევრიანებულია 18 ქალი სპორტსმენი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ საქართველოს ქალთა ეროვნულ ჩემპიონატში. დაფინანსდა მივლინებები საქართველოს ქალთა ეროვნული ლიგის ტურის ოფიციალურ თამაშებზე. საქართველოს ქალთა ეროვნული ლიგის კალენდარული მატჩის ჩატარებასთან დაკავშირებით მოწვეული მსაჯების სტუმრობასთან დაკავშირებით გაწეული იქნა წარმომადგენლობითი ხარჯები. გაწეული იქნა სამედიცინო ხარჯები და გადახდილია ქალთა ლიგის ერთწლიანი ლიცენზიის საფასური. ასევე ქალთა ფეხბურთის გუნდი მიწვეული იყო ევროპის ჩემპიონთა თასზე, პორტუგალიის ქალაქ ნაზარეში რომელიც ჩატარდა მიმდინარე წლის 7 ივნისიდან 14 ივნისის ჩათვლით. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში დაფინანსებული იქნა სამივლინებო ხარჯები.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია ცენტრის სასპორტო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება. მასობრივ სპორტში საზოგადოების ჩართულობა.

სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 02 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო;

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1,076.8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 796.2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 74%.

➤ **პროგრამის აღწერა:**



ქ. ბათუმში, რაგბის სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები (არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და 2 ახალი სტადიონის და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობა) - აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით განვიმარტავთ, რომ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამატებით შესწავლის შედეგად გამოვლინდა რიგი უზუსტობები, ვინაიდან საპროექტო დოკუმენტაციაში უზუსტობების აღმოფხვრის მიზნით კორექტირების შეტანას დასჭირდებოდა გარკვეული პერიოდი, ზეოაღნიშნული ღონისძიების განხორციელების მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი სამმართველოს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის საფუძველზე შეწყდა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება.

ქ. ბათუმში, კოტე აფხაზის ქ.N4ა-ში ქართული ჭიდაობის ნახევრად ღია ტიპის მოედნის მშენებლობა, (მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტი - შენი იდეა ბათუმის ფარგლებში შერჩეული პროექტის დაფინანსება) - მოეწყო 44,6 კვ.მ. ლენტური საძირკველი, 5,298 ტნ. ლითონის კოლონები და ვერტიკალური კავშირები, 11,457 ტნ. გადახურვის ფერმების ლითონის ელემენტები, 6,432 ტნ. ტრიბუნების აივნის დგარებისა და მოაჯირის ლითონის ელემენტები, 270 ც. სკამი, 475 კვ.მ. სახურავი, 419,52 კვ.მ. კაუჩუკის საფარი, 153 მ. ბორდიური, 410 კვ.მ. ბეტონის საფარი.

ქ. ბათუმში, ნ. ფიროსმანის ქუჩა N5-ის მიმდებარედ მინი სპორტული მოედნის მოწყობა - მოეწყო 15,8 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 130 გ/მ ბორდიური, 5 ც. სკამი, 1 ც. ფანჩატური, 3 ც. ელ. განათების ბოძი სანათით, 249,6 კვ.მ. სტადიონის შემოფარგვლა, 2 ც. საფეხბურთო კარი, 2 ც. საკალადაბურთო ფარი, 160 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი, 152,3 კვ.მ. მოედნის ბეტონის ზედაპირი.

ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის გამო, სამმართველოს დირექტორის (90. 14251763 25/06/2025) ბრძანების შესაბამისად შეწყდა ხელშეკრულება. მომწოდებელ კომპანიას ყოველ გადაცილებულ დღეზე დაეკისრა პირგასამტეხლო ჯარიმა.

ქ. ბათუმში, შ. ინასარიძის ქუჩა N9-ის მიმდებარედ მინი სპორტული მოედნის მოწყობა - მოეწყო 178 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 35 გ/მ ბორდიური, 6 ც. სკამი, 1 ც. ფანჩატური, 45 კვ.მ. კორდი, 3 ც. ელ. განათების ბოძი სანათით, 249,6 კვ.მ. სტადიონის შემოფარგვლა, 2 ც. საფეხბურთო კარი, 2 ც. საკალადაბურთო ფარი, 152,3 კვ.მ. მოედნის ბეტონის ზედაპირი, 160 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი.

ქ. ბათუმში, ბადის I ჩიხი N4 სპორტული ტრენაჟორების რეაბილიტაცია-მოწყობა - მოეწყო 0,23 კვ.მ. წერტილოვანი საძირკველი, 6,38 კვ.მ. დეკორატიული შემოღობვა, 1,8 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 1,5 კვ.მ. მჭიმი, 20 გ/მ. ბორდიური, 31 კვ.მ. კაუჩუკის მონოლითური საფარი, 1 კომპლ. ახალი სვარჯიშო ტრენაჟორი, 10 კვ.მ. კორდი, 1 ც. ელ. განათების ბოძი სანათით.

ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N368-ის მიმდებარედ მინი სპორტული მოედნის მოწყობა - მოეწყო 65 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, 65 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 30 მ. ბორდიური, 4 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით, 1,13 კვ.მ. წერტილოვანი საძირკველი, 12 კვ.მ. რკ/ბეტონის ლენტური საძირკველი და ზემირკველი, 384 კვ.მ. სტადიონის შემოფარგვლა, 3,36 კვ.მ. შესასვლელი კარები, 2 ც. საფეხბურთო კარები, 2 ც. საკალადაბურთო ფარი, 376,1 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი.

ქ. ბათუმში, იოანე ლაზის I შესახვევი N6-ის მიმდებარედ სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - მოეწყო 30 მ. ბორდიური, 37 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 1 ც. ფანჩატური,



1 ც. სკამი, 1 ც. სანაგვე ურნა, 4 ც. სანათი, 252 კვ.მ. ხელოვნური საფარი; შეიღება 221 კვ.მ. შემოფარგვლის ლითონის კონსტრუქციები და საფეხბურთო კარებების და საკალადაბურთო ფარების ლითონის ელემენტები.

ქ. ბათუმში, სპორტული ტრენაჟორების შექმნა (დემონტაჟი-მონტაჟი) - მოეწყო 10 კომპლ. სპორტული ტრენაჟორი.

სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა - ტექნიკური ზედამხედველობა იწარმოა საპროექტო გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე; შესრულებული სამშენებლო სამუშაოებზე, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების საპროექტო გადაწყვეტასთან, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერთიფიკატების, ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების არსებობაზე.

საანგარიშო პერიოდში აუცილებლობა არ წარმოიშვა ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვაზე. ობიექტებზე ტექნიკური ზედამხედველობა აწარმოეს სამმართველოს თანამშრომლებმა, აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება.

მიღწეული შედეგები:

მიმდინარეობს ქალაქის სასპორტო ინფრასტრუქტურის განახლება.

კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები (პროგრამული კოდი 05 03)

კულტურული ღონისძიებების მართვა (პროგრამული კოდი 05 03 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 2,135.4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2,090.5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98%.

პროგრამის აღწერა:

საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოფილი იქნა კულტურის ცენტრის გამართულად მუშაობასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება, როგორცაა ოფისის ხარჯების დაფარვა, კომუნალური გადასახადები, ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება და სხვა ღონისძიებების დაგეგმვის და განხორციელების ხელშეწყობა, მისი კონტროლი. ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის შესყიდული იქნა პერსონალური კომპიუტერები;

ხალხური სიმღერის ვაჟთა ანსამბლის მსახიობებისთვის შეძენილი იქნა სასცენო ფეხსაცმელები, ასევე ქორეოგრაფიული ანსამბლისთვის სასცენო აქსესუარები. ცენტრის ადმინისტრაციული სამსახურის თანამშრომლებისთვის შეძენილი იქნა კომპიუტერული ტექნიკა (8 ერთეული), გორგოლაჭებიანი სავარძელი (7 ცალი) და საოფისე სკამები (50 ცალი);

ენვერ ხაბაძის სახელობის ნაციონალურის ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ბათუმი“-სთვის ქართული ნაციონალური ცეკვის სამოსის შესყიდვა.



➤ მიღწეული შედეგები:

ხელშეწყობილია ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრის ფუნქციონირება.

ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 03 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 1,304.5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,259.4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97%.

პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში, გაიმართა საახალწლო ღონისძიებები ბათუმში, რომელიც 2024 წლის 25 დეკემბრიდან დაიწყო და 2025 წლის 7 იანვრის ჩათვლით გაგრძელდა. სპეციალურად მოწყობილ სივრცეებში ღონისძიებები ყველა ასაკობრივ კატეგორიაზე იყო გათვლილი. წარმოდგენილი იყო საბავშვო კონცერტები, თეატრალური წარმოდგენები, ზღაპრის გმირები, სხვადასხვა გასართობი, კულტურული აქტივობები. ჩატარდა ანსამბლების, ბენდების და ესტრადის მომღერლების კონცერტები.

25 თებერვალი - გაიმართა საბჭოთა ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;

3-8 მარტი - გაიმართა დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;

23 მარტი - გაიმართა 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა ხსოვნის დღის აღნიშვნა. ბათუმის განთავისუფლებისათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნის აღსანიშნავად ბათუმის დრამატული თეატრის მიმდებარე მოედანზე ტრადიციულად შეიკრიბნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. მონაწილეობდა ვაჟთა ვოკალური ანსამბლი. მემორიალი შემკობილი იქნა გვირგვინითა და ყვავილებით."

9 აპრილი - ხალხური სიმღერის ვაჟთა ანსამბლის გამოსვლა 9 აპრილს დაღუპულთა გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილ მემორიალურ ღონისძიებაზე;

3-4 მაისი - სახალხო დღესასწაული „ბათუმობა“ ღონისძიებები გაიმართა ბათუმის ბულვარში, საზაფხულო თეატრისა და ბულვარის კოლონადების მიმდებარედ. საზეიმო ვითარებაში მოხდა ბათუმის თვითმმართველობის მიერ დაწესებული საპატიო წოდებების მინიჭება იმ პირებზე, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ბათუმის ისტორიაში, განავითარეს და თავიანთ შემოქმედებით სფეროში შექმნეს ბათუმელი თაობების ეპოქა. მაყურებლის წინაშე წარდგინეს ბათუმის კულტურის ცენტრისა და ბათუმში მოღვაწე საქვეყნოდ ცნობილი სხვადასხვა შემოქმედებითი კოლექტივები, ბათუმელი და მოწვეული სოლო შემსრულებლები. მოეწყო სხვადასხვა ლიტერატურული და თეატრალური პერფომანსები, ფოტო გამოფენები, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-ბაზრობა.

9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - ორგანიზებული იქნა ვეტერანების და სტუმრების შეკრება გმირთა ხეივანში, მოხდა მემორიალის შემკობა ყვავილებით.

მაისი - წილხვდომილობის დღესასწაულის ფარგლებში პატივი მიეგო ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძრის ეზოში დაკრძალულ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტისა, ქალაქ ბათუმის მერიის და ბათუმის კულტურის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა საქართველოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის



წილხვდომილობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სემინარი თემაზე „ჩვენი სულიერების ბალავარი“."

26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების მიზნით ქალაქი მორთული იყო საქართველოს დროშებით, ანბანის კოშკთან დღის განმავლობაში მიმდინარეობდა გასართობი შოუ-პროგრამები პოპულარული ბენდებისა და დიჯეების მონაწილეობით. მოეწყო თემატური გამოფენები, საბავშვო აქტივობები, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა.

1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საზეიმოდ მოირთო 6 მაისის პარკი ფერადი ლენტებით, ბურთებით, სხვადასხვა დეკორაციებით. პარკში დამონტაჟდა სცენა, ჩატარდა საბავშვო კონცერტები ქალაქში მოქმედი სხვადასხვა ანსამბლების მონაწილეობით, დღის განმავლობაში ბავშვების განწყობაზე ზრუნავდნენ ანიმატორები და ზღაპრის გმირები."

"8 აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალთან გამართულ ღონისძიებას შეუერთდა ბათუმის კულტურის ცენტრის ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი, სადაც შეასრულეს ქართული ტრადიციული საგალობლები.

11 აგვისტოს, 2008 წლის აგვისტოს ომში შინდისის გმირების სახელობის სკვერში, შინდისთან დაღუპული გმირების ხსოვნის პატივსაცემად გამართულ ღონისძიებას შეუერთდა ბათუმის კულტურის ცენტრის ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი, სადაც შეასრულეს ქართული ტრადიციული საგალობლები.

30 აგვისტო - უგზოუკვლოდ დაკარგულთა საერთაშორისო დღე. ღონისძიება უგზოუკვლოდ დაკარგულ პირთა მემორიალთან გაიმართა.

27 სექტემბერი - სოხუმის დაცემის დღე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ეროვნული გმირის - ჟიული შარტავას მემორიალთან გამართული ღონისძიების ფარგლებში ბათუმის კულტურის ცენტრის ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლის მიერ შესრულდა ქართული ტრადიციული საგალობლები. "

სასტუმრო „ლეოგრანდში“ მომხდარი ტრაგედიიდან რვა წლის გასვლის აღსანიშნავად დაგეგმილი ღონისძიება;

ბათუმობის დღესასწაულის ფარგლებში ჩატარებული კონფერენციის მასალების ბეჭდური სახით გამოცემა, კონფერენციის მასალების დაკაბადონება, დიზაინი, ბეჭდვა, სტატიების ჟურნალის გვერდზე განთავსება ჟურნალის ინდექსირება სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში;

წილხვდომილობის დღესასწაულის ფარგლებში ჩატარებული კონფერენციის მასალების დაკაბადონება, დიზაინი, ბეჭდვა, ვებ-გვერდის მომზადება და ჟურნალის მიმდინარე და წინა ნომრების განთავსება; საახალწლო ღონისძიებები „ევროპის“ მოედანზე, რომელიც 2025 წლის 20 დეკემბრიდან დაიწყო და 2026 წლის 7 იანვრის ჩათვლით გაგრძელდა. სპეციალურად მოწყობილ სივრცეებში, ღონისძიებები ყველა ასაკობრივ კატეგორიაზე იყო გათვლილი. წარმოდგენილი იყო საბავშვო კონცერტები, თეატრალური წარმოდგენები, ზღაპრის გმირები, სხვადასხვა გასართობი, კულტურული აქტივობები. ჩატარდა ანსამბლების, ბენდების და ესტრადის მომღერლების კონცერტები.

➤ მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია ქალაქისა და ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა.



კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 27,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 21 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 78,0%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში:

უკრაინული ეთნიკური ჯგუფის მიერ განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: მოეწყო ტარას შევჩენკოს დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები; საბავშვო კონკურსი ხატვაში - „ტარას შევჩენკოს შემოქმედება ბავშვთა ნახატებში“; აღინიშნა ქალთა დღე; აღინიშნა უკრაინის დამოუკიდებლობის დღე; წლის შემაჯამებელი ღონისძიება.

რუსული ეთნიკური ჯგუფის მიერ მოეწყო სპორტული შეჯიბრი სამაგიდო თამაშებში (ნარდი, შაში); ექსკურსია ბოტანიკურ ბაღში; რუსული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების დასწრება დელფინების შოუზე; წლის შემაჯამებელი ღონისძიება.

სომხური ეთნიკური ჯგუფის მიერ აღინიშნა „სურბ-სარგისის“ დღესასწაული; გაიმართა სომხურ დიასპორასთან არსებული ცეკვის ანსამბლის დაარსებიდან 10 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება; წლის შემაჯამებელი ღონისძიება.

ებრაული ეთნიკური ჯგუფის მიერ პესახის დღესასწაული; ხანუკას დღესასწაულის აღნიშვნა.

ბერძნულმა ეთნიკურმა ჯგუფმა მარიამობის დღესასწაულის ფარგლებში მონახულა ეკლესია სოფელ დაგვაში; წლის შემაჯამებელი ღონისძიება

გერმანული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებისთვის მარტვილის ისტორიული ძეგლების და ღირსშესანიშნაობების დათვალიერება;

წლის შემაჯამებელი ღონისძიება.

➤ მიღწეული შედეგები:

წახალისებულია კულტურული მრავალფეროვნება და ხელშეწყობილია ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული აქტივობები.

ფესტივალების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03 04)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 900,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 896 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%.

➤ პროგრამის აღწერა:

1. ქვეპროგრამის „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“ ფარგლებში ფესტივალების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 ივლისის გ-15.15222001 განკარგულებაში შევიდა ცვლილება (გ - 15. 15250586. 27/02/2025);

2. 2025 წლის 7 მარტს გამოიცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება. #ბ.14142506629, რის საფუძველზეც დამტკიცდა „ქვეპროგრამის „ფესტივალების მხარდაჭერა“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების პირობების დებულება“, განცხადების



ფორმა, შეფასების კრიტერიუმი, პროგრამული და ფინანსური ანგარიშის ფორმა; რეკომენდაციები, საკვალიფიკაციო შეფასება განმარტებები, ხელშეკრულების პროექტი.

3. საანგარიშო პეროდში შემოვიდა 25 განაცხადი. ჩატარდა სამუშაო ჯგუფის 3 სხდომა. დაფინანსდა 14 პროექტი (ბ14.14251216; ბ14.14251532; ბ14.14251845).

1. „ბათუმური გაზაფხული“ - ორგანიზატორი ა(ა)იპ „შენი ანაბეჭედი“. 4 მაისს ბათუმის ბულვარში საზაფხულო თეატრის წინ გაიმართა გრანდიოზული საესტრადო მუსიკის ფესტივალი, მონაწილეობდა ორკესტრი ნიკა ნიკვაშვილის ხელმძღვანელობით. მუსიკალური ნომრები შეასრულეს ბათუმელმა მომღერლებმა. პროექტის ბიუჯეტმა შეადგინა - 90000 ლარი

2. „გადარჩენისთვის“ - ორგანიზატორი ა(ა)იპ „სტუდია ავტოგრაფი“.

12-13 მაისს, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა ფესტივალი „გადარჩენისთვის“. 12 მაისის საღამო მიემდგნა ღვთისმშობლის წილხვედრილობისა და წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღეს. საკონცერტო ნომრებს შორის ეკრანზე გადიოდა ვიდეორგოლები და ფრაგმენტები დოკუმენტური ფილმებიდან, საქართველოს ძველი და ახალი ტაძრების, რელიგიური სიწმინდეების, ღვთისმშობლის იკონოგრაფიისა და ღირსშესანიშნაობების ამსახველი კადრები. 13 მაისს ფესტივალის მონაწილეებმა გონიოში მოილოცეს წმინდა მატათას საფლავი, იგალობეს და გადაიხადეს პარაკლისი. დრამატული თეატრში გამართული საღამოს პროგრამის ძირითადი ხაზი იყო საქართველოს ეკლესიის ისტორიის მნიშვნელოვანი თარიღები. მსახიობებმა წაიკითხეს მე-20 და 21-ე საუკუნეების პოეტების ლექსები, მათ მიერ დედღვთიმშობელთან დაკავშირებული მისტიკური, წარმოჩენილი იყო ქვეყნის გენეტიკური და სულიერი წარსული.

ფესტივალი „გადარჩენისთვის“ ჩატარდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ და ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტმა მეუფე დიმიტრიმ."

3. თეატრი შენს ეზოში - ორგანიზატორი ა(ა)იპ „მომავლის საზოგადოების ცენტრი“. 25 მაისი - 17 ივნისი. ფესტივალი განკუთვნილი იყო საზაფხულოების, განსაკუთრებით მოზარდებისა და ბავშვებისათვის, რომლებიც ნაკლებად სტუმრობენ თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებს. წარმოდგენა-კონცერტები ტარდებოდა საცხოვრებელი კორპუსების ეზოებში, პარკებში, სკვერებში, ღია სივრცეებში. მასში მონაწილეობას ღებულობდნენ ბათუმის თოჯინებისა და მოზარდმაყურებელთა პროფესიული თეატრი, კულტურის ცენტრი „ჰარმონია“, ხელოვნების სტუდია „ლიმპოპო“. 25-დღიანი პროგრამა იყო მრავალფეროვანი და მაყურებლებისათვის შთამბეჭდავი. მსახიობებს საშუალება ქონდათ ინტერაქტიური კომუნიკაცია დაემყარებინათ მაყურებელთან, რამაც მნიშვნელოვნად გააძლიერა სპექტაკლითა თუ კონცერტით მიღებული შთაბეჭდილება. ასეულობით ბათუმურ ოჯახში გაიზარდა ხელოვნებით დაინტერესება.

4. „ბიძინა კვერნაძის ფესტივალი - 2025“ - ორგანიზატორი ა(ა)იპ „ქართული მუსიკის ცენტრი" - 2-3 ივნისი. ბათუმის ილია ჭავჭავაძის დრამატულ თეატრში, ცნობილ ქართველ მომღერლებთან ერთად მაყურებლის წინაშე წარსდგა ფესტივალის ფარგლებში სპეციალური სტატუსით მოწვეული ფრანგი ვარსკვლავი ორელია მეი. პროგრამა იყო მრავალფეროვანი. თბილისიდან სპეციალურად მოწვეულ ორკესტრს დირიჟორობდა მანესტრო ნიკა ნიკვაშვილი. საღამო მიყავდა თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძეს.

5. „კვალი“ - ა(ა)იპ ბათუმი ნექსუსი -5- 6 ივნისი. ფესტივალის ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა სახის გასართობი და შემოქმედებითი ღონისძიებები. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო 5 სხვადასხვა ჯგუფი. კერძოდ, „Catfish“, „Zena“, „Bekbekson“,



„CRUSH“ და „Lio with ila“. ასევე, სასცენო ნომერი წარმოადგინა - ინსტრუმენტულმა ანსამბლმა - „ეთნოსი“. საინტერესო იყო, ადგილობრივი მხატვრის მიერ წარმოდგენილი ნამუშევრები, ღონისძიების მიმდინარეობისას, მხატვარმა ასევე წარმოადგინა საკუთარი პერფორმანსი, რამაც განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია ფესტივალზე დამსწრე საზოგადოებაში. ასევე წარმოდგენილი იყო ქორეოგრაფიული ნომრები. ფლამინგოს მოცეკვავეების მიერ ესპანური გრაციოზულობით შესრულებულმა ცეცხლოვანმა ნომერმა, დიდი შთაბეჭდილება მოიახდინა დამსწრე საზოგადოებაზე."

6. „შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალი“ - ორგანიზატორი შპს „ისტერნ პრომოუშენს“. 11-13 ივლისი.საჩოგბურთო კორტებზე, სპეციალურად მოწყობილ საკონცერტო სივრცეში ჩატარდა „შავი ზღვის XV ჯაზ - ფესტივალი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოში ცნობილმა ანსამბლებმა „Ledisi“, „The Next Movement“, „Sister Sledge“, ასევე ცნობილმა ქართულმა ბენდებმა.

აღნიშნული ფესტივალის ჩატარება ძალზედ მნიშვნელოვანია ჩვენი რეგიონისათვის, რადგან იგი ხელს უწყობს როგორც ქალაქ ბათუმის, ისე მთლიანად ქვეყნის პოპულარიზაციას მსოფლიოში,

7. „ფუდ ენდ ვაინ ფესტივალი ბათუმი“ - ორგანიზატორი ა(ა)იპ „საქართველოს კულტურის ცენტრი“. 1-3 აგვისტო. გაიმართა ერას მოედანზე გაიმართა ლაივ სეტები ცნობილი ქართველი და საერთაშორისო არტისტების მონაწილეობით; ღვინის პავილიონში – „Taste Georgia“ წარმოდგენილი იყო 51 ქართული და რამდენიმე საერთაშორისო ღვინის მწარმოებელი; გაიმართა ღვინის დეგუსტაციები პროფესიონალი სომელიეების თანხლებით და მრავალფეროვანი ქართული და უცხოური სამზარეულოს პრეზენტაცია, შეფ-მზარეულების შოუ-კულინარია (live cooking sessions); ხელნაკეთი ნივთების ბაზრობის ფარგლებში „Art & Craft Market“ წარმოდგენილი იყო 50 ქართული და უცხოური ხელნაკეთი პროდუქცია (ტექსტილი, კერამიკა, აქსესუარები და სხვა); ასევე გაიმართა ელექტრონული მუსიკის მასტერკლასი – რომელიც მოიცავდა DJ-სეტის პრაქტიკულ დემონსტრირებას."

8. „გურამ თამაზაშვილის სახელობის ქალაქური სიმღერების ფესტივალი“ - ორგანიზატორი ა(ა)იპ სანმა. 2-3 აგვისტო. საღამო აგებული იყო გურამ თამაზაშვილის ცხოვრებასა და ბიოგრაფიაზე, სცენა წარმოადგენდა ერთგვარ სალონურ შეკრებას, სადაც სიმბოლური სუფრა იყო გაშლილი და აქცენტები გაკეთდა ქობულეთის ეთნიკურ გასტრონომიაზე, ღვინოზე. საღამოს კონცეფცია აგებული იყო როგორც ისტორიებზე, ასევე კულინარიაზე და რასაკვირველია, მთავარი საყრდენი იყო მუსიკა. პროექტის ავტორმა და საღამოს წამყვანმა, თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძემ ქართული ესტრადის ვარსკვლავების მიერ შესრულებული სიმღერების პარალელურად, რომელიც მთავარ კონტექსტს ქმნიდა, საინტერესოდ წარუდგინა მსმენელს ქართული სუფრის ტრადიციების მნიშვნელობა ქართულ კულტურაში.

სასტუმრო „ბესტ უესტერნ პლას“ ბათუმის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა მასტერკლასი, რომელსაც უძღვებოდნენ თეატრმცოდნე, საღამოს წამყვანი ნიკოლოზ წულუკიძე და მუსიკოსი, მანესტრო დავით მაზანაშვილი."

9. ქართული მრავალჟანრობრივი სიმღერების ფესტივალი „ჰიტერატურა" - ორგანიზატორი ა(ა)იპ დათო ევგენიძის საქველმოქმედო ფონდი თბილი-სი. 31 ივლისი - 2 აგვისტო. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა მიმდინარეობის 20-ზე მეტმა მუსიკოსმა. ფესტივალი ატარებდა როგორც შემოქმედებით, ასევე საგანმანათლებლო ხასიათს. ახალგაზრდა კომპოზიტორებს საშუალება მიეცათ მანესტრო დათო ევგენიძესთან და ქართული ესტრადის ვარსკვლავებთან ერთად პირველად



აეჭვრებიანთ და ფართო აუდიტორიისათვის წარედგინათ თავიანთი ნაწარმოებები. ფესტივალის ფარგლებში ასევე, მასტრო დათო ევგენიძისა და კომპოზიტორ ჯონდო თითრაშვილის მიერ სტუდია „ნათელ მომავალში“ გაიმართა მუსიკალური მასტერკლასი, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ამერიკულ კუთხეში მოეწყო დ. ევგენიძის, ოლეგ ტიმჩენკოს, რუსუდან მაჭავარიანის, გაილო ხალვაშის მხატვრული ნამუშევრების გამოფენა და პოეზიის საღამო.

10. „ზოული“ - ორგანიზატორი შპს „გურულო პროექტი“. 15-16-17 აგვისტო. ფესტივალის ფარგლებში მოეწყო „შავი ზღვის ლუდის ფესტივალი“, რომელშიც მონაწილეობდა 30-მდე ლუდისა და კვების კომპანია. მოეწყო 50-მდე ხელნაკეთი ნივთების მეწარმის ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, ასევე, სახალისო თამაშები და გასართობი აქტივობები და ელიტარული ელექტრონული მუსიკის ჟანრის ქართველი და უცხოელი შემსრულებლების კონცერტები.

ფესტივალის ფარგლებში ასევე გაიმართა ვორკშოპები დამასტერკლასები: 1. ქართული კულტურული მემკვიდრეობა და ტრადიციები (2 სესია). მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია ქართული კულტურის ისტორიულ და თანამედროვე ასპექტებზე, ტრადიციულ ხელოვნებაზე და მისი შენარჩუნების მნიშვნელობაზე. 2. ხელნაკეთი ნივთების ვორკშოპები (2 სესია), რომელიც მოიცავდა სამკაულებისა და დეკორატიული ხელოვნების საბაზისო ტექნიკებს; მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა პრაქტიკულად შეექმნათ ნამუშევრები. 3. კულინარიული მასტერკლასი (1 სესია), შეფ-მზარეულების ხელმძღვანელობით მონაწილეებმა გაიარეს პრაქტიკული გაკვეთილი ქართული კერძების მომზადებაში. 4. ელექტრონული მუსიკის მასტერკლასი (2 სესია), რომელიც მოიცავდა DJ-სეტის დემონსტრირებას, თანამედროვე მუსიკალური ტექნოლოგიების გაცნობას და პრაქტიკულ მუშაობას. ფესტივალმა გააერთიანა კულტურა, მუსიკა, ტურიზმი და მეწარმეობა, რამაც ხელი შეუწყო ქალაქის პოპულარიზაციას, ადგილობრივი ეკონომიკისა და კულტურული ტურიზმის განვითარებას."

11. „ღამის სერენადები“ - ორგანიზატორი ა(ა)იპ არტ ალიანსი - 22-24-26 აგვისტო. კონცერტი, სახელწოდებით „მორიკონე - კინოს ლეგენდა“, მიემდგნა ენიო მორიკონეს მუსიკალურ სამყაროს. ამ საღამოსთვის საქართველოს პირველად ეწვია ნელო სალცა - „იტალიური კინოს საყვირად“ წოდებული მუსიკოსი, რომელსაც მრავალწლიანი შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდა ენიო მორიკონესთან.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს მომღერალმა სოფიკო ხალვაშმა, პიანისტმა გიორგი შიოლაშვილმა, ბაროკოს ეპოქის წამყვანმა შემსრულებლებმა - ანდრეს გაბეტამ (ვიოლინო, საფრანგეთი) და მორის შტეგერმა (ბლოკფლეიტა, შვეიცარია), მარიო სტეფანო პიეტროდარკიმ (ბანდონეონი, იტალია), თამარ ლიჩელმა (ფორტეპიანო, საქართველო), და ახალგაზრდა ქართველმა ფლეიტისტმა ნიკოლოზ ვადაჭკორიამ, სიმებიანმა კვინტეტმა "საქართველოს ვირტუოზები" და ფესტივალის საბაზო ორკესტრმა (პირველი ვიოლინო ლელა მჭედლიძე). მასტერკლასები ჩაატარეს მორის შტეგერმა და ნელო სალცამ, ანდრეს გაბეტამ, მასტერკლასებში მონაწილეობდნენ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტები. დრამატული თეატრის ფოიეში მიმდინარეობდა ქართველი მხატვრის - ელდარ ქავშბაიას ნამუშევრების გამოფენა."

12. ბათუმი კულტურის დედაქალაქი - ორგანიზატორი ა(ა)იპ ტემპო პროექტი. პროექტის ფარგლებში ჩატარდა სამი შემოქმედებითი საღამო: ვაჟა აზარაშვილის საღამო



- 10 ივლისი; ნუნუ დულაშვილის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო - 24 ივლისი; გოგი ცაბაძის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო - 24 აგვისტო.

კონცერტებში მონაწილეობდნენ როგორც ადგილობრივი, ასევე ქვეყნის მასშტაბით მოღვაწე არტისტები. კონცერტები გაახმოვანა საქართველოს კამერულმა ორკესტრმა (კონცერტმეისტერი - ლელა მჭედლიძე), პროექტის მუსიკალური ხელმძღვანელი დავით მაზანაშვილი, საღამოების წამყვანი თეატრმცოდნე - ნიკოლოზ წულუკიძე.

13. „ყავის ფესტივალი“ - მოეწყო 30-31 აგვისტოს ბულვარის ბულვარში, კორტების მიმდებარე ფიჭვნარში, სადაც განლაგებული იყო ყავის ჯიხურები. ფესტივალი გახსნა ნიკოლოზ წულუკიძემ - „საუბრებით ყავაზე“. ფესტივალის ფარგლებში მოეწყო კრაფტ მასტერკლასები, ლაივ პოდკასტები, საბავშვო გასართობი აქტივობები. ფესტივალი მუსიკალურად გააფორმა ქეთი ფარესაშვილმა და ბენდმა, საბა მიქელაშემ, გიგი პიანომენმა."

14. „ბათუმის რაფსოდია" - ორგანიზატორი ა(ა)იპ ივერ კლასიკი. 17 - 28 სექტემბერი. ვოკალისტა მე-2 საერთაშორისო აკადემიის კვირეული - „ოპერის ოქროს ხმა“. ფესტივალის გახსნისა და დახურვის ცერემონიალი შედგა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, ხოლო მასტერკლასები და შესარჩევი ტურები - ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში. 26 სექტემბერს დრამატულ თეატრში გაიმართა სპექტაკლი - პიეტრო მასკანის „სოფლის ღირსება“, სადაც მთავარი როლები შეასრულეს - ელმინა ჰასანმა (აზერბაიჯანი), ანდრეს სანჩეს იოგლარმა (კუბა), აკაკი გუგუშვილმა, ანასტასია მინაშვილმა, ეთერ ხალვაშმა, დირიჟორი - დავით მუქერია. ფესტივალს სტუმრობდნენ უცხოელი პროდუსერები და მენეჯერ-აგენტები. ჯამში მანაწილეობდა 72 მონაწილე.

15. „ზღვა და ქართველები" - ორგანიზატორი ა(ა)იპ სტუდია ავტოგრაფი. 16 - 20 ნოემბერი. ფესტივალი გაიხსნა ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში გალაქტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილი გამოფენით, რის შემდეგ მაყურებელმა გადაინაცვლა თოჯინების თეატრის დარბაზში, სადაც შედგა დოკუმენტური ფილმის „ბარათები გალაქტიონს“ ჩვენება. შემდეგ სცენა დაეთმო ქართველ და ფრანგ მსახიობებს, რომლებმაც გალაქტიონის ლექსები გაახმოვანეს ქართულ და ფრანგულ ენებზე. ფესტივალის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო აფხაზეთის თემას და პოეტის მუზონის ფენომენს. ნაჩვენები იქნა ეპიზოდები ფილმიდან „ქართველების პარიჟი“, რომელშიც აღწერილი იყო მერი შერვაშიძის ცხოვრება საფრანგეთის დედაქალაქში. ფესტივალის დასკვნით დღეს ქართველმა და ფრანგმა ლიტერატურის თეორიტიკოსებმა საზოგადოებას გააცნეს თავისი მოსაზრებები და მეცნიერული დასკვნები გალაქტიონის პოეტიკის შესახებ, ხოლო, ნაშუადღევს, ბათუმის საზღვაო აკადემიის კუთვნილ ტანკერზე, შუა ზღვაში, განხორციელდა პერფომანსი „გემი დაღანდი“, სადაც პოეტურ-მუსიკალური ნაწილის შემდეგ, ფესტივალის მონაწილეებმა, ქართულ და ფრანგულ ენებზე დაწერილი გალაქტიონის ლექსები ჩადეს სათანადო დიზაინით გაფორმებულ ბოთლში, სპეციალურად დაწერილ წერილთან ერთად, ძველი მეზღვაურების ტრადიციის ანალოგიით, რიტუალურად ჩაუშვეს შუა ზღვაში.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ხელშეწყობილია საერთაშორისო ფესტივალების ჩატარება

კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03 05)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 150.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 150 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურისა და ხელოვნების სფეროში იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი პროექტების (თავისუფალი ინიციატივები) მხარდაჭერას თანადაფინანსების ფორმატში.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს კონკურსების ჩატარებას.

ამ მიზნით, ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერმა გამოსცა ბრძანება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის შესარჩევი კონკურსის ჩატარების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე.(ბ14. 142502115 21.01. 2025). მარტის თვეში ჩატარდა საკონკურსო I კომისიის სხდომა, სადაც განხილული იქნა თებერვლის თქვეში წარმოდგენილი 4 პროექტი, ხოლო მაისის თვეში ჩატარდა II კომისიის სხდომა, სადაც განხილული იქნა მარტი აპრილის განახცადები.

ჯამში დაფინანსებაზე რეკომენდაცია გაეწია 16 პროექტს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია კულტურის სფეროში ინიცირებული პროექტები, შეირჩა და განხორციელდა 16 პროექტი.

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

ფოლკლორის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა 1,980.2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,851.9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 94%.

პროგრამის აღწერა:

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში 3 და 8 მარტთან დაკავშირებით ჩატარდა კონცერტი კულტურის ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობით. ასევე, ანსამბლების მონაწილეობით გაიმართა სახალხო დღესასწაული „ბათუმობა 2025“. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში, ენვერ ხაბაძის სახელობის ქართული ნაციონალური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ბათუმი“ მონაწილეობდა გამართულ კონცერტებში, ხოლო ხალხური და ქალაქური მუსიკის სადამოზე კი ხალხური სიმღერის ვაჟთა და ვოკალური ანსამბლები.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა: 8-26 ივნისი - ენვერ ხაბაძის სახელობის ქართული ნაციონალური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ბათუმი“-ს კონცერტი; 20 ივნისი ხალხური და ქალაქური მუსიკის სადამო - ხალხური სიმღერის ვაჟთა ანსამბლი, ვოკალური ანსამბლი; 6-13-26 ივლისი - ენვერ ხაბაძის სახელობის ქართული ნაციონალური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ბათუმი“-ს კონცერტი; 16-17



ივლისს ბათუმის კულტურის ცენტრის ენვერ ხაბადის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბათუმის“ ვეტერანთა ჯგუფის გასტროლი ქალაქ სიდეში (თურქეთი) ტურისტულ სეზონთან დაკავშირებულ ქორეოგრაფიულ და ვოკალური ანსამბლების საერთაშორისო ფესტივალზე; 8-11 აგვისტო - 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილეთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება, შინდისის გმირების სახელობის სკვერში, შინდისთან დაღუპული გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილ ცერემონიაზე ბათუმის კულტურის ცენტრის ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლის გამოსვლა; 27 სექტემბერი - სოხუმის დაცემის დღე - ბათუმის კულტურის ცენტრის ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლის გამოსვლა ჟიული შარტავას მემორიალთან საანგარიშო პერიოდში გაიცა ანაზრაურება თანამშრომლებზე.

26/10/25 - იუნესკოს შემოქმედებითი ქალაქების ქსელის-მუსიკალური მიმართულების ფარგლებში ახალგაზრდა მუსიკოსთა საერთაშორისო ვორქშოპი (გასტროლი - თურქეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ქირშეჰირი) - ენვერ ხაბადის სახელობის ქართული ნაციონალური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ბათუმი“; ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „ბათუმი“.

23/11/25 - ქართული ქორეოგრაფიის რაინდის, ბატონ ომარ ხურციძის დაბადების 80 წლის აღსანიშნავი საიუბილეო და შემოქმედებითი საღამო (თბილისის ალ. გრობოედოვის სახელობის რუსულ პროფესიულ დრამატულ თეატრი) - ენვერ ხაბადის სახელობის ქართული ნაციონალური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ბათუმი“.

➤ მიღწეული შედეგები:

გატარებულია ღონისძიებები ფოლკლორის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით.

თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 428.6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 421.4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98%.

პროგრამის აღწერა:

06/01/25 - ახალი წლის ღონისძიება (ევროპის მოედანი) - ჯაზ-ბიგ ბენდი

03/05/25 - ბათუმობის დღესასწაული - ჯაზ-ბიგ ბენდი; ჯგუფი „GEO PLANET“

14/06/25 - ჯაზის საღამო (საზაფხულო თეატრი - ფასიანი კონცერტი) - ჯაზ-ბიგ ბენდი

26/06/25 - რესპირაციული ასოციაციის მე-9 საერთაშორისო კონგრესის საზეიმო გახსნის ცერემონია - ჯაზ-ბიგ ბენდი

25/07/25 - უნივერსიტეტის 2025 წლის კურსდამთავრებულთა ღონისძიება - ჯაზ-ბიგ ბენდი

26/09/25 - ანესთეზიოლოგ-რეანიმეტოლოგთა საერთაშორისო კონფერენციის გახსნის ცერემონია - ჯაზ-ბიგ ბენდი

30/10/25 - იუნესკოს შემოქმედებითი ქალაქების ქსელის-მუსიკალური მიმართულების ფარგლებში ახალგაზრდა მუსიკოსთა საერთაშორისო ვორქშოპი (გასტროლი - თურქეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ქირშეჰირი) - ჯაზ-ბიგ ბენდი



27/11/25 - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო - ჯაზ-ბიგ ბენდი

25/12/25 - აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი. ტურისტული სერვისის მიმწოდებლების დაჯილდოების ღონისძიება - ჯაზ-ბიგ ბენდი

➤ მიღწეული შედეგები:

ხელშეწყობილია თანამედროვე მუსიკის მიმართულებით მოქმედი ანსამბლებლები.

კლასიკური მუსიკის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 802.1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 772.4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 96%.

პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

სახალხო დღესასწაული „ბათუმობა 2025“ - ქალთა აკადემიური კამერული გუნდის კონცერტი;

სახალხო დღესასწაული „ბათუმობა 2025,, - სიმებიანი კვარტეტის კონცერტი;

სახალხო დღესასწაული „ბათუმობა 2025“ - სასულე ორკესტრის კონცერტი;

მაისი - თბილისის საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე ქალთა აკადემიური კამერული გუნდის გასტროლი ქ. თბილისში;

ტურისტული სეზონის გახსნა - ფესტივალი „ზაფხული იწყება აქ,, - ქალთა აკადემიური კამერული გუნდი;

მაისი - აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით სიმებიანი კვარტეტის კონცერტი;

მაისი - ხელოვნების უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტების ნამუშევრების პრეზენტაციაზე სიმებიანი კვარტეტის კონცერტი;

27-28 ივნისი - სიმებიანი კვარტეტის კონცერტი ქირურგთა საერთაშორისო კონფერენციაზე."

"27-28 ივნისი - სიმებიანი კვარტეტის კონცერტი ქირურგთა საერთაშორისო კონფერენცია. 2 აგვისტო - კლასიკური მუსიკის საღამო - ბათუმის ცენტრალურ ბულვარი „საზაფხულო თეატრის“ მიმდებარედ გაიმართა ქალთა აკადემიური კამერული გუნდის, სასულე ორკესტრის და სიმებიანი კვარტეტის კონცერტი.

14-20 ივლისი - ზაფხულის ფესტივალი 2025 ქალთა აკადემიური კამერული გუნდის მონაწილეობა;

31 ივლისი - კომპოზიტორ იოსებ ბარდანაშვილის შემოქმედებითი საღამო - ქალთა აკადემიური კამერული გუნდის მონაწილეობა;

18 აგვისტო - ლეიკემიის საერთაშორისო დღის აღნიშვნის მიზნით სიმებიანი კვარტეტის კონცერტი საზაფხულო თეატრში;

30 სექტემბერი - ხელვაჩაურის პედაგოგთა დაჯილდოების ცერემონიალი - სიმებიანი კვარტეტი, სასულე ორკესტრი."

27/11/25 - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების საზეიმო გახსნის ცერემონია - სასულე ორკესტრი



03/12/25 - იაპონელი მხატვრის კიკუტას პერსონალური გამოფენის ცერემონია - სიმებიანი კვარტეტი

24/12/25 - გადაცემა „დილის ტალღა“ - სიმებიანი კვარტეტი

25/12/25 - აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი. ტურისტული სერვისის მიმწოდებლების დაჯილდოების ღონისძიება - სიმებიანი კვარტეტი."

➤ მიღწეული შედეგები:

ხელშეწყობილია კლასიკური მუსიკის მიმართულებით მოქმედი ანსამბლებლები.

ხელოვანთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 04)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 77.0ათასი ლარი; საკასო შესრულება - 74.2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 96%.

პროგრამის აღწერა:

ღონისძიების „საერთაშორისო კულტურულ პროექტებში მონაწილეთა დაფინანსება“ ფარგლებში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2025 წლის საანგარიშო კვარტალში გაიმართა სამუშაო ჯგუფის (კომისიის) სულ 3 სხდომა. კომისიის გადაწყვეტილებით, ქვეპროგრამის ბენეფიციარებად შეირჩნენ: მალხაზ კოჩალიძე, ვლადიმერ შარაშიძე, მათა ჭყონია, თამთა დარჩია, ხათუნა მანაგაძე, ირაკლი გურგენიძე, ლელა კვიციანი, ბაჩი მიქელაძე, ნატალია ორაგველიძე, მალხაზ კოჩალიძე, ვლადიმერ შარაშიძე.

„ხელოვანი ბათუმისთვის“ ღონისძიება ითვალისწინებს კულტურის სფეროში ნიჭიერი/წარმატებული ხელოვანების გამოვლენას, რომლებმაც მიმდინარე წელს მიაღწიეს თვალსაჩინო, განსაკუთრებულ და გამორჩეულ წარმატებებს, ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის თუ მის ფარგლებს გარეთ და პირადი/მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქ. ბათუმის რეკლამირება /პოპულარიზაციაში. ასევე, წლის ბოლოს, დაჯილდოების ოფიციალური საზეიმო ცერემონიალის გამართვას.

პროგრამის „კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა“ ქვეპროგრამის „ხელოვანთა ხელშეწყობა“ ღონისძიების „ხელოვანი ბათუმისთვის“ ფარგლებში, გამოვლინდნენ გამარჯვებული პირები სხვადასხვა ნომინაციებში: „წლის კომპოზიცია“, „რჩეული კომპოზიცია“, „რჩეული“, „წარმატებული კომპოზიცია“, „წლის ხელოვანი“, „წლის აღიარება“, „ხელოვანი ბათუმისთვის“ მაესტრო“, „დიდოსტატი“, წლის „კულტურის მუშაკი“ „წლის კოლექტივი“, „რჩეული კვარტეტი“, „რჩეული დასი“, „ახალგაზრდა ხელოვანი ბათუმისთვის“. სულ დაჯილდოვდა 42 პირი.

➤ მიღწეული შედეგები:

დაფასებული და სტიმულირებულია ბათუმელი ხელოვანები.

ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 04 05)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა.



➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1,700.7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,638.9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 96%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა: ბიბლიოთეკის მართვა-აღმინისტრირება, საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა-დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა; საბიბლიოთეკო მაჩვენებლების შედგენა და სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ბაზის შექმნა; საბიბლიოთეკო პროცესებში ელექტრონული საცნობარო აპარატის და მონაცემთა ბაზის შექმნა და სრულყოფა, კომპიუტერული ქსელის და ქსელური აპარატურის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით, ელექტრონული რესურსებით, ტექნიკური საშუალებებით და ინტერნეტით, საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. საბიბლიოთეკო საქმიანობას ნაწილობრივ დაბრკოლება შეუქმნა საჯარო ბიბლიოთეკის ძირითადი კორპუსში ახალ რკინის თაროებზე ბიბლიოთეკაში არსებული ფონდის დადგენილი სტანდარტების შესაბამისად განთავსებამ, რაც მეტად შრომატევადია. რესტავრაციის პროცესში საცავების გაზრდის მიზნით, გამოიყო დამატებითი ფართი წიგნადი ფონდის განსათავსებლად, რამაც მოითხოვა გარკვეული რაოდენობის დამატებითი რკინის სტელაჟების შექმნა. ბიბლიოთეკის ძირითად კორპუსში დროებით შეწყვეტილია მკითხველების მომსახურება. საქმიანობა გრძელდება ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებაში.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკის შეუფერხებელი ფუნქციონირება

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება (პროგრამული კოდი 05 05)

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 05

01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა 6,236.0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 6,058.3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქ. ბათუმში, ლუკა ასათიანის ქ. N25-ში მდებარე მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია-გამაგრება - მოეწყო 8 922 გ/მ ჭაბურღილი, 414,27 კბ.მ. ცემენტის ხსნარი ჩაჭიხვნა ჭაბურღილში, 8 922 გ/მ ცემენტაციის პოლიეთილინის მილი, 60 კბ.მ. კედელი, 1 980 კვ.მ. სახურავი, 206 კვ.მ. მეტლახი და კაფელი, 790 კვ.მ. ლამინირებული იატაკი, 1350 კვ.მ. გიფსოკარდონი კედლებზე და ჭერებზე, 500 გ/მ კარნიზები ჭერებზე, 105 ც. ინტერნეტის ქსელის წერტილები გაყვანილობით, 85 გ/მ საკანალიზაციო მილი, 50 გ/მ წყალსადენი მილი, 60 კვ.მ. ფაჯრები და ვიტრაჟები, 64 კვ.მ. კარებები, 745 გ/მ კარნიზები ჭერებზე, 54 ც. კონდიციონერი, 100 კვ.მ. WSP-ფასადის პანელი, 25 კვ.მ. ვიტრაჟები; ღიობები გაძლიერდა 3,5 ტ. ლითონის ელემენტებით; შებათქაშდა და შეილესა 950 კვ.მ. კედლები; შეილესა 500 გ/მ კედლის



ნაოთხარები; კარნიზულად შეიღესა 2 250 გ/მ კედლები; რუსტრირებულად შეიღესა 1 500 კვ.მ. კედელი; რესტავრირებულ და აღდგენილ-გამაგრებულ იქნა 2 9000 დმ² ბალისაინები და რიკულები; დამუშავდა ფითხით და შეიღება 2 300 კვ.მ. კედელი.

ქ. ბათუმში, შ. რუსთაველის ქ. N51-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მონიტორინგის და პროგნოზირების ცენტრის შავი ზღვის ფილიალის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია - აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით განვიმარტავთ, რომ "აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს" მიერ საკუთრებაში უსასყიდლოდ გადმოგვეცა ზემოაღნიშნული ღონისძიების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ დოკუმენტაციაში არის რიგი უზუსტობები და ის არ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს. არსებული ვითარების გათვალისწინებით, ღონისძიების განხორციელების მიზნით სამმართველო განიხილავს ახალი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესწავლის საკითხს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება.

ქ. ბათუმში, ცენტრალური პარკის შესასვლელში არსებული კოლონადების რეაბილიტაცია-რესტავრაცია - მოეწყო 665 კვ.მ. გრანიტის ფილა; კოლონადებზე შეიცვალა 84 კომპლ. პროექტორული სანათები; აღდგენილ და რესტავრირებულ იქნა 4 436,64 დმ.კვ.მ. კოლონადების დაზიანებული ზედაპირები და არქიტექტურულ-დეკორატიული ელემენტები; შეიღება 1 050 კვ.მ. კოლონადების რთული რელიეფიანი ზედაპირები; შეიფითხა და შეიღება 35 კვ.მ. ძეგლის ზედაპირები.

კოტე მარჯანიშვილის და ლუკა ასათიანის ქუჩების კვეთაში მდებარე საცხოვრებელი სახლის სარესტავრაციო სამუშაოები - მოეწყო 744 კვ.მ. სახურავი, 4 ც. კონდეციონერი, 25 კვ.მ. აეკრასბეტოპანის ფილები, 120 კვ.მ. ბეტონის საფარი, 7,5 კვ.მ. ჭიშკარი, 37,2 კვ.მ. კრონშტეინები, 16,8 კვ.მ. კარ-ფანჯრები, 135 კვ.მ. თევზის ქერცლისებრი ელემენტები, 20 კვ.მ. გუმბათი, 42 კვ.მ. იატაკი, 18 კვ.მ. ლითონის ჭედური ელემენტები; შეიღება 270 კვ.მ. ფასადი, 15 კვ.მ. ჭიშკარი, 23 კვ.მ. კარები, 1 342 კვ.მ. ნალესი ზედაპირები, კარნიზები და დეკორატიული მორთულობები. აღდგენილ იქნა 2 500 კვ.მ. ცხაურები, 2,1 კვ.მ. საფეხურები, 18 კვ.მ. ცოკოლი, 84 კვ.მ. პილასტრები, 14 კვ.მ. კოლონები, 194 კვ.მ. რუსტრირებული ზედაპირები, 62,9 კვ.მ. კარ-ფანჯრის არშიები, 15,8 კვ.მ. ფანჯრის ძირები, 12 კვ.მ. წირთხლები, 88,8 კვ.მ. კარნიზები, 49 კვ.მ. ნალესი რუსტერი, 22,1 კვ.მ. რაფა-კარნიზი, 282,3 კვ.მ. კარ-ფანჯრის არშიები და თავსართები, 36 კვ.მ. ნალესი პილასტრები, 33,5 კვ.მ. ნალესი ფრიზები, 42,5 კვ.მ. კრონშტეინები, 105 კვ.მ. პროფილირებული მთავარი კარნიზი, 82,8 კვ.მ. აივნის ძირები, 28 კვ.მ. მოაჯირები, 130 კვ.მ. გვირაბის კედლების ნალესი; რესტავრაცია ჩაუტარდა 10 კვ.მ. კარებებს, 4,2 კვ.მ. ჭიშკარს, 11 კვ.მ. ხის დარაბებს; მანსარდის 130 კვ.მ. კარ-ფანჯრები შეიფუთა თუნუქით; 210 კვ.მ. კარნიზი დაიფარა ალუმინის ფურცლით."

ქ. ბათუმში, დემეტრე თავდადებულის ქ. N49-ში მდებარე შენობის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები - მოეწყო 125 კვ.მ. შავი ალუმინის ფანჯრები, 130 გ/მ. სპილენძის ძარღვიანი სადენი; შებათქაშდა 254 კვ.მ. კედლები ფანჯრების ფერდობის ჩათვლით.

➤ მიღწეული შედეგები:

შენარჩუნებულ და დაცულ იქნა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და კულტურულ საგანმანათლებლო ობიექტები.



ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 06)

ახალგაზრდული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 06 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 230.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 217.6ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95%.

პროგრამის აღწერა:

საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში:

ა) ახალგაზრდული ცენტრის მოვლა-პატრონობის, დალაგება-დასუფთავების, ლიფტის მოვლა-პატრონობის მომსახურების თაობაზე მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია, გამოცხადდა ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული და მიმდინარე წლის 05 თებერვალს გაფორმდა N31 ხელშეკრულება შპს „ბაო“-სთან. საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურების მოწოდება;

ბ) მიმდინარეობდა ახალგაზრდული ცენტრის ინტერნეტ მომსახურების მოწოდება (მიმწოდებელი - „შპს „გრინტე“, ხელშეკრულება N165 11.12.2024);

გ) მიმდინარეობდა ახალგაზრდულ ცენტრში ყოველთვიურად წარმოშობილი კომუნალური ხარჯის დაფარვა.

ღონისძიება „არაფორმალური განათლების ხელშეწყობა" - მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია, შედგა ტენდერი და 2025 წლის 01 აპრილს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და ა(ა)იპ „ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრს" შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №67 ხელშეკრულება „არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მომსახურების ორგანიზების შესახებ".

ღონისძიების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, სულ ფუნქციონირებდა 6 კლუბი, ჩატარდა 49 საგანმანათლებლო - შემეცნებითი შეხვედრა, ჯამში, დასწრების საერთო მაჩვენებელმა შეადგინა: 1173 ახალგაზრდა. ღონისძიების ფარგლებში გამართულ საგანმანათლებლო შეხვედრებში, ინდივიდუალურად, სულ ჩართული იყო ქ. ბათუმში მცხოვრები 14 - 24 წლის, 289 ახალგაზრდა. ჩატარებული შეხვედრების კმაყოფილებისა და ხარისხის შეფასების მიზნით, ღონისძიების ფარგლებში ჩატარებული ყოველი შეხვედრის შემდეგ, მონაწილე ახალგაზრდები, ავსებდნენ უკუკავშირის კითხვარს. 9 თვის მონაცემებით, უკუკავშირით მიღებულია 414 პასუხი, მათგან: ჩატარებული შეხვედრების ხარისხს მოსარგებლე ახალგაზრდები 100 % - ით დადებითად აფასებენ, ხოლო, გამოკითხული ახალგაზრდების კმაყოფილების მაჩვენებელიც - 100 % - ია. (უკუკავშირის მონაცემები შეგროვდა, გუგლი დრაივის ფორმით, ანონიმურად).

ღონისძიება „არაფორმალური განათლების ხელშეწყობა" ქვეღონისძიებების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის მოკლე ანგარიში:"

"ფსიქოლოგიის კლუბი - დარეგისტრირდა 80 ახალგაზრდა, მათგან შეირჩა 24, ასაკი: 16 – 19 წლის. საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა 10 საგანმანათლებლო შეხვედრა, მათ შორის 8 ფსიქოლოგიური სესია და 2 საჯარო ლექცია. შეხვედრებს წარუძღვნენ მოწვეული კვალიფიციური ფსიქოლოგები, შემდეგ თემებზე: 1. „ბულინგი, ძალადობა, დისკრიმინაცია"(ფსიქოლოგი: თამარ ქამადაძე); 2. „კომუნიკაცია, გარემოსთან ადაპტაცია და თავის დამკვიდრება“, საჯარო ლექცია (ფსიქოლოგი: ირმა ხურცია); 3.



„ბრაზისა და ემოციის მართვა“ (ფსიქოლოგი: ლუკა გაფრინდაშვილი); 4. „თვითგამორკვევა“, „თვითშეფასება“, „თავდაჯერებულობა“ (ფსიქოლოგი: ლუკა გაფრინდაშვილი); 5. „ადიქციური ქცევების მართვა და პრევენცია“ (ფსიქოლოგიური ნივთიერებების, ალკოჰოლის, ნიკოტინის, ნარკოტიკის მოხმარება, კომპიუტერულ თამაშებზე დამოკიდებულება, სოციალურ ქსელებზე დამოკიდებულება, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება) საჯარო ლექცია, (ფსიქოლოგი: ნათია ფანჯიკიძე); 6. „კრიზისული/გარდატეხის ასაკი და მასთან დაკავშირებული პრობლემების მართვა“ (ფსიქოლოგი: ქეთევან ბერიძე); 7. „პრობლემების იდენტიფიცირება და გადალახვის უნარი“, „გადაწყვეტილების მიღების სირთულეები“ (ფსიქოლოგი: ქეთევან ბერიძე); 8. „კომპლექსები (აზროვნების შეცდომები) და მისი მართვა“, „პოზიტიური აზროვნება“, „მიზნის დასახვა“ (ფსიქოლოგი: ლუკა გაფრინდაშვილი); 9. „დეპრესია, პრევენცია და მართვა“ (ფსიქოლოგი: ქეთევან ბერიძე); 10. „სტრესი, სტრესთან გამკლავება, შიში, შფოთვა და მათი მართვა, მათ შორის საგამოცდო სტრესი“ (ფსიქოლოგი: ლუკა გაფრინდაშვილი);

- კლუბის ფარგლებში, გაწეულია კვების, საკანცელარიო და მოწვეული სპეციალისტების მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები. კლუბში, საერთო ჯამში, სულ ჩაერთო 95 ახალგაზრდა. კლუბში დასწრების მაჩვენებელი: 240

ლიტერატურის კლუბში - დარეგისტრირდა 58 ახალგაზრდა, მათგან შეირჩა 22, ასაკი: 16 – 17 წლის. ბიუჯეტი: 13 759 ლარი. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 7 შეხვედრა, მათ შორის:

1. „მხატვრული ლიტერატურის როლი, დანიშნულება და საჭიროება“ საჯარო ლექცია (ლიტერატურათმცოდნეობის დოქტორი: მ. კორინთელი).

2. „1984“ ჯ. ორუელი, განხილვა (მოდერატორი: ლიტერატურათმცოდნეობის დოქტორი, მარიამ კორინთელი).

3. „ჰაკი აძმა“ ლ. ქიაჩელი, განხილვა (მოდერატორი: პროფესორი, ნანა ტრაპაიძე);

4. „ბახტრიონი“ ვაჟა ფშაველა, განხილვა (მოდერატორი: პროფესორი, ნანა ტრაპაიძე);

- კლუბის ფარგლებში, გაწეულია საკანცელარიო, ლანჩით შესვენებისა და მოწვეული სპეციალისტების მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები.

5. „გულივერის მოგზაურობა“ ჯ. სვიფთი განხილვა (მოდერატორი: თამარ სირამე);

6. „ვენეციელი ვაჭარი“ უ. შექსპირი (მოდერატორი: თამარ სირამე).

7. „ლიტერატურული ვიქტორინა“, გამარჯვებულებს გადაეცათ წიგნის მაღაზიის 100, 70, 50 ლარიანი ვაუჩერები, ხოლო, მონაწილეებს 30 ლარიანი ვაუჩერები.

კლუბში, საერთო ჯამში, სულ ჩაერთო 70 ახალგაზრდა.

კლუბში დასწრების მაჩვენებელი: 137."

კინოკლუბში - დარეგისტრირდა 50 ახალგაზრდა, მათგან შეირჩა 30, ასაკი: 16 – 17 წლის. ბიუჯეტი: 8 264 ლარი. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 7 შეხვედრა:

1. საჯარო ლექცია: „კინემატოგრაფიის ისტორია და თანამედროვეობა, კინოს საგანმანათლებლო როლი“, რომელსაც გაუძღვა რეჟისორი ნიკოლოზ ვერძაძე.

2. 5 მხატვრული ფილმის განხილვა მათ შორის:

„პანოპტიკონი, რეჟ: გიორგი სიხარულიძე

„საფეხური“ ალექსანდრე (საშა) რეჟ: რეხვიაშვილი

„ბრონქსული ამბავი“ რეჟ: რობერტ დენირო

„ავვისტოს 5 დღე“ რეჟ: რენი ჰარლინი

„რაშომონი“, რეჟ: აკირა კუროსავა

„მუსტანგი“, რეჟ: გამზ ერგუვენი



22 ივლისს, კინოკლუბი-2025, კინოთეატრში ვიზიტით დასრულდა. კლუბის წევრებმა „კავეას“ დიდ ეკრანზე ნახეს ჯეიმს განის ფილმი „სუპერმენი“.

კინოკლუბი-2025-ის შეხვედრებსა და განხილვებში ყველაზე მეტად ჩართულ 4 ახალგაზრდას გადაეცათ სავაჭრო ცენტრის 100 ლარიანი ვაუჩერები.

განხილვებს უძღვებოდნენ კინომცოდნეები: გიორგი მასალკინი, სოფიკო თოქმაჯიშვილი, გიორგი ქავთარაძე.

კლუბში დასწრების მაჩვენებელი: 234

კლუბში, საერთო ჯამში, სულ ჩაერთო 65 ახალგაზრდა. "

ეკოკლუბში - დარეგისტრირდა 68 ახალგაზრდა, მათგან შეირჩა 16, ასაკი: 16 – 19 წლის. ბიუჯეტი: 10 123 ლარი. ჩატარდა 8 შეხვედრა/აქტივობა, მათ შორის:

1. ტრენინგი: „გარემოს დაცვა და სამოქალაქო პასუხისმგებლობა“
2. გამწვანების აქცია, დედამიწის დღესთან დაკავშირებით
3. ტრენინგი: „ნარჩენების მართვა“
4. ტრენინგი: „კლიმატის ცვლილება“
5. ვიზიტი მტირალას ეროვნულ პარკში
6. თანატოლგანმანათლებელთა ტრენინგი
7. დასუფთავების აქცია და საგანმანათლებლო ფლაერების გავრცელება
8. ვიზიტი კოლხეთის ეროვნულ პარკში

- კლუბის ფარგლებში, გაწეულია კვების, საკანცელარიო, ტრანსპორტირებისა და მოწვეული სპეციალისტების მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები. ყველაზე ჩართულ და აქტიურ ახალგაზრდებს გადაეცათ სავაჭრო ცენტრის 100 ლარიანი ვაუჩერები. სულ ჩართული იყო 52 ახალგაზრდა. კლუბში დასწრების მაჩვენებელი: 145.

სამოქალაქო განათლების კლუბი - კლუბში დარეგისტრირდა 65 ახალგაზრდა, მათგან შეირჩა 20. ასაკი: 14 დან 25 წლის ახალგაზრდები. კლუბში ტრენერად მოწვეული იყო სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სამართალმცოდნე მაკა ხინთიბიძე. კლუბის ბიუჯეტი: 7 523 ლარი. კლუბის წევრებისთვის უზრუნველყოფილი იყო კვება. წევრების წახალისების მიზნით, კლუბის წევრებს გადაეცათ სერტიფიკატები და სასაჩუქრე ვაუჩერები. სამოქალაქო განათლების კლუბის მიზანია - ახალგაზრდებში მოქალაქეობრივი კომპეტენციის განვითარების ხელშეწყობა, რაც მათ დაეხმარება სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად მოქმედებასა და აზროვნებაში, ასევე, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებასა და დაცვაში. სამოქალაქო განათლების კლუბში ჩატარდა 5 ტრენინგი და 1 შემაჯამებელი ღონისძიება, მათ შორის, შემდეგ თემებზე:

1. „მოქალაქე, მისი როლი სახელმწიფოში, მოვალეობები და პასუხისმგებლობები, აქტიური მოქალაქეობა“;
2. „სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი აზროვნება, აქტიური მოქალაქეობა“;
3. „ადამიანის ძირითადი უფლებები, თავისუფლებები და გამოხატვის თავისუფლების უფლება“;
4. „მმართველობის ფორმები, პოლიტიკური წყობა, რეჟიმები და იდეოლოგიები“;
5. „დემოკრატია, მონაწილეობის უფლება და ფორმები“, „თვითმმართველობა და თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის მნიშვნელობა და მონაწილეობის ფორმები, აქტიური მოქალაქეობა“

6. შემაჯამებელი ღონისძიება: სტორითელინგის თემა: „კარგი მოქალაქის მაგალითი“, აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 100 ორკაციანმა გუნდმა, მათგან გამარჯვებული გუნდის წევრებს გადაეცათ წიგნის მაღაზიის 70-70 ლარიანი



ვაუჩერები, ხოლო 18 მონაწილეს, მონაწილეობის სერტიფიკატები და წიგნის მაღაზიის 30 ლარიანი ვაუჩერები.

- კლუბის ფარგლებში, გაწეულია კვების, წიგნის მაღაზიის ვაუჩერების, საკანცელარიო და მოწვეული სპეციალისტების მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები. სულ ჩართული იყო 34 ახალგაზრდა. კლუბში დასწრების მაჩვენებელი: 149.

„პროფორიენტაციის ხელშეწყობა“ - პროფორიენტაციის ტრენინგზე დარეგისტრირდა 50 ახალგაზრდა, მათგან შეირჩა 40, ასაკი: 16 – 18 წლის. ბიუჯეტი: 2 264 ლარი. მოწვეული ტრენერი: შორენა ქადიძე - კარიერული განვითარების კონსულტანტი, კარიერის აკადემიის დამფუძნებელი. პროფორიენტაციის ტრენინგის მიზანი: მონაწილე ახალგაზრდებს დაეხმაროს შესაძლებლობებისა და ინტერესების იდენტიფიცირება; გაუმარტივოს პროფესიული არჩევანი და პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება. 29 – 30 მაისს ბათუმის მერიის ახალგაზრდულ ცენტრში, ჩატარდა პროფორიენტაციის ხელშეწყობის ტრენინგი, მონაწილეობა მიიღო ბათუმში მცხოვრებმა 40 - მა ახალგაზრდამ. სულ ჩართული იყო 40 ახალგაზრდა. კლუბში დასწრების მაჩვენებელი: 40.

მედიაწიგნიერების კურსი - დარეგისტრირდა 54 ახალგაზრდა, მათგან შეირჩა 25, ასაკი: 16 – 20 წლის. ბიუჯეტი: 3 886 ლარი. 3 დღის განმავლობაში 25-მა ბათუმელმა ახალგაზრდამ მიიღო პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება მედიის კრიტიკული ანალიზის, ინფორმაციის სანდოობის შემოწმებისა და ვირტუალურ სივრცეში უსაფრთხოდ ორიენტირების შესახებ. მონაწილეებმა ისწავლეს დეზინფორმაციის, მალინფორმაციის, პროპაგანდისა და მანიპულაციის ამოცნობის გზები, განიხილეს სოციალური ქსელებისა და მედიის გავლენა ყოველდღიურ ცხოვრებაზე და იმუშავეს საკუთარი მედიაჩვევების გაუმჯობესებაზე. მონაწილე ახალგაზრდებს გადაეცათ ტრენინგ-კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები. ამასთან, გამოვლინდა ორი ყველაზე აქტიურად ჩართული ახალგაზრდა, რომლებსაც გადაეცათ სავაჭრო ცენტრის 100-100 ლარიანი ვაუჩერები.

კურსი ჩატარდა პროფესიონალი ტრენერის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტ. პროფესორის – ირმა გაბინაშვილის ხელმძღვანელობით. კლუბში, საერთო ჯამში, სულ ჩაერთო 25 ახალგაზრდა. კლუბში დასწრების მაჩვენებელი: 65 ახალგაზრდა.

დებატკლუბში - დარეგისტრირდა 60 ახალგაზრდა, მათგან შეირჩა 25 ახალგაზრდა, მათ შორის 5 სარეზერვო კანდიდატურა, ასაკი: 16 – 17 წლის. ბიუჯეტი: 6 222 ლარი. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 6 შეხვედრა: 4 ტრენინგი, ნახევარფინალი და ფინალი. ფინალური ტურნირის რეზოლუციაზე: „სკოლაში ტელეფონების აკრძალვა გამართლებულია“, გამარჯვება მოიპოვა უარმყოფელმა გუნდმა. დებატკლუბის წევრ 24-ვე ახალგაზრდას მონაწილეობის სერტიფიკატები გადაეცათ. ფინალის პირველ სამ საპრიზო ადგილზე გასული გუნდების წევრებს, სერტიფიკატებთან ერთად, გადაეცათ წიგნის მაღაზიის 100, 70 და 50 ლარიანი ვაუჩერები.

✓ დებატკლუბის ფარგლებში, საერთო რეიტინგის ქულების მიხედვით, გამოვლინდა 1 საუკეთესო მოდებატე, რომელსაც წიგნის მაღაზიის 75 ლარიანი ვაუჩერი გადაეცა.

✓ დამატებითი პრიზები გადაეცათ კიდევ ორ სპიკერს.

✓ დებატების ტურნირამდე ჩატარდა, 4 დღიანი ინტენსიური ტრენინგი, რომელსაც უღვებოდნენ დებატების კვალიფიციური ტრენერები რეზო ოკუჯავა და დავით ფარტენაძე.



კლუბში, საერთო ჯამში, სულ ჩაერთო 29 ახალგაზრდა. კლუბში დასწრების მაჩვენებელი: 147 ახალგაზრდა.

ახალგაზრდებთან ურთიერთობის კოორდინატორები (ახალგაზრდული მუშაკები) - დაგეგმილი ღონისძიებების კოორდინირების, ორგანიზებისა და ახალგაზრდებთან ურთიერთობის მიზნით, ტენდერის ფარგლებში აყვანილია ორი კოორდინატორი, რომლებიც უზრუნველყოფენ არაფორმალური განათლების ხელშეწყობის ფარგლებში საორგანიზაციო საკითხებისა და ახალგაზრდების ჩართულობას. კოორდინატორებს ყოველთვიურად ერიცხებათ ხელფასი.

სურდო თარჯიმნის მომსახურება - დაანონსებულ ღონისძიებებში დაინტერესება გამოხატეს ბათუმში მცხოვრებმა სმენადაქვეითებულმა ახალგაზრდებმა, რომლებიც ჩაერთნენ ფსიქოლოგიისა და ეკოკლუბებში. სმენადაქვეითებული ახალგაზრდების სპეციალური საჭიროების უზრუნველსაყოფად, აყვანილი იქნა სურდოთარჯიმანი და გაწეული იქნა სურდოთარჯიმანის ჰონორარის ხარჯები. საერთო ჯამში: 30 საათი.

ახალგაზრდებთან შეხვედრების უზრუნველყოფა - არაფორმალური განათლების ხელშეწყობის ღონისძიებისა და შესაძლებლობების შესახებ ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების ინფორმირებულობის მიზნით, საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა 14 დან 18 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებთან, მათ შორის 5 ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებაში. საერთო ჯამში შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 100 მა მოსწავლემ. საინფორმაციო შეხვედრებზე, ღონისძიებების გაცნობა განხორციელდა სლაიდ შოუზე მოცემული პრეზენტაციის მეშვეობით, სხვადასხვა კლუბითა და საგანმანათლებლო ღონისძიებით დაინტერესებულ ახალგაზრდებს, საშუალება ჰქონდათ, სპეციალურად დარიგებულ ანკეტებში აღნიშნათ ესა თუ ის კლუბი/ტრენინგი, რამაც გამოიწვია მათი ინტერესი და მომავალში ჩაერთვებოდნენ. აღნიშნული მონაცემები დამუშავდა და სარეგისტრაციო ფორმების ბმულები საინფორმაციო შეხვედრებზე დამსწრე ახალგაზრდებს გაეგზავნათ ანკეტებში გამოთქმული ინტერესების შესაბამისად.

- დამზადდა არაფორმალური განათლების ხელშეწყობის შესახებ საინფორმაციო პლაკატები, სტიკერები, ფლაერები და ბრენდირებული სამაჯურები."

ღონისძიება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა და საინფორმაციო აქტივობები“- საანგარიშო პერიოდში:

ა) 21 მარტს ჩატარდა დაუნის სინდრომის ცნობადობის ამაღლებასთან დაკავშირებით საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრა. შეხვედრას უძღვებოდა ფსიქოლოგი თამარ ქამადაძე, რომელმაც ღონისძიებაზე შეკრებილ აუდიტორიას ესაუბრა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებსა და თავისებურებებზე. ღონისძიებას ესწრებოდნენ დაუნის სინდრომის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი მშობლები, ჯამში 31 პირი.

ბ) 2 აპრილს ჩატარდა აუტიზმის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. შეიქმნა ინკლუზიური გარემო, ახალგაზრდები ჩაერთნენ გასართობ აქტივობებში. ჩატარდა წინდების კამპანია და სპეციალურად აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და არმქონე ახალგაზრდების მონაწილეობით დაიდგა ფლემშობი. აღნიშნულ აქტივობებში ჩართული იყო 50 (ორმოცდაათი) პირი."

გ) ფუნქციონირება დაიწყო ხელსაქმის (კრაფტ) ინკლუზიურმა კლუბმა - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და არმქონე ახალგაზრდების მონაწილეობით, ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე მიმდინარეობდა ხელსაქმის (კრაფტ) ინკლუზიური კლუბის ორგანიზებული და



გამართული მუშაობა. კლუბი უზრუნველყოფილი იყო ხელნაკეთი ნივთების, მათ შორის თოჯინების დამზადებისთვის ყველა საჭირო მასალითა და ინვენტარით; კლუბს ჰყავს ხელმძღვანელი, ხელნაკეთი ნივთების დამზადების სპეციალისტი - მანანა გურგენაძე, რომელიც ეხმარებოდა ახალგაზრდებს კრეატიული ხელნაკეთი ნივთების დამზადებაში.

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული კლუბის ფარგლებში ჩატარდა 11 (თერთმეტი) შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 115-მა ახალგაზრდამ.

დ) ფუნქციონირება დაიწყო ხატვის ინკლუზიურმა კლუბმა - ე. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და არმქონე ახალგაზრდების მონაწილეობით, ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე მიმდინარეობდა ხელსაქმის (კრაფტ) ინკლუზიური კლუბის ორგანიზებული და გამართული მუშაობა. კლუბი უზრუნველყოფილი იყო ხელნაკეთი ნივთების, მათ შორის თოჯინების დამზადებისთვის ყველა საჭირო მასალითა და ინვენტარით; კლუბს ჰყავდა ხელმძღვანელი, ხელნაკეთი ნივთების დამზადების სპეციალისტი - მანანა გურგენაძე, რომელიც ეხმარებოდა ახალგაზრდებს კრეატიული ხელნაკეთი ნივთების დამზადებაში. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული კლუბის ფარგლებში ჩატარდა 20 (ოცი) შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 183-მა ახალგაზრდამ.

ლონისძიება - „ბავშვთა სივრცე“ -მომსახურების ორგანიზების შესყიდვის მიზნით, საანგარიშო პერიოდში:

ა) განხორციელდა ბაზრის კვლევა, მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია, გამოცხადდა და შედგა ელექრონული ტენდერი და მომსახურების მოწოდებაზე მიმდინარე წლის 24 მარტს ა(ა)იპ „ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრ“-თან გაფორმდა N59 ხელშეკრულება;

ბ) ლონისძიების მაღალორგანიზებულად განხორციელების მიზნით, მიმწოდებელთან ერთად მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები და ჩატარდა 16 შეხვედრა, რომელსაც დაესწრო 167 მოზარდი.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა:

ა) მცირე საგანმანათლებლო აქტივობები - თვითშეფასების, პასუხისმგებლობის, ემპათიის, კომუნიკაციის, ადაპტაციისა და თავდაჯერებულობის უნარების გამომუშავებისთვის;

ბ) ფილმის ჩვენებები და განხილვები;

გ) შეხვედრები, რომლებიც დაეთმო ბავშვებისთვის სხვადასხვა უნარჩვევების (კითხვისა და ხატვის) გამომუშავება-განვითარებას. "

ლონისძიება - „შემეცნებითი ტურები“ - საანგარიშო პერიოდში მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია, გამოცხადდა ტენდერი და გაფორმდა ხელშეკრულება შემეცნებითი ტურების ორგანიზების თაობაზე. ლონისძიების ფარგლებში ჩატარდა ექვსი შემეცნებითი ტური იმერეთის რეგიონში; ორი შემეცნებითი ტური სამეგრელოს რეგიონში; ორი შემეცნებითი ტური გურიის რეგიონში. ახალგაზრდებმა მოინახულეს შემდეგი ლოკაციები: ბაგრატის ტაძარი; ქუთაისის ბოტანიკური ბაღი; სათაფლიის ნაკრძალი; თეთრა მღვიმე; პრომეთეს მღვიმე, გაბზარული ტბა;მარტვილის კანიონი; გურიის უდაბნოს მამათა მონასტერი; ნიკო-მარის სახლ-მუზეუმი; ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმი; ნიკო ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. აღნიშნულ ტურებში მონაწილეობას იღებდნენ ე. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 14-დან 29 წლის ახალგაზრდები, ჯამში 140 ახალგაზრდა. ტურების მიმდინარეობისას ახალგაზრდებს მეგზურობას უწევდა ისტორიკოსი ზურაბ



შავაძე, ხოლო ნაკრძალსა და მღვიმეებში ადგილზე მყოფი გიდეები. ახალგაზრდები გაეცნენ ქვეყნის წარსულიდან მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტებს, მათ შორის ღვინის წარმოების 8000 წლოვან უწყვეტ ტრადიციისა და რკინის მეტალურგიის განვითარების შესახებ არსებულ ისტორიულ ფაქტებს. მოინახულეს ბუნებისა და ისტორიული მნიშვნელობის კულტურული ძეგლები. შემეცნებით ტურების ფარგლებში დაფინანსებული იყო მონაწილეთა ტრანსპორტირება, ორჯერადი კვება, ისტორიკოსის/გიდისა და ფოტოგრაფის მომსახურება, მუზეუმებსა და ნაკრძალებში შესვლის საფასურის უზრუნველყოფა."

„მონაწილეობის ხელშემწყობი ღონისძიებები“:

ქვეღონისძიება „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა“ - საანგარიშო პერიოდში სულ შემოვიდა 12 განაცხადი. საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით დაფინანსდა 10 პროექტი.

პროექტი 1: „სატელევიზიო სკოლა სახელოსნო“ - პროექტი განხორციელდა მ.წ. 2 მარტიდან 23 მარტის ჩათვლით პერიოდში.

პროექტის მონაწილეები - 39 მოზარდი.

პროექტის ფარგლებში, ახალგაზრდები დაეუფლნენ კამერასთან და აუდიტორიასთან მუშაობის, ტექსტის აგებისა და საინფორმაციო მასალის წარდგენის, სტატიების წერისა და გაშუქების, ეფექტური კომუნიკაციისა და საჯარო გამოსვლის ტექნიკას, სხეულის ენისა და ხმის მართვის, საზოგადოებრივი აზრის კვლევის, ინტერვიუსა და ბლიც ინტერვიუს ტექნიკას, სატელევიზიო და საჯარო დებატების ხელოვნებას. პროექტის ავტორი: ფ/პ ირაკლი გორგოშაძე."

პროექტი 2: „პროფესიული სიმულაციები“ - პროექტი განხორციელდა მ.წ. 2 მარტიდან 23 მარტის ჩათვლით პერიოდში. პროექტის მონაწილეები - 39 მოზარდი.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა მოზარდების თვითგამოხატვის უნარების გაძლიერება, კრიტიკული აზროვნების ჟურნალისტიკისა და მედიის გამოყენების პრაქტიკული გამოცდილების შეთავაზება. ახალგაზრდებმა პრაქტიკული დავალებების შესრულებისა და შესაბამისი თეორიული მასალის გაცნობის საფუძველზე მიიღეს ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიების შესახებ, გაერკვნენ რომელი პროფესიაც მათთვის საინტერესო, ისწავლეს, როგორ დაგეგმონ თავიანთი კარიერული გზა და როგორ გამოიყენონ არსებული შესაძლებლობები, როგორ შეიძლება იდუალების პრაქტიკულად განხორციელება და პატარა ბიზნესის წამოწყება. განუვითარდათ კრიტიკული აზროვნებისა და სტრატეგიული დაგეგმვის უნარები, პრობლემის გადაჭრისა და სტრესულ გარემოში მართვის უნარები. პროექტის ავტორი: ფ/პ ირაკლი გორგოშაძე.

პროექტი 3: „გაეროს მოდელირება ბათუმში“ - პროექტის ფარგლებში ახალგაზრდები გაეცნნენ საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის პრინციპებს. განხორციელდება გაეროს კომიტეტების მუშაობის სიმულაცია, გლობალური პრობლემების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება. პროექტი ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში კრიტიკული აზროვნების, არგუმენტირებული მსჯელობის, კომუნიკაციის, მოლაპარაკებებისა და საჯარო გამოსვლების უნარების განვითარებას. პროექტის ავტორი: ფ/პ ალექსი კაიკაციშვილი."

პროექტი 4: „სპორტული ლიგა 2025“ - პროექტის ფარგლებში ჩატარდა რამდენიმე სპორტული და არაფორმალური საგანმანათლებლო ხასიათის აქტივობა, კერძოდ,



მოეწყო შეჯიბრი მკლავჭიდში და ველომარათონი. აგრეთვე ახალგაზრდებს ჩაუტარდათ ტრენინგი ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ. ტრენერი: თამარ ბერძენიშვილი.

მკლავჭიდსა და ველომარათონში პირველ, მეორე და მესამე საპრიზო ადგილზე გამარჯვებულ ახალგაზრდებს გადაეცათ სასაჩუქრე ვაუჩერები, საპრიზო თასები და სერტიფიკატები. პროექტი მიმდინარეობდა 20 მაისიდან 14 ივნისის ჩათვლით პერიოდში. მასში მონაწილეობა მიიღო 80-მა ახალგაზრდამ. პროექტის ავტორი: ფ/პ ლუკა ბაკურიძე.

პროექტი 5: „Counter Strike 2 - ბათუმის თასი“ - პროექტის ფარგლებში განხორციელდა ქ. ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის კომპიუტერული თამაშების ჩემპიონატის ორგანიზება. რეიტინგის მიხედვით პირველ 10 ადგილზე გასულ მონაწილეს გადაეცათ სასაჩუქრე ვაუჩერები; პირველ ადგილზე გასულ მონაწილეს გადაეცა საპრიზო თასი, ხოლო თამაშის ყველა მონაწილეს სერტიფიკატი. პროექტი მიმდინარეობდა 7 ივნისიდან 14 ივნისის ჩათვლით პერიოდში. მასში მონაწილეობა მიიღო 40-მა ახალგაზრდამ. პროექტის ავტორი: ფ/პ არჩილ ქათამაძე.

პროექტი 6: „მეწარმეობის ლაბორატორია“ - პროექტის ფარგლებში ბათუმში მცხოვრები 10-დან 15 წლამდე მოზარდებისთვის საჭირო უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა სასწავლო პროცესის ორგანიზება არაფორმალურ გარემოში; აღნიშნულის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მონაწილეთა თვითშეფასება და რწმენა საკუთარი შესაძლებლობების მიმართ, განუვითარდათ ლიდერობის, გუნდური მუშაობის, კომუნიკაციისა და პრეზენტაციის უნარები, ჩამოუყალიბდათ მეწარმეობრივი აზროვნება და ინიციატივის აღების კულტურა ყოველდღიურ ცხოვრებაში. მონაწილეებმა შექმნეს პროფესიული პორტფოლიო, რომელსაც გამოიყენებენ მომავალი კარიერული შესაძლებლობებისთვის, ასევე დაამყარეს კავშირები პროექტში ჩართულ ბიზნესწარმომადგენლებთან, რაც ხელს შეუწყობს მომავალში მათ სტაჟირებასა და დასაქმებას სასურველ სფეროში. პროექტში მონაწილე მოზარდებში განხორციელდა მეწარმეობის პოპულარიზაცია და სამეწარმეო კულტურის განვითარება, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობა ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერების, ახალგაზრდა მეწარმეების ახალი თაობის აღზრდის. პროექტი მიმდინარეობდა 7 ივნისიდან 15 ივნისის ჩათვლით პერიოდში. მასში მონაწილეობა მიიღო 40-მა ახალგაზრდამ. პროექტის ავტორი: ფ/პ თამარიკო ადეიშვილი.

პროექტი 7: „ეს დღე ჩვენი“ - პროექტის ფარგლებში 1918 - 1921 წლებში საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩატარდა საგანმანათლებლო ხასიათის შეხვედრები, რომლის ფარგლებშიც პროექტში ჩართულმა ახალგაზრდებმა წარადგინეს მათ მიერ მომზადებული პრეზენტაციები. პრეზენტაციის წარდგენის შემდგომ კი გაიმართა დისკუსია. 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 107 წლისთავის აღსანიშნავად დაიდგა ფლემშობი წარმოდგენილი, როგორც ერთგვარი კულტურული გზავნილი, რომელიც გამოხატავდა საქართველოს მრავალფეროვნებისა და ერთიანობის იდეას. ახალგაზრდების მონაწილეობით შესრულდა სხვადასხვა კუთხეებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული საცეკვაო ნომრების პოპური, ხოლო დასასრულს ახალგაზრდებმა თავინთი განლაგებით გამოსახეს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა, რომლებსაც ირგვლივ შემოსაზღვრული ჰქონდა ევროკავშირის დროშა, რითაც კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი ჩენი ქვეყნის ევროპულ მისწრაფებას. პროექტი მიმდინარეობდა 22 მაისიდან 31 მაისის ჩათვლით პერიოდში. პროექტში



მონაწილეობდა ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მდებარე კერძო და საჯარო სკოლის მოსწავლეები, ჯამში 220 ახალგაზრდა. პროექტის ავტორი: ფ/პ ელენე დარჩია.

პროექტი 8: „ციფრული საზღვრები - პროექტის ფარგლებში ბათუმში მცხოვრები 10-დან 15 წლამდე მოზარდებისთვის საჭირო უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით შედგა შვილებსა და მშობლებს შორის აქტიური კომუნიკაცია; მოზარდებმა ჩაწერეს ინტერვიუები მშობლებთან, მოაწყვეს ინტერაქციული ჩელენჯები, რომლებმაც ხელი შეუწყო ორივე მხარის პერსპექტივის გაზიარებას, მოეწყო სახალისო აქტივობები.

ღონისძიების ფარგლებში, ჩატარებულ აქტივობებს მოდერაციას უწევდნენ პროფესიონალი ფსიქოლოგები, მათ შორის ნათია ფანჯიკიძე. პროექტი მიმდინარეობდა 27-28 ივნისს, მასში მონაწილეობდა 40 პირი. პროექტის ავტორი: ფ/პ ნიკა ლოდობერიძე."

პროექტი 9: „ბილიარდის ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის“ - პროექტის მიზანია ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის, სპორტული კულტურისა და მეგობრული კონკურენციის განვითარების ხელშეწყობა; მოთმინების, სტრატეგიული აზროვნებისა და გუნდური უნარების განვითარების ხელშეწყობა. პროექტის ავტორია ფ/პ გუგა მუხაშავერა.

პროექტი 10: „კლასიკური მუსიკის სადამო: Ad Infinitum"."

პროექტის ფარგლებში 28 აგვისტოს, ბათუმში, „ლე მერიდიანში“, გაიმართა ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსების: ლიზი რამიშვილისა და სანდრო გეგეჭკორის კონცერტი. პროექტის მიზანი გახლდათ, როგორც ბათუმში მცხოვრები, ასევე ქალაქის სტუმრებისთვის და კლასიკური მუსიკის მოყვარული ადამიანებისთვის ხარისხიანი და გემოვნებიანი მუსიკალური სადამოს შეთავაზება. პროექტში მონაწილეობდა 2 პირი.

პროექტის ავტორი: ფ/პ არჩილ ქათამაძე.

ქვეღონისძიება - „მოხალისეთა კლუბი“ - სამსახურის მიერ მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია, შედგა ტენდერი და 2025 წლის 24 მარტს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და ა(ა)იპ „ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრს“ შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №59 ხელშეკრულება „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული ცენტრის ბავშვთა სივრცეში მონაწილეობის ხელშეწყობის ღონისძიებების - მოხალისეთა კლუბისა და ბავშვთა სივრცის“ ორგანიზების თაობაზე. საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა მოხალისეთა კლუბის ფუნქციონირება; კლუბს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც კოორდინაციას უწევს მოხალისეთა კლუბის საქმიანობას და უზრუნველყოფს სასწავლო ხასიათის შეხვედრების ჩატარებას შემდეგი მიმართულებებით:

- გარემოს დაცვა, მათ შორის კლიმატის ცვლილებების შემცირება;
- აქტიური მოქალაქეობა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობები;
- სოციალური პასუხისმგებლობა და სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში კლუბის ფარგლებში ჩატარდა თოთხმეტი საგანმანათლებლო ხასიათის შეხვედრა.

გარდა კლუბის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობებისა, მოხალისეები აქტიურად არიან ჩართულნი ახალგაზრდული ცენტრის სივრცეში მიმდინარე სხვადასხვა სახისა და ახასიათის აქტივობებში. კლუბში გაწევრიანებულია 30 ახალგაზრდა.

„წამახალისებელი ღონისძიებები, წლის შემაჯამებელი, საანგარიშო ღონისძიება“ - მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია და შედგა ელექტრონული ტენდერი. წლის შემაჯამებელი ღონისძიება ჩატარდა 2025 წლის 18 დეკემბერს, ქალაქ ბათუმში,



სასტუმრო „ლე მერიდიენ ბათუმში“. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა 2025 წლის მანძილზე ახალგაზრდული მიმართულებით განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების პრეზენტაცია; ღონისძიებას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები, მათ შორის ის ახალგაზრდები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ მერიის მიერ ორგანიზებულ პროექტებსა და ღონისძიებებში; ფულადი ვაუჩერებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ მოხალისეობრივ საქმიანობაში აქტიურად მონაწილე ახალგაზრდები. დამსწრე საზოგადოებამ იხილა ახალგაზრდული ცენტრის საქმიანობის ამსახველი ახალი საიმედიო ვიდეორგოლი, რომელიც ამავე ღონისძიების ფარგლებში დამზადდა. ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ სტუმრებმა გააგრძელეს ურთიერთობა ფურშეტისა და დიჯეის პროგრამის თანხლებით, არაფორმალურ გარემოში გამოცდილების გაზიარებასისა და ახალი კონტაქტების დამყარების მიზნით. ღონისძიებას ესწრებოდა 50 პირი.

მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია ახალგაზრდების ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული ახალგაზრდული სივრცე; შექმნილია არაფორმალური განათლების შესაძლებლობები; მხარდაჭერილია ახალგაზრდების იდეების განხორციელება; ხელშეწყობილია ახალგაზრდების მონაწილეობა.

ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 06 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 19.2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 19.2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%.

➤ პროგრამის აღწერა:

1) ინტელექტუალური - თამაში „რა? სად? როდის?“ საანგარიშო პერიოდში:

- სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში გათვალისწინებული იქნა ღონისძიების - ინტელექტუალური თამაშების „რა? სად? როდის?“ ორგანიზების შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის გზით, თანხაზე 15 400 ლარი. აღნიშნული ღონისძიების ჩატარების ექსკლუზივი გააჩნია ა(ა)იპ „აჭარის ინტელექტ-კლუბს“;

- სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში გათვალისწინებული იქნა ინტელექტუალური თამაშების „რა? სად? როდის?“ ფარგლებში ღონისძიების მონაწილეების დასაჯილდოვებლად, სასაჩუქრე თასებისა და სასაჩუქრე წიგნების შეძენა, გამარტივებული შესყიდვის გზით. თასების შესაძენად გათვალისწინებულია 780 ლარი. ხოლო წიგნების შესაძენად - 3 820 ლარი. სამსახურის მიერ განხორციელდა ბაზრის კვლევა, რის შემდეგ ზემოხსენებული მომსახურებების მიღების მიზნით, ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მოხსენებითი ბარათი გადაიგზავნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში."

სასაჩუქრე წიგნების შეძენა-მიწოდების მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და შპს „წიგნი-ბ“-ს შორის მიმდინარე წლის 8 აპრილს დაიდო №73 ხელშეკრულება. ხელშეკრულების საფუძველზე, „მიწოდებელმა“ შეასრულა



დაკისრებული ვალდებულება და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, კერძოდ, მიმდინარე წლის 19 აპრილს, შემსყიდველის მისამართზე: ქ. ბათუმი, ს.ს. ორბელიანის ქ. N10, უზრუნველყო ინტელექტუალური თამაშების „რა? სად? როდის?“ ფარგლებში მონაწილეებისათვის სასაჩუქრე წიგნების მოწოდება.

მომსახურების საერთო ღირებულებამ შეადგინა 3 000 ლარი.

მიღწეული შედეგები:

ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომია ინტელექტუალურ და შემეცნებით პროექტებში მონაწილეობა

**პრიორიტეტი: ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)**

მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 2,053.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,912.8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 93%.

➤ პროგრამის აღწერა:

ბრონქული ასთმით და ქოდის მქონე დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა ფარგლებში მომსახურეობით ბრონქული ასთმით და ქოდის მქონე დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურეობით ისარგებლა - 181-მა ბენეფიციარმა, აქედან - 82 მამაკაცი, ხოლო - 99 ქალი.

სამი და მეტი შშმ პირთა (ოჯახში) დახმარება მედიკამენტების შეძენისათვის ფარგლებში გაცემულია 54 ვაუჩერი, აქედან - 25 მამაკაცი, ხოლო - 29 ქალი.

დახმარება მედიკამენტების შეძენისათვის ფარგლებში პერიოდში გაცემულია 7415 ვაუჩერი, აქედან, 3337 ბენეფიციარი მამაკაცი, ხოლო - 4078 ბენეფიციარი ქალი.

18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება ფარგლებში მატერიალური დახმარება გაეწია 13 ბენეფიციარს, აქედან - 6 მამაკაცი, ხოლო - 7 ქალი.

18 წლამდე ასაკის ჰომოცისტეინურიით, ცელიაკით, გალაქტოზემიით და მუკოვისციდოზით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება ფარგლებში მატერიალური დახმარება გაეწია 32 ბენეფიციარს, აქედან - 11 მამაკაცი, ხოლო - 21 ქალი.

18 წლის ასაკის ზემოთ ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება ფარგლებში მატერიალური დახმარება გაეწია 7 ბენეფიციარს, აქედან - 3 ბენეფიციარი მამაკაცი, ხოლო - 4 ბენეფიციარი ქალი.

დახმარება შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ სოციალურად დაუცველ 100000-მდე ქულის მქონე პირთა, შშმ პირთა და ასაკით პენსიონერთათვის გლუკომეტრის ჩხირების შეძენის მიზნით ღონისძიების ფარგლებში გაცემულია 2344 ვაუჩერი, აქედან - 1055 ბენეფიციარი მამაკაცი, ხოლო - 1289 ბენეფიციარი ქალი.

➤ მიღწეული შედეგები:



ქვეპროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან მედიკამენტებითა და საკვები დანამატებით.

**ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია
(პროგრამული კოდი 06 01 02)**

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 113.6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 110.6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქ. ბათუმში რეგისტრირებული 30-დან 40 წლამდე ქალებისათვის მამოლოგის კონსულტაცია და მამოგრაფია - ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურეობით ისარგებლა 100-მა ბენეფიციარმა (ქალი).

25-დან 30 წლამდე ასაკის ქალებისათვის სარძევე ჯირკვლის ელასტოგრაფია ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურეობით ისარგებლა 15-მა ბენეფიციარმა (ქალი).

ქ. ბათუმში რეგისტრირებული ქალებისათვის საშვილოსნოს, საკვერცხეების, მკერდის, ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიების ონკო-მარკერებით კვლევა ქვეპროგრამის ფარგლებში ონკომარკერი გაიხარჯა - 3405, ხოლო მომსახურეობით ისარგებლა 1208--მა ბენეფიციარმა (ქალი).

ფილტვის კიბოს სქრინინგი საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ღონისძიებით ისარგებლა 998-მა ბენეფიციარმა, მათგან 596 ბენეფიციარი მამაკაცია და 402 ბენეფიციარი ქალი.

**ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია
(პროგრამული კოდი 06 01 03)**

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 243.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 192.9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 79%.

➤ პროგრამის აღწერა:

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია - გათვალისწინებული ღონისძიება გათვლილია 45 ბენეფიციარზე, ამოქმედებულია და მომსახურეობით სარგებლობს 39 ბენეფიციარი, რომელთაც გაეწიათ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, აქედან - 20 ბენეფიციარი მამაკაცია, ხოლო - 19 ბენეფიციარი ქალი.

მიღწეული შედეგები:

ფსიქიური პრობლემების მქონე პირთათვის ჩატარდა სარეაბილიტაციო ღონისძიებები.

**მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურეობა
(პროგრამული კოდი 06 01 04)**

➤ პროგრამის განმახორციელებელი:



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 279.5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 272.2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

სტომატოლოგიურ და ორთოპედიულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯი - გათვალისწინებულია 1300 ბენეფიციარის სტომატოლოგიური მომსახურეობა, რომელთაგან საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 1284-მა ბენეფიციარმა, აქედან - 706 ბენეფიციარი მამაკაცია, ხოლო -578 ბენეფიციარი ქალი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ქვეპროგრამის ბენეფიციართათვის მიწოდებულია სტომატოლოგიური, ორთოდონტიული და ორთოპედიული მომსახურება.

ზოგიერთი მოწყვლადი კატეგორიის პირებისათვის კლიმატოთერაპიის კურსის ჩატარება (პროგრამული კოდი 06 01 05)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1,230.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,198.4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

შშმ პირებისა და შეძენილი შშმ სტატუსის მქონე (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანების, შშმ სტატუსის ბავშვების, მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების, სოციალურად დაუცველი (100 001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების საკურორტო რეაბილიტაცია/შშმ პირებისა და შეძენილი შშმ სტატუსის მქონე (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანების, მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების თანმხლები პირებისა და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების მომსახურეობა - საანგარიშო პერიოდში, ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურებით ისარგებლა -1997-მა ბენეფიციარმა, აქედან - 799 ბენეფიციარი მამაკაცია, ხოლო - 1198 ბენეფიციარი ქალი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ქვეპროგრამის ბენეფიციართათვის ჩატარებულია კლიმატოთერაპიის 12 დღიანი კურსი.

ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 06)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 4,686.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 4,651.3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99%.

➤ **პროგრამის აღწერა:**



ქ. ბათუმში რეგისტრირებულ ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა - ღონისძიების ფარგლებში მომსახურებით ისარგებლა 315-მა ბენეფიციარმა, ამათგან 173 ბენეფიციარი ბიჭია, ხოლო 142 ბენეფიციარი გოგონა.

ქ. ბათუმში რეგისტრირებული 2-დან 10 წლამდე ასაკის სმენის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია ღონისძიების ფარგლებში რეაბილიტაცია უტარდება 15 ბავშვს ყოველთვიურად, მათ შორის 7 - გოგო, 8-ბიჭი.

ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარება - მომსახურებით სარგებლობს ყოველთვიურად საშუალოდ 649 ბენეფიციარი, აქედან 356 ბიჭი, ხოლო - 293 გოგონა.

ბავშვთა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა - მომსახურებით ისარგებლა 350-მა ბავშვმა, აქედან - 158 ბიჭი, ხოლო - 192 გოგონა.

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია - მომსახურებით სარგებლობს ყოველთვიურად საშუალოდ - 826 ბენეფიციარი. აქედან - 461 ბიჭი, ხოლო - 365 გოგონა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ახალშობილებში ჩატარებულია აუდიოლოგიური სკრინინგი. განხორციელებულია შესაბამისი ასაკის განვითარების შეფერხების და სმენის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია. ორთოპედიული პათოლოგიის მქონე 1 წლამდე ასაკის ბავშვებში ჩატარებულია ამბულატორიული მკურნალობის ერთი კურსი.

ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 07)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 201,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 162.1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 80%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქ. ბათუმში რეგისტრირებული ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთათვის ყოველთვიური მატერიალური დახმარება ღონისძიების ფარგლებში ყოველთვიურად სარგებლობს საშუალოდ 126 ბენეფიციარი, აქედან - 69 ბენეფიციარი მამაკაცია, ხოლო 57 ბენეფიციარი ქალი.

ლეიკემიით დაავადებული 18 წლის ჩათვლით პირებისათვის ყოველთვიურად მატერიალური დახმარების გაცემა - ღონისძიების ფარგლებში ისარგებლა 19-მა ბენეფიციარმა, აქედან 8 ბენეფიციარი მამაკაცია, ხოლო - 11 ბენეფიციარი ქალი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ქვეპროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით.

მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 08)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1,383.4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,253.0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 91%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ანგიოგრაფიის დაფინანსება ფარგლებში საანგარიშო პერიოდში მომსახურეობით ისარგებლა 20-მა ბენეფიციარმა, აქედან 11 ბენეფიციარი მამაკაცი, ხოლო 9 ბენეფიციარი ქალი.

გეგმიური გულის ან/და კორონარული არტერიების ანგიოგრაფიის დაფინანსება ღონისძიების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში გაცემულია 64 ვაუჩერი, აქედან 33 ბენეფიციარი მამაკაცი, ხოლო 31 ბენეფიციარი ქალი.

მაღალტექნოლოგიური ამბულატორიული კვლევების დაფინანსება ღონისძიების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში გაცემულია 945 ბენეფიციარმა. აქედან 519 ბენეფიციარი მამაკაცია, ხოლო 430 ბენეფიციარი ქალი.

ზოგიერთი ნოზოლოგიის დაფინანსება, რომელიც არ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის მიერ ღონისძიების ფარგლებში ისარგებლა 37 ბენეფიციარმა. აქედან 17 ბენეფიციარი მამაკაცია, ხოლო 20 ბენეფიციარი ქალი.

ბენეფიციართა გეგმიური ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება ღონისძიების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში გაცემულია 1717-ვაუჩერი, აქედან 944 ბენეფიციარი მამაკაცია, ხოლო 773 ბენეფიციარი ქალი.

გულის კტ კორონაროგრაფია ღონისძიების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში გაცემულია 45 ვაუჩერი, აქედან 24 ბენეფიციარი მამაკაცია, ხოლო 21 ბენეფიციარი ქალი.

ონკოპაციენტებისათვის იმუნო, თარგეტ და ციტოსტატიკური თერაპიის (ბსჟ) სერვისის (ინფუზიის) დაფინანსება - ღონისძიების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში გაცემულია 427 ვაუჩერი, აქედან 193 ბენეფიციარი მამაკაცია, ხოლო 234 ბენეფიციარი ქალი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელდა მკურნალობის თანადაფინანსება. მატერიალური დახმარება გაწეულია ქვეპროგრამის ბენეფიციართათვის.

თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01 09)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 187,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 187,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

მობილური გუნდის მიერ ბენეფიციართა ბინაზე მომსახურება ღონისძიების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის ხარისხიანი და მაღალკვალიფიციური ბინაზე მომსახურება. მოხდა დაავადების რეციდივებისა და რეჰოსპიტალიზაციის შემცირება. ბენეფიციარებს მიეწოდათ მედიკამენტები. ქვეპროგრამა გათვლილი იყო 100 ბენეფიციარზე, რომლის



ფარგლებში სრულად მოხდა ბენეფიციართა რაოდენობის შევსება. აქედან 62 ბენეფიციარი მამაკაცია, ხოლო 38 ბენეფიციარი ქალი.

მიღწეული შედეგები:

განხორციელებულია ბინაზე მომსახურება. შემცირებულია რეჰოსპიტალიზაციის შემთხვევათა რაოდენობა.

სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება (პროგრამული კოდი 06 02 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 568.2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 530.5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 93%.

➤ პროგრამის აღწერა:

წყლისა და კანალიზაციის გადასახადის დაფარვის ღონისძიების ფარგლებში ყოველთვიურად საშუალოდ სარგებლოს 11608 ბენეფიციარი.

დასუფთავებისთვის მოსაკრებლის საფასურის დაფარვის ღონისძიების ფარგლებში ყოველთვიურად საშუალოდ სარგებლობს 3940 ბენეფიციარი.

სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის დაფარვის ღონისძიების ფარგლებში - მომსახურებით სარგებლობს ყოველთვიურად საშუალოდ 384 ბენეფიციარი.

გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მიღგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება გაზქურამდე ერთი წერტილის გათვალისწინებით ფარგლებში 30 ბენეფიციარზე გაიცა ვაუჩერი, აქედან - 19 მამაკაცი, ხოლო -11 ქალი.

ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების თხევადი აირის ტალონით დახმარება ფარგლებში - ყოველთვიურად 5 კგ თხევადი აირის ტალონი გადაეცემა 110 პირს. აქედან - 95 მამაკაცი, ხოლო -15 ქალი.

მიღწეული შედეგები:

მოწყვლადი ჯგუფები უზრუნველყოფილნი არიან ძირითადი კომუნალური სერვისებით.

მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 3,987.3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 3,673.4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 92%.

➤ პროგრამის აღწერა:



სადღესასწაულო დღეებში ვეტერანებზე (ომის მონაწილეები და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები) მატერიალური დახმარება გაეწია 15 თებერვალს სხვა სახელმწიფო ტერიტორიაზე ბრძოლებში დაინვალიდებულ 3 ვეტერანს (მამაკაცი).

9 მაისი - II მსოფლიო ომის მონაწილეები და II მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები - მატერიალური დახმარება გაეწია 6 ვეტერანს (ქალი).

27 სექტემბერი - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ბრძოლებში შეძენილი შშმ სტატუსის მქონე პირები და დაღუპულთა ოჯახის წევრები - ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 75 ოჯახს, აქედან - 16 ქალი, 59 მამაკაცი. ახალ წელთან დაკავშირებით - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ბრძოლებში შეძენილი შშმ სტატუსის მქონე პირები და დაღუპულთა ოჯახის წევრები; II მსოფლიო ომის მონაწილეები და II მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 76 ოჯახს, აქედან - 16 ქალი, 60 მამაკაცი.

შვილის შეძენასთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის ღონისძიების ფარგლებში მატერიალური დახმარება გაეწია 83 ბენეფიარს, აქედან - 45 გოგო, 38 ბიჭი.

ვეტერანთა (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველ პირთა გარდაცვალების შემდეგ მათ ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა 500 ლარის ოდენობით - ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 51 ოჯახს, აქედან - 28 ქალი, 23 მამაკაცი.

ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების სატრანსპორტო ხარჯების სუბსიდირების ფარგლებში ჯერჯერობით მოთხოვნა არ დაფიქსირებულა.

სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახების, უდედმამო ბავშვებისა და მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევის ღონისძიების ფარგლებში - საშუალოდ ყოველთვიური მატერიალური დახმარება გაეწია 2465 - 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 3 შვილიან, 4 შვილიან, 5 და მეტი შვილიან ოჯახს, ასევე 5 და მეტი შვილიან ოჯახს, უდედმამო ბავშვს, მარტოხელა მშობელს (მარტოხელა დედა და მარტოხელა მამა), 30 წლის ასაკის ჩათვლით შშმ მქონე მოვლის საჭიროების მქონე პირებს, სოციალურად დაუცველი ოჯახების (0-100000 ქულის მქონე) ყოველ ერთ წლამდე ასაკის ბავშვს, სოციალურად დაუცველი ოჯახების (0-100000 ქულის მქონე) ყოველი ერთი წლიდან ორ წლამდე ასაკის ბავშვს, აქედან - 561 მამაკაცი. 1904 - ქალი.

18 წლამდე შშმ პირთა ყოველთვიური მატერიალური დახმარებით ყოველთვიურად სარგებლობს საშუალოდ 1107 ბენეფიციარი, აქედან 443 ბიჭი, 664 გოგო.

სსიპ ქ. ბათუმის #13 და #17 საჯარო სკოლების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ტრანსპორტით უზრუნველყოფის სუბსიდირების ფარგლებში მომსახურეობით სარგებლობს საშუალოდ ყოველთვიურად 19 ბენეფიციარი, აქედან - 7 ბიჭი, ხოლო - 12 გოგო.

0-30001-მდე ქ. ბათუმის სარეიტინგო ქულების მქონე ოჯახების კომუნალური გადასახადების სუბსიდირება (თვიურად 30 ლარი (იანვარი-მარტი) - (ნოემბერ-დეკემბერი) სუბსიდირება გაეწია 1059 ოჯახს.

➤ მიღწეული შედეგები:

მოწყვლადი სოციალური კატეგორიების წარმომადგენლები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით.



**მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება
(პროგრამული კოდი 06 02 03)**

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 3,475.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2,935.0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 84%.

➤ პროგრამის აღწერა:

განსაზღვრული სოციალური კატეგორიების პირთა მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 100%-ით სუბსიდირების ფარგლებში მომსახურეობით ისარგებლა - 39100 ბენეფიციარმა.

განსაზღვრული სოციალური კატეგორიების პირთა M2 კლასის საქალაქო სამგზავრო მიკროავტობუსით მგზავრობის 100%-ით სუბსიდირების ფარგლებში დაფინანსდა 179 550 მგზავრობა."

➤ მიღწეული შედეგები:

საზოგადოების განსაზღვრული კატეგორიებისათვის უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომი მუნიციპალური სატრანსპორტო მომსახურება.

მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1,682.5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,594.5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95%.

➤ პროგრამის აღწერა:

მოხუცებულთა სავანეში სერვისის მიმღებ პირთა დახმარების ღონისძიების ფარგლებში მომსახურეობით სარგებლობს - 129 ბენეფიციარი, აქედან - 62 ქალი, 67 მამაკაცი.

ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარების ღონისძიების ფარგლებში - მომსახურეობით სარგებლობს - 107 ბენეფიციარი, აქედან - 44 ქალი, 63 მამაკაცი.

➤ მიღწეული შედეგები:

მზრუნველობა-მოკლებულ და მოვლის საჭიროების მქონე პირებისათვის გაუმჯობესებულია სოციალური პირობები .

მუნიციპალური უფასო სასადილო (პროგრამული კოდი 06 02 05)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 6,479.5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 6,071.8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 94%.

➤ პროგრამის აღწერა:



არსებული პროგრამა მოიცავს სოციალურად დაუცველი ფენის ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფას. აღნიშნული მომსახურების გაწევა ხორციელდება 6 მუნიციპალური სასადილოს საშუალებით. საანგარიშო პერიოდში სააგენტომ მომსახურება გაუწია 7650 ბენეფიციარს. მომსახურებით ისარგებლეს იმ მოქალაქეებმა, რომლებიც მონაწილეობენ „სოციალურად დაუცველი ოჯახების

იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში“ და მინიჭებული აქვთ 0-დან 65000 ჩათვლით სარეიტინგო ქულა და წარმოადგინეს განცხადება. ასევე განხორციელდა ქვეპროგრამით გათვალისწინებული იმ მარტოხელა ბენეფიციართა ბინაზე მომსახურება, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებენ გადაადგილებას. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა N2 და N6 სასადილოების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე განხორციელდა ქვეპროგრამით განსაზღვრული სხვა სამეურნეო სახის ღონისძიებები. საახალწლოდ ყველა ბენეფიციარს დაურიგდა 13 კომპონენტისგან შემდგარი საახალწლო ნობათი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

7650 ბენეფიციარზე ყოველთვიურად გაიცა სასურსათო კალათა.

დროებითი ღამის თავშესაფარი (პროგრამული კოდი 06 02 06)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1,016.9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 932.9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 92%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

მამია ვარშანიძის ქ. N71-ში მდებარე დროებითი მუნიციპალური თავშესაფრის შენობა გათვლილია 70 ბენეფიციარზე, თუმცა საანგარიშო პერიოდში, მომართვიანობიდან გამომდინარე, მომსახურება გაეწია საშუალოდ 40 ბენეფიციარს. თავშესაფარი თავისი ინფრასტრუქტურით და აღჭურვილობით, ასევე მენეჯმენტით აკმაყოფილებს ქვეყანაში დღეისათვის არსებულ უმაღლეს სტანდარტებს. საანგარიშო პერიოდში ბენეფიციართათვის უზრუნველყოფილი იყო: ღამის გათევა, ორჯერადი კვება (საუზმე, სადილი), სუფთა ტანსაცმელი, პირველადი და სტაციონარული (გადაყვანით) სამედიცინო დახმარება, სოციოლოგ-ფსიქოლოგის მომსახურება, ინტერნეტი, ტელევიზია. საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალურ საცხოვრისში (სამანევრო ბინები) სხვადასხვა ვადით განთავსებულნი იყო 5 ოჯახი - 18 ადამიანი, რომლებზეც მიწოდებული იქნა შემდეგი მომსახურება: კომფორტული (სხვადასხვა ზომის) ბინები თავისი სველი წერტილებითა და სააბაზანოებით, საერთო სამზარეულო, გათბობა, სუფთა ტანსაცმელი, პირველადი სამედიცინო დახმარება, სოციოლოგ-ფსიქოლოგის მომსახურება, უფასო ინტერნეტი.

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 22 - ახალი შემთხვევა სულ; 13 - სკრინინგი - 4 დღის ცენტრი, 3 დედათა და ბავშვთა თავშესაფარი; 9- ახალი სრული შემთხვევა; 2 - სრული შემთხვევა დაიხურა; 12 - შემთხვევა გრძელდება მუშაობა ოქტომბრის თვეში; 5



-შემთხვევა ფსიქოლოგი; 6 შემთხვევა ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

დროებითი ღამის თავშესაფარი ფუნქციონირებს შეუფერხებლად.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 06 02 07)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 131,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 126,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 96%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის დაფინანსების ღონისძიების ფარგლებში ცენტრს უფინანსდება იჯარის, საკანცელარიო და კომუნალური ხარჯები.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა და ბათუმის ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრისათვის დახმარების გაწევის ქვეპროგრამის ფარგლებში განახლდა და გადამზადდა მოხალისეთა გუნდი მართვადი დაავადებებისაგან იმუწიზაციის გზით ქვეყნის მოსახლეობის ეფექტური დაცვის მიზნით. ასევე ჩატარდა პირველადი დახმარების 5 სასწავლო ტრენინგი. დღის ცენტრის ბენეფიციარები აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა ოფიციალურ ღონისძიებებში (ექსკურსია, შემოქმედებითი საღამოები, ღირშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა და სხვა). ასევე, ხორციელდება ბინაზე ვიზიტები ხანდაზმულთა მხარდაჭერის მიზნით. მიმდინარე წელს, ზემოაღნიშნული ცენტრის სოციალური სერვისებით რეგულარულად სარგებლობს 200-მდე ბენეფიციარი. პროექტის ფარგლებში შექმნილია ეკო-კლუბი, რომელშიც გაერთიანებულია 20-მდე მოხალისე, რომლებმაც მოაწყვეს დასუფთავების აქცია გარემოს დაცვის დღესთან დაკავშირებით. გაიწმინდა ქალაქის სკვერები და სამშენებლო ნარჩენებისგან გათავისუფლდა ქუჩები. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ბათუმის ფილიალის დღის ცენტრის ბენეფიციარები (სულ 50 მოწაწილე) იმყოფებოდნენ ექსკურსიაზე (მარშრუტი: ბათუმი - მარტვილი - ბათუმი).

ა(ა)იპ „იალქანის“ მხარდაჭერის ღონისძიების ფარგლებში უფინანსდებათ მიმდინარე აქტივობები, კომუნალური, და საოფისე ხარჯები.

ბათუმის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის მხარდაჭერის ღონისძიება ბათუმის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის მხარდაჭერის ღონისძიების ფარგლებში ვერ განხორციელდა დაფინანსება, რადგანაც ცენტრმა შეწყვიტა ფუნქციონირება.

ა(ა)იპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა გაერთიანება „ომგადახდილის“ ქალაქ ბათუმის ორგანიზაციაზე დახმარების გაწევის ფარგლებში დაუფინანსდათ საოფისე, საკანცელარიო, კომუნალური ხარჯები.

ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციაზე დახმარების გაწევის ფარგლებში დაუფინანსდათ საოფისე, საკანცელარიო, კომუნალური ხარჯები.

შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტის სუბსიდირების ღონისძიების ფარგლებში (5 პირისათვის) - „ხელი ხელს“ ცენტრის ბენეფიციარებს 24 საათიან რეჟიმში



მიეწოდებათ სხვადასხვა სერვისი, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო აქტივობებს, ფსიქოლოგის მომსახურებას, კვებას, პირადი ჰიგიენის დაცვას და სხვა.

ა(ა)იპ „თანა“-ში განხორციელდა საოფისე, საკანცელარიო, კომუნალური ხარჯების დაფინანსება.

➤ მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა და ბათუმის ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრისათვის დახმარების გაწევა, უსინათლოთა და ვეტერანთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა. შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტის სუბსიდირება.

ერთჯერადი მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 08)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 4,231.8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 4,083.4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი 96%.

➤ პროგრამის აღწერა:

აღნიშნულ პროგრამაში კლასიფიცირდებოდა სარეზერვო ფონდიდან მოქალაქეებზე გამოყოფილი ერთჯერადი მატერიალური დახმარებები.

მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა-უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 09)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 120,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 101.3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 84%.

პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა გულისხმობს მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის, უპირატესად, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის სოციალური პირობების გაუმჯობესებას და მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნას. ამ ეტაპზე გაცემულია - 48 სამშენებლო ვაუჩერი.

➤ მიღწეული შედეგები:

მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის გაუმჯობესებულია სოციალური პირობები და შექმნილია მინიმალური საცხოვრებელი პირობები.

შებლადული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება (პროგრამული კოდი 06 02 10)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:



დაზუსტებული გეგმა - 531.5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 434.6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 82%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე უსინათლო პირების და ეტლით მოსარგებლე შშმ პირების ასისტენტით მომსახურებით ფარგლებში მომსახურეობით სარგებლობს 36 ბენეფიციარი, აქედან - 23 კაცი. 13 ქალი.

შშმ პირებისათვის პერსონალური ასისტენტების მიერ სპეციალიზებული და რეგულარული ასისტირების სერვისის მიწოდება ღონისძიების ფარგლებში უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების გადაადგილება და მათი საზოგადოებაში ინტეგრირება. ყოველთვიურად სარგებლობს 29 ბენეფიციარი, აქედან - 19 კაცი. 10 ქალი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე უსინათლო პირები უზრუნველყოფილი არიან გამცილებლის სერვისით

მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 06 02 11)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 381.5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 353.4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 93%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

დღის ცენტრის მიერ გაწეული სერვისის ღირებულებაა 1დღე: 18 ლარი ორჯერადი კვება, სამ კომპონენტიაანი სადილი. მომსახურეობა გულისხმობს 6 საათის განმავლობაში მულტიდისციპლინარული გუნდის მომსახურეობას, რომელშიც შედიან: პედაგოგები საგნების მიხედვით, ფსიქოლოგი, ქცევის თერაპევტი, პედაგოგის დამხმარე და სოციალური მუშაკი. ღონისძიების ფარგლებში მომსახურეობით სარგებლობს 77 ბენეფიციარი, აქედან - 39 მდედრობითი, 38 მამრობითი.

შშმ პირთა მშობლების ფსიქოლოგიური დახმარების ღონისძიების ფარგლებში - სამი თვის (12 კვირა) მანძილზე მშობელს, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შშმ პირი ჩაუტარდება ფსიქოლოგის შემდეგი მომსახურება; პირველადი კონსულტაცია, საჭიროებიდან გამომდინარე ინდივიდუალური გეგმის შემუშავება, ფსიქოთერაპია ინდივიდუალურად ან ჯგუფურად გარკვეული თერაპიების გამოყენებით საჭიროებიდან გამომდინარე. სრული კურსის ხანგრძლივობა შეადგენს 12 საათს (საშუალოდ კვირაში ერთხელ ერთი აკადემიური საათი). ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურეობით სარგებლობს 80 ბენეფიციარი, აქედან - 1 კაცი. 79 ქალი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მოზარდებში განხორციელდა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების, ფსიქო-სოციალური ფუნქციების, საგანმანათლებლო აქტივობების და ინკლუზიური განვითარების ხელშეწყობა.



სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა (პროგრამული კოდი 06 03)

ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგი (პროგრამული კოდი 06 03 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 104.9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 83.9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 80%.

➤ პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელებულია ჩამონაბანის აღება (6500 ერთეული), კალორაჟის განსაზღვრა ბაღებსა და უფასო მუნიციპალურ სასადილოებში (210 ერთეული), სტომატოლოგიური კაბინეტების ლაბორატორიული მონიტორინგი სტერილობაზე (180 ერთეული), განათების კოეფიციენტის განსაზღვრა 120 ერთეული, აუზის წყლის ფიზიკო ქიმიური კვლევა-26 ნიმუში, სადეზინფექციო საშუალებების ქიმიური კვლევა (35 ნიმუში), კვების პროდუქტების მონიტორინგი მუნიციპალურ სასადილოებში (88 ნიმუში).

➤ მიღწეული შედეგები:

განხორციელებულია ქვეპროგრამით განსაზღვრული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობისა და ეპიდემიური სიტუაციის მონიტორინგის ღონისძიებები.

დეზინსექცია დერატიზაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 03 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 553.3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 551.4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%.

➤ პროგრამის აღწერა:

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში სამუშაოები ჩატარდა შემდეგი მიმართულებებით: 1. მრავალსართულიანი 990 საცხოვრებელი (3 სართული და მეტი) სახლებისა და სადარბაზოების დეზინსექცია (89,10 ჰა) 'ერთი და ორსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, იტალიური ეზოებისა და სარდაფების დეზინსექცია 405 საცხოვრებელი სახლი (121,500 კვ. მ), 'ქალაქის ტერიტორიის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების) დერატიზაცია ყოველთვიურად 1240 ობიექტი სულ 26400 კვ. მ. 'ნაგავშემკრები კონტეინერების დეზინსექცია -1000, 'ქალაქის ტერიტორიის (ღია არხები, დაჭაობებული ტერიტორიები) დეზინსექცია -4 ჰა, 'ქვეწარმავლების საწინააღმდეგოდ ღონისძიებების გატარება -18500 კვ.მ, 'კრაზანების (ბუდეს) საწინააღმდეგოდ ღონისძიებების გატარება - 2.

მიღწეული შედეგები:

განხორციელებულია დერატიზაცია-დეზინსექციის ღონისძიებები.



უპატრონო შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 03 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 496.6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 496.6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100,0%.

➤ პროგრამის აღწერა:

განხორციელდა უპატრონო ცხოველების (ძაღლი, კატა) პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები: 2500 ცხოველის დაჭერა და ტრანსპორტირება, ევთანაზია (ჰუმანური დამინება ნარკოზით), სტერილიზაცია, კასტრაცია, კვება, ჭიაზე დამუშავება, ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, კომპლექსური ვაქცინაცია და დაბირკვა, ასევე ბუნებრივ არიალში გაშვებული დაბირკული გასტერილებული ცხოველების ეტაპობრივი გამოყვანა ქალაქის ტერიტორიიდან და ტრანსპორტირება ვეტერინალურ კლინიკაში, ზრდასრული ცხოველების ჭიაზე დამუშავება ცოფის საწინააღმდეგო რევაქცინაცია, კომპლექსური ვაქცინაცია და მასთან დაკავშირებული პროცედურების ჩატარება. ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ცხოველების ლემის (სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული სიკვდილით) დროული გამოყვანა სპეციალური ტრანსპორტით და კრემაცია (კრემატორიუმში) მოზარდი ცხოველების (ლეკვი კნუტი) დაჭერა ქალაქის ტერიტორიაზე და ტრანსპორტირება თავშესაფარში (ვეტერინალური კლინიკა) მოვლა პატრონობის მიზნით (სულ 2200).

➤ მიღწეული შედეგები:

მაწანწალა ცხოველების პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები განხორციელებულია.

პრიორიტეტი: ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება

ქალაქის ურბანული განვითარება (პროგრამული კოდი 07 01)

ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენა (პროგრამული კოდი 07 01 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1,010.8 ათასი ლარი; ფაქტიური შესრულება - 561.5 ათასი ლარი; პროცენტული მავნებელი - 56%. გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ამ ეტაპამდე ათვისება ვერ განხორციელდა, გამომდინარე იქედან რომ თითოეული ეტაპის წარმოდგენა, განხილვა და მიღება-ჩაბარება უკავშირდება გარკვეულ ვადებს, რომლებსაც მხარეები წინასწარ ვერ განსაზღვრავენ. ეტაპების განხილვის დროს რიგ შემთხვევაში დადგენილი იქნა ხარვეზი, რიგ შემთხვევაში სარეკომენდაციო ან ინფორმაციული წერილი, რომელთა მსვლელობა გარკვეულ დროსთან იყო დაკავშირებული.

პროგრამის აღწერა:

მართვის დოკუმენტი ამ ეტაპზე არის 2021 წლის 16 აგვისტოს N88 ხელშეკრულებით გათვალისწინებული 4.2 ეტაპის პროცესში. მიმწოდებელი კომპანიის ანუ ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მიერ მოწოდებული იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული 4.2 ეტაპი - გეგმების მონახაზების შეჯერებული ვერსია, რომელიც



ფაქტობრივად წარმოადგენს კონცეფციას, რის საფუძველზეც უნდა შემუშავდეს სივრცითი განვითარების და განაშენიანების მართვის დოკუმენტის საბოლოო გეგმა. წარმოებაში არსებული 4.2 ეტაპი- გეგმების მონახაზების ეტაპის შეჯერებული ვერსია კანონმდებლობის შესაბამისად საჭიროებს „სხვა ადმინისტრაციული ორგანოების“ ჩართულობას და მათ მოსაზრება/დასკვნას ამ ეტაპის მიღების პროცესში. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მიერ 4.2 ეტაპის დოკუმენტაცია გადაიგზავნა კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო უწყებებში, საიდანაც ელოდება რეკომენდაციებს. 4.2 ეტაპი- გეგმების მონახაზების შეჯერებული ვერსია მიღებული იქნა 2025 წლის 15 აგვისტოს, რაზეც გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

ამ ეტაპზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარეობს წარმოება კალენდარული გრაფიკით გათვალისწინებული 5.1 ეტაპის მიმართ . 5.1 ეტაპი წარმოადგენს გეგმების სამუშაო ვერიას და სგშ ანგარიშებს. წარმოდგენილი ეტაპი გადაგზავნილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში, საიდანაც ველოდებით რეკომენდაცია/მოსაზრების წარმოდგენას.

გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ამ ეტაპამდე ათვისება ვერ განხორციელდა, გამომდინარე იქედან რომ თითოეული ეტაპის წარმოდგენა, განხილვა და მიღება-ჩაბარება უკავშირდება გარკვეულ ვადებს, რომლებსაც მხარეები წინასწარ ვერ განსაზღვრავენ. ეტაპების განხილვის დროს რიგ შემთხვევაში დადგენილი იქნა ხარვეზი, რიგ შემთხვევაში სარეკომენდაციო ან ინფორმაციული წერილი, რომელთა მსვლელობა გარკვეულ დროსთან იყო დაკავშირებული.

მუნიციპალური კვლევების მომზადება და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (პროგრამული კოდი 07 01 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 212.1ათასი ლარი; ფაქტიური ხარჯი - 82.1 ათასი ლარი; საპროცენტო მაჩვენებელი - 39%. აღნიშნული თანხის ათვისება განაპირობებულია განხორციელებული შესყიდვების ეკონომიით, ასევე გარემოებით, რომ სითბური მდგრადობის სტრატეგიის მომზადების შესყიდვა გადაიდო 2026 წლისთვის, პროექტის ექსპერტების მიერ დოკუმენტის მომზადების მეთოდოლოგიის შემუშავებამდე.

პროგრამის აღწერა:

"ქვეპროგრამით გათვალისწინებულია აქტივობები ევროკავშირის Interreg NEXT Black Sea Basin პროგრამით დაფინანსებული პროექტის „მწვანე გადაწყვეტილებები კლიმატის ცვლილების ადაპტაციისთვის ჭკვიანი და მდგრადი ქალაქებისთვის BSB-ში" ფარგლებში. ბათუმისთვის განსაზღვრული აქტივობები მოიცავს საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით კვლევების ჩატარებას ქალაქის ტერიტორიაზე სათბური აირების გაფრქვევების კერების გამოსავლენად და მათი ზეგავლენების გასაზომად, კვლევების დოკუმენტირებას, შესაბამისი (დიგიტალური) რუკისა და ანგარიშის მომზადებას კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაცია-შერბილების ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციებით.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ძირითადი აქტივობები:

- ჩატარდა პროექტის შიდა და გარე სამიზნე ჯგუფების ონლაინ გამოკითხვა სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საფუძველზე, რაც ემსახურება ურბანულ სივრცეში თერმული სტრესისა და მისი შემცირების საშუალებების ანალიზს. კვლევის



შედეგების ანალიზი და გაიდლაინებში ასახვა უზრუნველყოფილ იქნა პროექტის ექსპერტების (Land Lab) მიერ.

- მომზადდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო მასალები პროექტის ცნობადობისა და სამიზნე ჯგუფების ინფორმირების მიზნით.

- განხორციელდა სასწავლო ვიზიტი პროექტის პარტნიორ კავალას მუნიციპალიტეტში, რომლის ფარგლებში გაიმართა გამოცდილების გაზიარება, პროექტის აქტივობების განხილვა და თემატური სემინარები კლიმატის ადაპტაციისა და თერმული სტრესის შეფასების საკითხებზე.

ბათუმში განხორციელდა თერმული გარემოსა და ჰაერის ხარისხის სავსე გაზომვები ადგილობრივი და სტამბულის უნივერსიტეტის ექსპერტების მონაწილეობით, მათ შორის ურბანული თბური კუნძულების (UHI) კვლევა. აღნიშნულმა აქტივობებმა უზრუნველყო ქალაქის მიკროკლიმატთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მონაცემების მიღება.

- გაიმართა შეხვედრები შიდა და გარე საინიციატივო ჯგუფებთან, აგრეთვე პროექტის პარტნიორებთან და ექსპერტებთან, რაც მიზნად ისახავდა პროექტის ამოცანების, ურბანული სივრცის სტრესის თემისა და დაგეგმილი ღონისძიებების განხილვას.

- პროექტის განხორციელების მხარდასაჭერად განხორციელდა შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის - მიწისზედა თერმული კამერისა და ატმოსფერული პარამეტრების საზომი მოწყობილობის - შესყიდვა.

ქვეპროგრამით განსაზღვრული ღონისძიებები განხორციელდა გეგმის შესაბამისად. სხვაობა დაგეგმილ და ფაქტობრივ ფინანსურ დანახარჯებს შორის მნიშვნელოვან წილად განაპირობებულია განხორციელებული შესყიდვების ეკონომიით, ასევე გარემოებით, რომ სითბური მდგრადობის სტრატეგიის მომზადების შესყიდვა გადაიდო 2026 წლისთვის, პროექტის ექსპერტების მიერ დოკუმენტის მომზადების მეთოდოლოგიის შემუშავებამდე.

ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 07 02)

მწარმოებისა და ინოვაციების განვითარების სტიმულირება (პროგრამული კოდი 07 02 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური;

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 45.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 13.6 ათასი ლარი; პროცენტული მაჩვენებელი - 30%. დაგეგმილი იყო სტარტაპ საინვესტიციო ფორუმისა და სამიტის ჩატარება პარტნიორებთან ერთად, თუმცა ღონისძიება გადაიდო სემდგომი წლისთვის, რამაც გამოიწვია ასიგნების შეუსრულებლობა.

➤ პროგრამის აღწერა:

მუნიციპალური ტრანსფორმაციის - "ბათუმი ახალი სტარტაპ ეკო-სისტემა საქართველოში" პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდა ევროკავშირის რეგიონული ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) მეორე ფაზის ფარგლებში მოპოვებული გრანტით (200000,0 ევრო) და მუნიციპალური თანადაფინანსებით, ბათუმში სტარტაპ ეკოსისტემის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. პროექტის ფარგლებში გაიხსნა ინტერაქციული სივრცე, სადაც გაიმართა



საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ გამოცხადებული "25000 ლარამდე ინოვაციების გრანტები რეგიონებისათვის" საგრანტო პროგრამა, სადაც გამოვლინდა 6 გამარჯვებული ადგილობრივი სტარტაპი. განხორციელდა საინფორმაციო პრომო მასალის გავრცელება სტარტაპით დაინტერესებულ ჯგუფებში პროექტის პოპულარიზაციის მიზნით. შექმნილია და ფუნქციონირებს პროექტის საინფორმაციო და სოც.მედია გვერდები.

ხორციელდება ინტერაქციული სივრცის სარგებლობისათვის შესაბამისი კრიტერიუმების გაწერა და სივრცე ფუნქციონირებას დაიწყებს 2026 წელს.

მიღწეული შედეგები:

განხორციელდა ინტერაქციული სივრცის მოწყობა/აღჭურვის სამუშაოები, შექმნილია საინფორმაციო და სოც.მედია გვერდები.

პრიორიტეტი: მუნიციპალური სერვისების განვითარება 08 00

მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 08 01)

ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება (პროგრამული კოდი 08 01 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 122.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 118.2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97%.

➤ პროგრამის აღწერა:

მუნიციპალური სერვისების სამსახური აქტიურად აგრძელებს მუშაობას ორი ძირითადი მიმართულებით, კერძოდ: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო-ტექნოლოგიური მხარდაჭერისა და მუნიციპალური სერვისების ავტომატიზაციის მიმართულებებით. საინფორმაციო-ტექნოლოგიური მხარდაჭერა მუნიციპალური სერვისების სამსახურის IT მიმართულების სპეციალისტები ემსახურებიან: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სამ ძირითად შენობას (ლ. ასათიანის ქ. N25, მ. ლერმონტოვის ქ. N90ა და სულხან-საბა ორბელიანის ქ. N10), მუნიციპალური სერვისების სააგენტოს ცენტრალურ ოფისსა და 14 ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრებს, ასევე სხვა მუნიციპალურ ორგანიზაციებს. 2025 წლის მარტის თვეში მუნიციპალური სერვისების სამსახურის მიერ განახლებული იქნა Manage Engine Service Desk Plus Multi-Language Standard Edition პროგრამის ლიცენზია. საანგარიშო პერიოდში, ყოველდღიურად მიმდინარეობდა ქალაქ ბათუმის გარკვეულ ტერიტორიაზე ვიდეო-მონიტორინგის განხორციელება, ვიდეო-მონიტორინგის/ვიდეო ჩანაწერების ამ ბრძანებით განსაზღვრული მიზნებისთვის გამოყენება, შენახვა, უფლებამოსილ პირზე გაცემა, წაშლა და განადგურება.

მუნიციპალური სერვისების სამსახური ყოველდღიურად უზრუნველყოფს ქ. ბათუმში, იუსტიციის სახლის მოპირდაპირედ განთავსებული თანამედროვე დიზაინის კონსტრუქციისათვის საჭირო IT ინფრასტრუქტურის და ინსტალაციების გამართვას, ინტერნეტით და სხვა საჭირო სერვისებით მომარაგებას."

2025 წლის თებერვალში მუნიციპალური სერვისების სამსახურის მიერ მოხდა ადმინისტრაციული ერთეულების სერვისცენტრებსა და მუნიციპალური სერვისების



სააგენტოს სხვა სტრუქტურულ ერთეულებში არსებული ინტერნეტის, ქსელისა და კომპიუტერული ტექნიკის კუთხით არსებული მდგომარეობის შესწავლა. წარმოდგენილი იქნა ანალიზი და შესაბამის რეკომენდაციები. ასევე, ყოველდღიურად მიმდინარეობს მუნიციპალური სერვისების სამსახურის მიერ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სამ ძირითად შენობაში (ლ. ასათიანის ქ. N25, მ. ლერმონტოვის ქ. N90ა და სულხან-საბა ორბელიანის ქ. N10), მუნიციპალური სერვისების სააგენტოს ცენტრალურ ოფისში და 14 ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრებში, ასევე სხვა მუნიციპალურ ორგანიზაციებში. საოფისე კომპიუტერული ტექნიკის და პროგრამების შეკეთება/ განახლება და ქსელის მოწესრიგება მუნიციპალური სერვისების ავტომატიზაცია. მუნიციპალური სერვისების სამსახური მუშაობს შემდეგი მიმართულებით 1. ქ. ბათუმის მერიაში არსებული ბიზნესპროცესების ანალიზი; 2. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა; 3. ერთიანი ელექტრონული სერვისებისა და გეო-სერვისების პორტალის შექმნა. სამივე მიმართულებით გადაიდგა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები და შეიქმნა კონკრეტული პროდუქტები.

აქტიურად მიმდინარეობს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის პორტალზე მუშაობა. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა (ბმა) წარმოადგენს მრავალბინიან სახლში მდებარე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი, მათ შორის კომერციული მიზნებისთვის გამოყენებული ფართების მესაკუთრეთა გაერთიანებას. ამხანაგობის ფუნქციასა საერთო ქონების, საკუთრების მოვლა-პატრონობა და განვითარება. 2019 წელს ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით იქნა მიღებული გადაწყვეტილება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ელექტრონული პორტალის შექმნის და აღრიცხვაზე დაყენების თაობაზე. 2022 წელს მუნიციპალური სერვისების სამსახურის მიერ შეიქმნა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ელექტრონული პორტალი (Bma.batumi.gov.ge), რომლის ძირითადი მიზანია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებმა ინდივიდუალური ვებგვერდიდან შეძლონ ბათუმის მუნიციპალური მერიის პროგრამებში ჩართვა და მიიღონ წვდომა სააღრიცხვო ბარათთან.

აქტიურად მიმდინარეობს არსებულ აპლიკაციაზე (fix.batumi.ge) მუშაობა, ყოველდღიურად კეთდება პრობლემების ანალიზი და ეგზავნება შესაბამის სამსახურებს. Fix.baTumi.ge აპლიკაციით შესაძლებელია ინფრასტრუქტურული და სხვა პრობლემების შეტყობინების (ინფორმაციის) მობილური გაცვლა, სტატისტიკის წარმოება და სამუშაო პროცესების ეფექტური კონტროლი. აპლიკაციამ უნდა ჩაანაცვლოს სხვადასხვა (whatsapp, viber, messenger) ჩატები. დღეის მონაცემებით აპლიკაციაზე დარეგისტრირებულია 26,449 პრობლემური საკითხი, აქედან: შესრულებულია 21490; მიმდინარეობს მუშაობა 670-ზე; შეწყვეტილია 2792; გაუხსნელია 409.

"აქტიურად მიმდინარეობდა ინფორმაციის განახლება მერიის ახალ საიტზე www.batumi.gov.ge, ასევე აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ბათუმის ცხელი ხაზის განახლებაზე, რომელიც მნიშვნელოვანი ნაბიჯია მოქალაქეებისთვის კომუნიკაციის გამარტივებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ცხელი ხაზის მოდერნიზაციის ფარგლებში მიმდინარეობს უახლესი სატელეფონო ტექნიკის დანერგვა, რაც უზრუნველყოფს კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესებას და სერვისის ეფექტურობას. ახალი აპარატურა გათვალისწინებულია როგორც მიღებული ზარების გამარტივებული მართვისთვის, ასევე უფრო სწრაფი რეაგირების უზრუნველყოფისთვის. ასევე, განახლებული ცხელი ხაზი ხელმისაწვდომი

იქნება არა მხოლოდ მოქალაქეებისთვის, არამედ ბათუმის მერიის თანამშრომლებისთვისაც. ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს შიდა კომუნიკაციას,



დააჩქარებს ინფორმაციაზე წვდომას და ხელი შეუწყობს სამსახურებრივი პროცესების ოპერატიულად მართვას.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ელექტრონული მომსახურების სისტემა გაუმჯობესებულია.

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტო (პროგრამული კოდი 08 01 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 5,511.5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 4,761.3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 86%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

მუნიციპალური სერვისების მიღების მიზნით 14 ადმინისტრაციულ ერთეულში სერვისცენტრების მიერ მომსახურებით ისარგებლა - 11539 მოქალაქემ, მათ შორის: ჯანდაცვის კუთხით შემოვიდა - 5691, სოციალური უზრუნველყოფის კუთხით - 3418 და ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის კუთხით - 2430 განხცადება. ადმინისტრაციულ ერთეულებში სერვისცენტრების თანამშრომლებმა, მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებში ბენეფიციართა ჩართვისთვის საჭირო სოციალ-ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლის მიზნით განახორციელეს - 4829 მოკვლევა, მათ შორის ჯანდაცვის მიმართულებით - 2866 და სოციალური მიმართულებით - 1963 მოკვლევა. ადმინისტრაციულ ერთეულებში სერვისცენტრების თანამშრომლებმა, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო - 1966 მოკვლევა განახორციელეს. ქალაქის მიმდინარე მოვლაპატრონობასთან დაკავშირებული დაფიქსირდა მცირე პრობლემა - 1825, რომელთაგან უკვე მოგვარებულია - 880.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია მუნიციპალური სერვისების მიწოდება „ერთი ფანჯრის პრინციპით“.

მუნიციპალური სერვისის გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 08 01 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 992.4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 920.1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 93%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქ. ბათუმში, ც. დადიანის ქუჩაზე მრავალფუნქციური სივრცის შენობის მშენებლობა-მოწყობა - ოქრო 11 კვ.მ. წერტილოვანი საძირკველი, 7,5 კვ.მ. რკ/ბეტონის სვეტები, 12 კვ.მ. საძირკვლის კოჭი და რიგელები, 13,5 კვ.მ. იატაკის ფილა, 24 კვ.მ. გადახურვის ფილა, 132 კვ.მ. ორთქლსაიზოლაციო მენბრანა, 214 კვ.მ. არმირებული მჭიმი, 132 კვ.მ. სახურავის ბურული, 3,7 კვ.მ. კარი, 53,4 კვ.მ. ვიტრაჟები და ვიტრაჟკარები, 11,3 კვ.მ. სველი წერტილი, 98,9 კვ.მ. იატაკი, 66,3 კვ.მ. შეკიდული ჭერი, 20 კვ.მ. კედლები და პარაპეტი, 32 კვ.მ. ტიხრები, 308 კვ.მ. შელესვა, 32 კვ.მ. კაფელი, 33 გ/მ



მილი, 11 ც. სავაჭრო ჯიხური, 39 გ/მ ბორდიური, 115 კვ.მ. ფილა; შებათქაშდა 190 გ/მ. ფერდოები; 67 კვ.მ. ფასადი მოპირკეთდა კერამიკული აგურით; შეიღება 131 კვ.მ. ჭერი, კედლები, ტიხრები, კარ-ფანჯრების ფერდოები და ფასადი.

ზღვისპირა ზოლში სტაციონალური საგუმაგოების მოწყობა - ზღვისპირა ზოლში მოეწყო 10 ერთეული სტაციონალური საგუმაგო.

ქ. ბათუმის ცენტრალურ პარკში არსებული საპირფარეშოს სარემონტო სამუშაოები - მოეწყო 128 კვ.მ. სახურავი, 3,6 კვ.მ. სარკმელი, 15,6 კვ.მ. კარებები, 8,4 კვ.მ. იატაკის ფილა. 4,2 კვ.მ. პემზის ფილა, 84 კვ.მ. მჭიმი, 103 კვ.მ. მეტლახის ფილა, 44 კვ.მ. შეკიდული ჭერი, 168 კვ.მ. კაფელი, 0,9 კვ.მ. ჭა, 74 გ/მ მილი, 7 კომპ. ხელსაბანი, 7 კომპ. უნიტაზი, 3 ც. ვენტილატორი, 3 ც. ხელის საშრობი; შებათქაშდა 104 გ/მ ფერდოები; შეიღება 14,6 კვ.მ. კარი და 260 კვ.მ. შენობის გარე ზედაპირი.

ქ. ბათუმის ცენტრალურ პარკში არსებული შენობის სარემონტო სამუშაოები - მოეწყო 22 კვ.მ. სახურავი, 8,8 კვ.მ. სლაიდური შემინული სისტემა, 3,5 კვ.მ. კარები, 19 კვ.მ. მეტლახი, 19 კვ.მ. შეკიდული ჭერი, 1 ც. საჩრდილობელი, 33 გ/მ. ბორდიური, 43 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 1 კომპლ. შემყვან-გამანაწილებელი ფარი, 4 ც. ავტომატური ამომრთველი, 6 კომპლ. სანათი და ნათურა, 11 გ/მ მილი, 60 გ/მ ელ. კაბელი, 10 გ/მ ელ. სადენი; შებათქაშდა 48 გ/მ ფერდოები; აკრულ იქნა 7 კვ.მ. კაფელი; შეიღება 37 კვ.მ. კედლები და ფერდოები; შეიღება 56 კვ.მ. ფასადი; შეიღება 14 კვ.მ. ფოლადის ზედაპირები.

"ქ. ბათუმის ცენტრალურ პარკში მრავალფუნქციური სივრცის შენობის მშენებლობა - მოეწყო 6,4 კვ.მ. წერტილოვანი საძირკველი, 10 კვ.მ. ფილა, 2,606 ტნ. სვეტები და კოჭები, 2,752 ტნ. სახურავის ფერმის კონსტრუქცია და გრძივები, 0,787 ტნ. კარკასი, 0,249 ტნ. ფასადის დეკორაცია, 64 კვ.მ. სახურავი, 39 კვ.მ. თაბაშირ-მუყაოს ფილა, 81 კვ.მ. ლამინატის პანელი, 7 კვ.მ. ვიტრაჟ-კარები, 23,3 კვ.მ. ვიტრაჟი, 65 კვ.მ. ფიცრული იატაკი, 31 კვ.მ. შეკიდული ჭერები, 12 გ/მ ბორდიური, 36 კვ.მ. გრანიტის ფილა, 1 კომპლ. შემყვან-გამანაწილებელი ფარი, 4 კომპლ. ავტომატური ამომრთველი, 10 კომპლ. ჭერის შუქდიოდური სანათი, 1 კომპლ. ჩამრთველი, 6 ც. შტეფსელური როზეტი, 70 გ/მ ელ. კაბელი, 10 გ/მ ელ. სადენი, 22 ც. სკამი, 8 ც. მაგიდა.

წყლისა და ელ. ენერჯის ქსელზე დაერთების საფასური - დაიფარა წყლისა და ელ. ენერჯის ქსელზე დაერთების საფასური

➤ **მიღწეული შედეგები:**

მიმდინარეობს მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება.

თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა (პროგრამული კოდი 08 01 04)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 203.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 126.8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 62%; 13 ერთეული მიწის ნაკვეთის შეფასებაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ იქნა დაკვეთა გაუქმებული საკადასტრო მონაცემებში ცვლილებებიდან გამომდინარე, რამაც გამოიწვია ასიგნების აუთვისებლობა.

➤ **პროგრამის აღწერა:**



ქვეპროგრამის ფარგლებში 2025 წლის პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კვარტალში განხორციელებულია თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების პასპორტიზაცია, რომელიც მოიცავს შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზების შედენას, მიწის ნაკვეთების აზომვითი ნახაზების შედენას, არსებული ნახაზების დაყოფას, არსებული ნახაზების კორექტირებას, არსებული ნახაზების გაერთიანებას, რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების დაკვალვას, ხაზობრივი ნაგებობების მიწისქვეშა და მიწისზედა აზომვითი ნახაზების შედენას. კერძოდ, განხორციელდა 17 859,59 კვ.მ. შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზების დამზადება, 305 ერთეული (ცალი) მიწის ნაკვეთების აზომვითი სამუშაოების ჩატარება (პირველადი რეგისტრაცია, გაყოფა, გაერთიანება, კორექტირება), შესრულდა 140 (ცალი) ერთეული რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის დაკვალვითი სამუშაოები და 562,53 გრძ. მეტრი ხაზობრივი ნაგებობების მიწისქვეშა და მიწისზედა აზომვითი ნახაზების დამზადება.

"2025 წლის პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კვარტალში განხორციელდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ასევე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი ქონების, მათ შორის აქციებისა და წილის აუდიტორიული შეფასების დასკვნების მომზადება (ქონების საბაზრო და საიჯარო ღირებულების დადგენა), კერძოდ, 182 ერთეული ქონების აუდიტორული შეფასების დასკვნის მომზადება;

- 2025 წლის პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კვარტალში განხორციელდა ელექტრონული აუქციონის განცხადების განთავსება და ვაჭრობის პროცესის უზრუნველყოფის მომსახურების კერძოდ, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან მიღებულია ელექტრონული აუქციონით გაწეული მომსახურება. "

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი დაკვეთების საფუძველზე სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს მიმდინარე წლის მონაცემებით წარდგენილი ჰქონდა ჯამში 196 ერთეული ქონების შეფასებაზე მოთხოვნა. მიმდინარე ეტაპზე მოწოდებულია ჯამში 182 ერთეული სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნა. ბიუროს მხრიდან დაბრუნდა 1 ერთეული შეფასების დაკვეთა, ვადაში შეუსრულებლობის გამო, 13 ერთეული მიწის ნაკვეთის შეფასებაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ იქნა დაკვეთა გაუქმებული საკადასტრო მონაცემებში ცვლილებების გამო.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების ეფექტური მართვა.

ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია (პროგრამული კოდი 08 01 05)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 7,255.5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 6,357.9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 88%;

➤ **პროგრამის აღწერა:**

ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის მიერ 2025 წლის მონაცემებით ადმინისტრაციული ზედამხედველობის ყველა მიმართულებით გამოწერილია სულ 127 საჯარიმო ოქმი და საჯარიმო ქვითარი, აქედან გადახდილი ოქმებისა და ქვითრების რაოდენობამ მიმდინარე წელს შეადგინა 62 ერთეული, ხოლო აღსრულების მიერ



ამოღებულია წინა წლის 10 ერთეული ოქმის თანხა, დანარჩენ ოქმებზე და ქვითრებზე მიმდინარეობს სასამართლო განხილვები, გაგზავნილია სააღსრულებო ბიუროში თანხების ამოღების მიზნით; სამშენებლო ზედამხედველობისა და უსაფრთხოების კუთხით სულ გამოიწერა 495 დადგენილება დაჯარიმებაზე, იძულების წესით ამოღებულია წინა წლების 57 ერთეული დადგენილების თანხა, ხოლო 2025 წლის დადგენილებზე გადახდილია 88 ერთეული, გარდა ამისა მიმდინარეობს სასამართლო განხილვები თანხების ამოღების მიზნით; პარკირებისა და ტრანსპორტის ზედამხედველობის კუთხით გამოწერილია სულ 93866 ერთეული ჯარიმა, აქედან საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის პირობების დარღვევის გამო გამოიწერა 66 ერთეული ოქმი, აქედან 66 ოქმი გადახდილია, 2024 წლის ერთი ოქმი გადახდილია მიმდინარე წელს, უბილეთო მგზავრობის გამო 10699 ოქმი, აღსრულების მიერ ამოღებულია წინა წლების 1754 ოქმის თანხა, ხოლო მიმდინარე წლის 6770 ოქმის თანხა, პარკირების წესების დარღვევაზე გამოწერილია 83101 ჯარიმა, საიდანაც მიმდინარე წელს გამოწერილი ჯარიმებიდან 63288 ოქმია გადახდილია, ხოლო აღსრულების მიერ ამოღებულია წინა წლების 10964 ერთეული ჯარიმა, ევაკუაციიდან მიღებულმა შემოსავლმა შეადგინა 605965 ლარი (საჯარიმო სადგომზე გადმოყვანილია 5610 ავტომანქანა), გადაუხდელ ჯარიმებზე იგზავნება სააღსრულებო ფურცლები, რათა მოხდეს თანხების ამოღება იძულების წესით.

➤ **მიღწეული შედეგები:**

გამოვლენილია სამართალდარღვევები ადმინისტრაციული ზედამხედველობის კუთხით, სამშენებლო და უსაფრთხოების ზედამხედველობის კუთხით, სანიტარული ზედამხედველობის კუთხით, ასევე პარკირების ზედამხედველობის კუთხით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების 2025 წლის ბიუჯეტების შესრულების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის (დანართი №7).

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს-ების 2025 წლის ბიუჯეტების შესრულების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის (დანართი №8).

კაპიტალური ბიუჯეტის შესრულების დანართი №9 ცხრილის სახით თან ერთვის.